

# საქართველოს სტილი




ISSN 1512-0880

№4 2006



ლაქსიის მისამართი:  
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7  
საქართველოს პრეზიდენტის  
პირდაპირი ბიბლიოთეკა  
ტელ.: 93-26-82



რეაქციის რეაქცია:  
ქსანდრე ღორია  
მთავარი რედაქტორი  
რამ თაღნიასვილი  
მთავარი რედაქტორის  
თანაშრომელი, პასუხისმგებელი მდივანი  
და რედაქციის  
კომერციული დირექტორი  
დინარა სვურუა  
სამეცნიერო-მეთოდური და  
კორექტორული მუშაობის  
რედაქტორ-კოორდინატორი



დსაწარმო „ალი“  
მფუძნებლები: საქართველოს  
პრეზიდენტის ილია ჭავჭავაძის  
ბიბლიოთეკის ეროვნული  
ბიბლიოთეკა; საქართველოს  
ბიბლიოთეკო ასოციაცია.





|  |    |
|--|----|
| სპეციალური განათლება.....  | 4  |
| <b>ისტორიის ფურცლებიდან</b>  |    |
| გურამ ჩხაიძე - თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის .....                                 | 6  |
| ირინე გოგლიძე - წიგნების პირველი მალაზია ქ. ტფილისში 1840-1880 წლებში.....                     | 9  |
| ლალი ყაულაშვილი - უმაღლესი სასაწავლებლების გამომცემლობები და პედაგოგიური წიგნის გამოცემა ..... | 12 |
| ზენაბ ჟიჟილაშვილი - ამონაწერები შთაბეჭდილებების წიგნიდან.....                                  | 14 |
| <b>ტერმინოლოგიური ძიებანი</b>  |    |
| ბადრი ცხადაძე - წიგნმცოდნეობითი-პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში. ყდა.....                     | 16 |
| <b>სამართლებრივი ინფორმაცია</b>  |    |
| ცისანა წერეთელი - ბიბლიოთეკები და სამართლებრივი ინფორმაცია.....                                | 18 |
| <b>სტუდენტური სიტყვა</b>   |    |
| „ბიბლიოთეკა და თანამედროვე განათლება“.....   | 24 |
| <b>კორესპონდენციები</b>  |    |
| ლეილა ხარბედია - შეხვედრა მკითხველებთან.....   | 25 |
| ქეთევან ბეროშვილი - შეხვედრა გიორგი გიგაურთან .....  | 26 |
| ქეთევან ნიკურაძე - ტრადიცია გრძელდება .....  | 28 |
| <b>სახელოვანი წინაპრები</b>  |    |
| ნინო დაღუნდარიძე - უკვდავი გივი.....   | 29 |
| <b>კულტურული მეგვიდრეობა</b>   |    |
| გურამ შენგელია - შემოქმედებითი ინტელიგენცია-მშობლიური ენის ქომაგი.....                         | 32 |
| <b>ფილოლოგიური ძიებანი</b>   |    |
| რამაზ მეფარიშვილი - მცირე რამ „ოდიპოსზე“ .....   | 35 |
| <b>იუბილე</b>  |    |
| გულნარა სტურუა - ბერნარდ შოუ .....   | 37 |
| ალექსანდრე ლორია - სამახსოვრო ჩანახატი .....   | 39 |
| ჩვენნი ღირსეული თანამდგომი.....  | 40 |
| <b>სპეციალისტი გვიჩვენებს</b>  |    |
| ცისანა წერეთელი - თანამედროვე ეკოლოგია უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციაში.....                 | 41 |
| <b>რეცენზია</b>  |    |
| აკაკი მათიაშვილი - გ. საითიძის ნაშრომი „ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიიდან“ .....             | 42 |
| გურამ თაყნიაშვილი - ეპისკოპოსის ნაშრომი .....  | 44 |
| <b>ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა</b>  |    |
| პირველი ქართული სახელმძღვანელო.....  | 46 |
| საყურადღებო გამოცემა.....  | 47 |
| გიორგი სარაჯიშვილი-ძველი ქართული პერიოდიკიდან.....   | 48 |
| ეროვნული ბიბლიოგრაფიის მხარდასაჭერად.....  | 48 |
| ქართველ წმინდანთა პოეზია.....  | 49 |
| <b>ინფორმაცია</b>  |    |
| ნათელა ნათლიაშვილი - კვინიკაძე - ჟურნალი „ბნეი-ციონი“.....                                     | 50 |
| წერილი რედაქციას.....  | 52 |
| <b>მკითხველის შემოქმედება</b>  |    |
| გურამ თაყნიაშვილი-პოეზია-სულის ხსნა.....   | 53 |
| საიუბილეო თარიღების კალენდარი - 2007.....  | 55 |
| ნეკროლოგი.....   | 58 |

|  |    |
|--|----|
| Специальное образование .....  | 4  |
| Страницы истории   |    |
| Гурам Чхаидзе – К истории Публичной библиотеки Тбилиси .....                               | 6  |
| Ирина Гоглидзе – Первые книжные магазины в городе Тифлис в 1840-1880-ые годы .....         | 9  |
| Лали Каулашвили – Издательства высших учебных заведений и издание книг по педагогике ..... | 12 |
| Зейнаб Жижилашвили – Выписки из книги впечатлений .....                                    | 14 |
| Терминологические изыскания  |    |
| Бадри Цхададзе – Палеографические книговедческие термины в грузинском языке. Обложка ..... | 16 |
| Правовая информация  |    |
| Цисана Церетели – Библиотеки и правовая информация .....                                   | 18 |
| Студенческое слово   |    |
| “Библиотека и современное образование” .....   | 24 |
| Корреспонденция  |    |
| Лейла Харбедиа – Встреча с читателями .....  | 25 |
| Кетеван Берошвили – Встреча с Георги Гигаури .....   | 26 |
| Кетеван Никурадзе – Традиция продолжается .....  | 28 |
| Прославленные предшественники  |    |
| Нино Дагундаридзе – Бессмертный Гиви .....   | 29 |
| Культурное наследие  |    |
| Гурам Шенгелия – Творческая интеллигенция – покровитель родного языка .....                | 32 |
| Филологические изыскания   |    |
| Рамаз Мепаришвили – Несколько слов об “Эдипе” .....  | 35 |
| Юбилеи   |    |
| Гулльнара Стура – Бернард Шоу .....  | 37 |
| Александр Лория – Зарисовка на память .....  | 39 |
| Наш достойный единомышленник .....   | 40 |
| Специалист советует  |    |
| Цисана Церетели – Современная экология в Универсальной десятичной классификации .....      | 41 |
| Рецензия   |    |
| Акаки Матиашвили – Труд Г. Саитидзе «Из истории политической мысли в Грузии» .....         | 42 |
| Гурам Такниашвили – Труд епископа .....  | 44 |
| Библиографическое обозрение  |    |
| Первый грузинский учебник .....  | 46 |
| Издание, достойное внимания .....  | 47 |
| Георги Сараджишвили – Из старой грузинской периодики .....                                 | 48 |
| Для поддержки Национальной библиографии .....  | 48 |
| Поэзия святых Грузии .....   | 49 |
| Информация   |    |
| Натела Натлиашвили-Квиникадзе – Журнал «Бнеи Циони» .....                                  | 50 |
| Письмо в редакцию .....  | 52 |
| Творчество читателей   |    |
| Гурам Такниашвили – Поэзия – спасение души .....   | 53 |
| Календарь юбилейных дат 2007 .....   | 55 |
| Некролог .....   | 58 |

Georgian Library N 4-06  
 Table of Contents

|   |    |
|---|----|
| Special education .....   | 4  |
| <b>From The History Pages</b>   |    |
| Guram Chkaidze - For the history of Tbilisi Public Library .....  | 6  |
| Irine Goglidze - The first book shops in Tbilisi (1840-1880) .....  | 9  |
| Lali Kaulashvili - The publishing houses of high academic institutions and edition of pedagogical book .. | 12 |
| Zeinab Zhzhilashvili-Extracts from the book of impressions .....  | 14 |
| <b>Terminological Searches</b>  |    |
| Badri Tskhadadze-Book-learning paleographical terms in Georgian. Cover .....                              | 16 |
| <b>Legal Information</b>  |    |
| Tsisana Tsereteli-Libraries and Legal Information .....   | 18 |
| <b>Student Word</b>   |    |
| “Libraries and Modern Education” .....  | 24 |
| <b>Correspondences</b>  |    |
| Leila Kharbedia-Meeting with readers .....  | 25 |
| Ketevan Beroshvili - Meting with Giorgi Gigauri .....   | 26 |
| Ketevan Nikuradze - Tradition continues .....   | 28 |
| <b>Distinguished Heritage</b>   |    |
| Guram Shengelia - Creative Intelligency - The protector of Mother Tongue .....                            | 32 |
| <b>Phylological Survey</b>  |    |
| Ramaz Meparishvili - A Few words about “Oedipus” .....  | 35 |
| <b>Jubilee</b>  |    |
| Gulnara Sturua - Bernard Shaw .....   | 37 |
| Alexandre Loria - Memorable sketch .....  | 39 |
| Our merit supporter .....   | 40 |
| <b>Specialist’s Advice</b>  |    |
| Tsisana Tsereteli - Modern ecology in Universal Decimal Classification .....                              | 41 |
| <b>Review</b>   |    |
| Akaki Matiashvili - The work of G. Khatidze - From the history of Georgian Political Sense .....          | 42 |
| Guram Takniashvili - Bishop’s work .....  | 44 |
| <b>Bibliographical Review</b>   |    |
| The first Georgian book .....   | 46 |
| Important edition .....   | 47 |
| Giorgi Saradzishvili - From Old Georgian Periodicals .....  | 48 |
| For the support of public bibliography .....  | 48 |
| The poetry of Georgian Sacred .....   | 49 |
| <b>Information</b>  |    |
| Natela Natliashvili-Kvinikadze - Journal - “Bney Cjon” .....  | 50 |
| To the editors .....  | 52 |
| <b>Reader’s Creations</b>   |    |
| Guram Takniashvili-Poetry, to save the soul .....   | 53 |
| The Calendar of Jubilee Dates 2007 .....  | 55 |
| Obituary .....  | 58 |



## საქართველოს ბიბლიოთეკა

სიტყვა „სპეციალობა“ ლათინურიდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით „განსაკუთრებულს“ ნიშნავს; ის წარმოადგენს სპეციალური მომზადებისა და გამოცდილების ერთობლიობას, რაც აუცილებელია ამა თუ იმ პროფესიისათვის. იგი არის საზოგადოების შრომითი საქმიანობის დანაწევრების აუცილებელი პირობა, რის გარეშეც მაღალი პროფესიული შედეგების მიღწევა შეუძლებელია. რაც შეეხება „სპეციალიზაციას“, ის გულისხმობს რაიმე გამორჩეული ეტაპის ან ეპიზოდის, დეტალისა თუ მონაკვეთის განსაკუთრებულად გამახვილებულ შესწავლას.

სპეციალობის დაუფლება სხვადასხვა გზით ხდება, რის შემდეგაც შეიძლება ადამიანი ნამდვილ სპეციალისტად ჩამოყალიბდეს. ძირითადად ორი გზა არსებობს თავისი განსტოვებით: ერთი – პრაქტიკული გამოცდილება, ცოდნის მიღება ჩვეულებრივი საქმის წარმოების პროცესში, მეორე – სპეციალური სასწავლო პროცესი. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზეც, თუ რომელ სპეციალობასთან გაქვს საქმე, რა დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევა ის; არის შედარებით მარტივი, წმინდა პრაქტიკული დარგები და არის რთული პროფესიული საქმიანობა, რომელიც თეორიის ღრმა ცოდნას მოითხოვს პრაქტიკასთან ერთად კომპლექსში. პირველ შემთხვევაში ადგილი გაქვს ვიწრო, უმეტესწილად ტექნიკური ოპერაციების დაუფლებასთან, ასე ვთქვათ, დაოსტატებასთან, თუმცა თეორიისაგან მთლიანად თავის აცილება აქაც არ შეიძლება; მეორე – ღრმა საფუძვლიან ცოდნისა და გამოცდილების მიღებასთან არის დაკავშირებული. რაც ყველა ქვეყანაში ორგანიზებული საგანმანათლებლო სისტემით ხორციელდება. სხვადასხვა ქვეყანაში ეს სისტემა სხვადასხვაგვარია, სხვადასხვა ამოცანებსა და მიზნებს ისახავს, სხვადასხვაგვარი საზოგადოების დამოკიდებულებაც მის მიმართ, ორგანიზაციისა და სრულყოფილად მუშაობის უზრუნველყოფის საშუალებები და პირობები.


სპეციალობის დაუფლება გულისხმობს არა მარტო საქმის ტექნიკის სრულყოფილად დაუფლებას, არამედ საქმისადმი დამოკიდებულებისათვის ფსიქოლოგიურ შემზადებასაც, როდესაც პიროვნება დადებით დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი საქმისადმი, შეგუებულია მის

სირთულეებსა და სიძნელეებს, გათავისებული აქვს ის, როგორც თავისი საზოგადოებრივი საქმიანობა. არა კმარა, იყო მხოლოდ საქმეს დაუფლებული პიროვნება, სპეციალისტი, რომ სრულყოფილ პროფესიონალად ჩამოყალიბდეს, თუ ფსიქოლოგიური მზაობა არ გაქვს, თუ არ თვლი, რასაც აკეთებ, ის შენი საქმეა, თუ არ აღიარებ მას შენეულ პროფესიად.

ხშირად ამა თუ იმ დარგში დასაქმებული ე.წ. შემთხვევითი ადამიანები წლების მანძილზე ერთი და იმავე საქმის წარმოების პროცესში თითქოს სპეციალიზირდებიან და წარმატებულადაც, მაგრამ ამგვარ სპეციალისტებს არ ძალუბთ დარგის წინ წაწევა, მისი განვითარება, სიახლის გატარება, საქმისადმი რაციონალური მიდგომა, განსაკუთრებით პიროვნებებთან (მომხმარებლებთან) ურთიერთობა, თუკი ამ საქმეს თავიანთ საქმედ არ მიიჩნევენ. თავიანთ საბოლოო პროფესიად არ აღიარებენ. ამიტომაც ყოველი სპეციალობის დაუფლებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფსიქოლოგიური გარემოს ორგანიზაცია, რაც სწავლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

სწორედ ამგვარი დამოკიდებულება სუფევდა მარადქამს საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტების მომზადების საქმეში. ცხადია, იშვიათი არ იყო შემთხვევითი პირების მოსვლაც, მაგრამ ბევრი მათგანი იცვლიდა სპეციალობას, ბევრიც გაითავისებდა ხოლმე მას და, ამრიგად, საბოლოოდ მათგან ღირსეულ სპეციალისტებს ვღებულობდით. საბიბლიოთეკო სფეროში უამრავი ასეთი ადამიანი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს. ისინი არაფრით ჩამორჩებიან მათ, ვინაც ეს პროფესია თავიდანვე თავისი ინტერესის ფარგლებში მოაქცია.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს სპეციალისტთა მომზადების საქმეში იმ სიახლეთა გათვალისწინება და იმ მოთხოვნისებთან მხედველობაში მიღება, რომლებსაც არსებული სინამდვილე წარმოქმნის. ამ თვალსაზრისითაც ყოველთვის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა. თავდაპირველად ორწლიანი სასწავლო კურსი ოთხწლიანად გადაკეთდა, შემდეგ კი – ხუთწლიანად; როდესაც მთელ მსოფლიოში საბიბლიოთეკო საქმეში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა



დაიწყო, ჩვენში სპეციალისტთა მომზადება უცხო ენების სპეციალიზაციით დაიწყო – კომპიუტერული ტექნიკის გაძლიერებული სწავლებით. შეიქმნა სპეციალობა „ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია უცხო ენის სპეციალიზაციით“, აგრეთვე „ბიბლიოთეკათმცოდნეობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი“.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან იწყება საბიბლიოთეკო საქმის „ნაბიჯ-ნაბიჯ“ შეერთება ინფორმაციულ სამსახურთან. 90-იან წლებში იუნესკომ ოფიციალურად გამოაცხადა თავის კონვენციაში, რომ ამჟამად ყოველი საჯარო ბიბლიოთეკა ინფორმაციის ცენტრს წარმოადგენსო. ამის გათვალისწინების შედეგად მოხდა სწორედ რომ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობა ორგანულად დაუკავშირდა საინფორმაციო მენეჯმენტს და ერთ სპეციალობად იქცა.

სხვადასხვა ქვეყანაში საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტების მომზადება სხვადასხვაგვარი სისტემით ხდება. ზოგან ის განიხილება როგორც უმაღლეს განათლებაზე დამატებით მიღებული პროფესიული ცოდნა, ზოგან ორსაფეხურიანი პირდაპირი სპეციალური განათლებით იფარგლებიან, ზოგან სპეციალისტების მომზადება უმაღლესი სასწავლებლების სპეციალურ სკოლებში ხდება; ანსხვაგვარ უმაღლესი და საშუალო სპეციალურ განათლებასაც და ა.შ. მაგრამ ერთი ურყევადაა დამკვიდრებული ყველგან, გარდა ჩვენი ქვეყნისა – ბიბლიოთეკაში მუშაობისათვის სპეციალური ცოდნის მიღების აუცილებლობა; ეს ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკაში მუშაობისთვის საჭიროა რაღაცეგვარი გზით მიღებული საბიბლიოთეკო სპეციალობის დადასტურება. მუშაე ვერ დაინიშნება თანამდებობაზე, ვერ მიიღებს მაღალპროფესიულ დატვირთვას, თუ მას არ აქვს მიღებული სპეციალური ცოდნა რომელიმე დონისა მაინც. ამგვარი მოთხოვნა ხელს უწყობს დარგის არა მარტო პრესტიჟის ამაღლებას, არამედ მის განვითარებას. ახალი მოთხოვნების ღრმად წვდომასა და გათვალისწინებას, სტრატეგიისა თუ ტაქტიკის სწორად შემუშავებას.

არ არსებობს არც ერთი ცივილიზებული ქვეყანა, სადაც არ ხდებოდეს საბიბლიოთეკო და საინფორმაციო დარგის სპეციალისტების გეგმიურად მომზადება და მათი დასაქმებისთვის ხელშეწყობა.

სამწუხაროდ, ჩვენში ეს სპეციალობა რატომღაც ყოველთვის შევიწროვებისა და დე-

ნის საგნად იყო ქცეული; დიდი მონღოლები-სა და ხშირად ბრძოლის შედეგად ხდებოდა უმაღლეს სასწავლებელში ამ სპეციალობის შენარჩუნება. ნაცვლად იმისა, ხელი შეეწყოთ მისი გათანამედროვეებისათვის, ბიბლიოთეკის საქმისა და ინფორმაციის სამსახურების ორგანულად შერწყმისათვის, სპეციალისტთა მომზადების დონის ამაღლებისათვის, ხდებოდა პირიქით – წამოჭრილი პრობლემების უგულებელყოფა. მხოლოდ იმ ღირსეულ მესვეურთა ღვაწლის შედეგია, რომლებიც ამ საქმესთან იყვნენ დაკავშირებულნი, აქამდე რომ არ მომხდარა სპეციალობის ლიკვიდაცია. მათ ესმოდათ საქმის ვითარება, იცოდნენ, რა დიდი მნიშვნელობის საქმე იყო საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტების მომზადება და, რაც მთავარია, ამას სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით განიხილავდნენ და აუფასებდნენ, ითვალისწინებდნენ რა ობიექტურად არსებულ პირობებს.

ამჟამად, ამ საგანმანათლებლო რეფორმის პირობებში, რა იქნება, არავინ იცის. არ არსებობს არავითარი სტრატეგია (ან არსებობს და ჩვენთვის არ არის ცნობილი), რომ რაღაც წინასწარ განსჭვრიტო და პროგნოზები გააკეთო. სამწუხაროდ, დარგის სპეციალისტები ძალიან შორს არიან პერსპექტივების დამუშავების საქმესთან და, ამდენად, ვერ არიან ჩართული გარდაქმნათა პროცესში.

ჩვენი ვალაია, ენერგიულად ვიღვაწოთ დარგის განვითარებისათვის, რაც მოითხოვს გაუნელებელ ბრუნვას ახალგამრდა კადრების მომზადების საქმის დონის ამაღლებისათვის. არ უნდა დავეუშვათ სპეციალობის დისკრედიტაცია, მისი უგულებელყოფა, სწავლების სისტემის გაუქმება, პირიქით – ხელი შევუწყოთ მის განმტკიცებას, განახლებას, რეფორმაციას; წამოვავყენოთ მოთხოვნები, რომ გათვალისწინებულ იქნეს არსებული სიახლეები – საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული სპეციალობა ორგანულად შეერწყას ინფორმაციული საქმის პროცესებს, რომ მოხდეს ამ ორი მიმართულების გამთლიანება. სპეციალისტთა მომზადება სწორედ ამ კუთხით უნდა განვითარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი ეს არ განხორციელდება, ჩვენი საბიბლიოთეკო-ინფორმაციული დარგი დარჩება კვლავ დაბალ დონეზე, როგორმეღაც ამჟამად არის.

მეტი ყურადღება სიახლეებს! მეტი დახმარება სპეციალისტთა კადრების მომზადებას! – ასეთია ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მიდგომა ამ პრობლემისადმი.

გურამ ჩხაიძე  
პროფესორი

## თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის

დაარსების 160 წლისთავის ბაგო

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის. იგი სამართლიანადაა მიჩნეული ჩვენში საბიბლიოთეკო საქმიანობის მედრომედ. მას მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის სახით საქართველოში საბიბლიოთეკო საქმემ პირველად შეიძინა მაღალკვალიფიციური პროფესიული ხასიათი. იგი კავკასიაში არსებული დაწესებულებებიდან პირველი შევიდა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და ყოველთვის გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა ჩვენი საზოგადოების ცნობიერების ფორმირებაზე.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება ემთხვევა საქართველოში კოლონიზაციის ახალ ეტაპს, როცა რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიაში კოლონიური პოლიტიკის გატარება უფრო მოქნილად, უმთავრესად კულტურული ღონისძიებებით განიზრახა.

ამ პერიოდში თბილისში დაარსდა ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, შეიქმნა სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოება, რაც გარეგნულად ერთგვარი დათმობებისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე ზრუნვის ილუზიას ქმნიდა.

მართალია, კულტურის დარგში საქართველოში განხორციელებული ყველა ღონისძიება კოლონიურ ამოცანებს ემსახურებოდა, მაგრამ ქართველი მომუშაოების შეუპოვარი მცდელობის შედეგად ეს ღონისძიებები საბოლოო ჯამში ქართული კულტურის და განმანათლებლობის აღდგენა-გადარჩენას მაინც ობიექტურად ემსახურებოდა და ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენებოდა.

მეორე მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და ქართველი ხალხის განათლება-განახლებისკენ სწრაფვამ, რის საფუძველზედაც უნდა განხორციელებულიყო ერის სოცია-

ლური და პოლიტიკური თავისუფლება, წარმოშვა სოლიდური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნის მოთხოვნილება.

ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიყვეთა XIX საუკუნის შუახანებიდან: 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული თეატრი, 1846 წელს იწყებს გამოსვლას გაზეთები „კავკაზი“ და „კავკაზსკი კალენდარი“, 1848 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ობსერვატორიამ, 1850 წელს შეიქმნა ქართული თეატრი, დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება, 1851 წელს თბილისში დაიდგა იტალიური ოპერა, 1852 წელს გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ციცარა“ და ფუნქცია კავკასიის მუზეუმი.

ყველა ეს ღონისძიება დაკავშირებული იყო კავკასიის მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის სახელთან, რომელსაც თანამედროვეთა გადმოცემით ყველაზე უკეთ ეხერხებოდა თავისი ნამდვილი ზრახვების შენიღბვა-შელამაზება პირფერობით და ლოიალობით.

ვორონცოვი მიხეილ (1782-1856 წწ.) ძველი, ცნობილი არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენელი, აღიზარდა ინგლისში, რუსეთის ელჩის ოჯახში, მიიღო ევროპული განათლება. ახალგაზრდობაში მსახურობდა კავკასიაში პ. ციციანოვის არმიაში. პეტრე ბაგრატიონის მეთაურობით იბრძოდა ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ. ბოროდინოსთან მძიმედ დაიჭრა, პარიზის ოკუპაციის დროს ხელმძღვანელობდა კორპუსს. შემდეგ გახდა ფელდმარშალი. 1823-44 წლებში იყო ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის ოლქის მეფისნაცვალი. მას მიაწერენ ყირიმში დიდ აღმშენებლობით სამუშაოების ჩატარებას. იყო კავკასიის საგანგებო კორპუსის მთავარსარდალი, ენერგიულად იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. სოფელ დარგოსთან ოპერაციისათვის აყვანილ იქნა თავადის ხარისხში და მიენიჭა უგანთლებულესის ტიტული. (11; 223).





1844 წელს მ. ვორონცოვი გახდა კავკასიის მეფისნაცვალის ახალი კოლონიური პოლიტიკის გატარებისას იგი ოსტატურად იყენებდა „მათრახისა და ტკბილი კვერის მეთოდს“.

სწორედ მისი თაოსნობით 1846 წელს საფუძველი ჩაეყარა ბიბლიოთეკას, რომელსაც ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას უწოდებდნენ. მას ეკავა მეფისნაცვლის კანცელარიის უჯრედში მდებარე პირველი სართულის რამდენიმე პატარა ოთახი. თავდაპირველად ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგებოდა კანცელარიაში არსებული და აქ მომუშავე მოხელეებისგან შემოწირულობებით მიღებული წიგნებიდან, რომელიც სულ ითვლიდა 6200 ტომს. სულ მალე მას დაემატა ქალაქ ოდესაში მ. ვორონცოვის ინიციატივით 1848 წლის აგვისტოში შექმნილი ფრანგი ემიგრანტის ა. დეგუროვის კუთვნილი ბიბლიოთეკის ნაწილი – 6850 ტომი (10; 801).

დეგუროვი ანტონი (1775-1849 წწ.) წარმოშობით ფრანგი, Jendy Dugour, საფრანგეთის რევოლუციის დროს იყო კოლეჯისა და პარიზის ცენტრალური სკოლის პროფესორი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ მოვლენებში. მალე იძულებული შეიქნა გადასულიყო ინგლისში, საიდანაც თავად ა. ბარიატინსკის დახმარებით ჩამოვიდა რუსეთში. მუშაობდა ქ. კურსკში, სადაც გახსნა კეთილშობილ ქალთა პანსიონატი, ხოლო 1806 წელს დაიკავა ხარკოვის უნივერსიტეტში პროფესორის კათედრა, 1816 წელს იგი გადადის პეტერბურგში, სადაც ირჩევენ უნივერსიტეტის რექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1836 წლამდე. (12; 51).

1848 წლის 5 ივნისს მეფისნაცვლის კანცელარიის შენობაში გაიხსნა სამკითხველო დარბაზი. გაზეთ „კავკაზის“ ცნობით, ამ პერიოდისთვის ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა 3335 წიგნი, აქედან 300-მდე წიგნი კავკასიას შეეხებოდა (5; 4).

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა გ. ტოკარევი.

ტოკარევი გავრილი (1796-1854 წწ.) მეცნიერი, მწერალი და მოგზაური; იგი XIX საუკუნის 40-იან წლებში ჩამოდის კავკასიაში და მუშაობას იწყებს მეფისნაცვლის კანცელარიაში. 1848 წელს ინიშნება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად; აქტიურად მონაწილეობს კავკასიის მეცნიერულ შესწავლაში; მის სახელთან არის დაკავშირებული კავკასიის

მხარის შესახებ პირველი ბიბლიოგრაფიული ცნობარის შედგენა. აქვს გამოკვლევები საქართველოსა და სომხეთის ისტორიის საკითხებზე.

ბიბლიოთეკის ფონდები სწრაფად იზრდებოდა. მისი შევსება შემოწირულობებით და ნაყიდი წიგნებით ხდებოდა. მეფისნაცვლის განკარგულებით კავკასიაში გამოცემული წიგნების ორი ეგზემპლარი სავალდებულო წესით უსასყიდლოდ უნდა გადაცემოდა ბიბლიოთეკას.

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. მას წინ უძღოდა ამ ქალაქში საბიბლიოთეკო საქმიანობის გარკვეული ტრადიციები.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში აღნიშნავდა: „პირველი ბიბლიოთეკა ტფილისში 40-იანი წლების დასაწყისში დაარსდა; მე ვიყავი მთავარმართებლობის კანცელარიის უფროსი და ერთხელ სამსახურის საქმის მოხსენების შემდეგ ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინს გამოუუცხადე რამდენიმე ჩემი ტოლი ამხანაგის სურვილი, რომ გვინდოდა დაგვეარსებინა კერძო სამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვერთავდა თუ არა ამის ნებას. რა მივიღე მისი თანხმობა, მეორე შემთხვევის დროს წარმოუდგინე მას „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტი და როგორც კი მოაწერა ზედ „ვამტკიცებ გოლოვინი“ – აღარ დაგვიყოვნებია ჩვენი სურვილის განხორციელებას შევდგომოდით“ (4; 121).

დ. ყიფიანი აქვე ასახელებს იმ მამულიშვილებს, რომლებსაც კერძო ბიბლიოთეკა დაუარსებიათ თბილისში: ზაქარია ერისთავი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ზაქარია ორბელიანი, კონსტანტინე დადიანი, ალექსი ონიკაშვილი, ლევან მელიქიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, დავით ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ივანე ორბელიანი და სხვები (4; 123).

კერძო ბიბლიოთეკა დ. ყიფიანის სახლში განთავსებულა და გამგეც თვითონვე ყოფილა. მაგრამ ბიბლიოთეკას დიდხანს ვერ უარსებია. ფინანსური ხელმოკლეობის გამო იგი 1848 წელს დახურულა, წიგნები კი კანცელარიის ბიბლიოთეკისთვის გადაუციათ.

1850 წლისათვის კანცელარიის შენობაში მოთავსებულ ბიბლიოთეკაში უკვე ირიცხებო-

და 2014 დასახელების 5567 წიგნი. (9; 10). რადგან ბიბლიოთეკა განიცდიდა ფართის დიდ ნაკლებობას, მისთვის ქალაქის ცენტრში, ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში, 12 წლით 1200 მანეთად დაუქირავებათ ვახტანგ ორბელიანის სახლი.

ახალ შენობაში დაბინავებულმა საჯარო ბიბლიოთეკამ 1852 წლის პირველ მაისს გახსნა სამკითხველო დარბაზი და მიიღო პირველი მკითხველები. ამ პერიოდისთვის ბიბლიოთეკაში 5249 დასახელების 13051 წიგნი ირიცხებოდა, აქედან კავკასიის შესახებ – 477 დასახელების 873 წიგნი. (10; 11)

1868 წლის 2 იანვარს საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი გაერთიანდა ერთ დაწესებულებად და ოფიციალურად მოიხსენიებოდა „კავკასიის მუზეუმი და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“-დ. ბიბლიოთეკამ დაიკავა კავკასიის მუზეუმის ეზოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ბარონის (დღევანდელი ა. ფურცელაძის) ტერიტორია. მისი ხელმძღვანელობა დაევალა კავკასიის მუზეუმის დირექტორის თანაშემწეს. წლების განმავლობაში ამ თანამდებობას ასრულებდნენ: დე სენ-ტომა, ა. ბერჟე, თ. ბრანტი, ე. გერშელმანი, გ. სივერსი, და პ. მილერი.

1861, 1866 და 1881 წლებში გამოიცა ბიბლიოთეკის ანბანური და სისტემატური კატალოგები, მათი ავტორები იყვნენ ა. ბერჟე, გ. სივერსი და პ. მილერი.

1868 წელს ფონდების ზრდასთან დაკავშირებით დაიწყო კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისთვის არქიტექტორ ალ. ზალცმანის პროექტით ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც დამთავრდა 1870 წელს, მოგვიანებით, XIX საუკუნის 80-იან წლებში შენობას ლ. ბილფელდის პროექტით დაეშენა მეორე სართული, რითაც საგრძნობლად გაიზარდა ამ დაწესებულების საფონდო ფართი.

ბიბლიოთეკისთვის ახალი წიგნების შესაძენად ყოველწლიურად გამოიყოფოდა ჯერ 200, ხოლო შემდეგ – 1200 მანეთი. რასაკვირველია, ეს არ იყო საკმარისი, მაგრამ ამ თანხით მაინც ხერხდებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობის და ხარისხის ლიტერატურის შეძენა. ბიბლიოთეკაში გაცილებით მეტი წიგნი შემოდიოდა შემოწირულობების გზით, სხვადასხვა პირებიდან და ორგანიზაციებიდან. ბიბლიოთეკა პერიოდულად მდიდრდებო-

და აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან გამოგზავნილი წიგნებით.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისელებისთვის სულ მალე გადაიქცა სასურველ და საყვარელ ადგილად. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად საშუალოდ ემსახურებოდა 8 ათასამდე მკითხველს.

1884 წლის 8 მაისს იმპერატორის ალექსანდრე II-ის მიერ დამტკიცებული კანონის თანახმად, კავკასიის მუზეუმი და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა მთავარმართებლის კანცელარიის დაქვემდებარებიდან გადავიდა განათლების სამინისტროს უწყების დაქვემდებარებაში, ხოლო სამეცნიერო სამუშაოთა ხაზით შევიდა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში (1; 82).

თანდათან მოხერხდა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა. კავკასიის მუზეუმთან შეიქმნა საცნობარო-საინფორმაციო განყოფილება – ე.წ. „მუზეუმის საბიბლიოთეკო ცნობარი“, რომელიც ჩაერთო საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ საძიებელში (3; 12).

XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის მუზეუმი და ბიბლიოთეკა რუსეთის 23 ქალაქის 55 ორგანიზაციასთან და მსოფლიოს 16 ქვეყნის 44 გამომცემლობასთან იყო დაკავშირებული (2; 73) და აწარმოებდა თავისი პროდუქციის გაცვლას.

1909 წლისათვის ბიბლიოთეკაში უკვე ითვლებოდა 26 790 დასახელების 47 403 წიგნი. ამ წელს იგი მოემსახურა 10 ათასამდე მკითხველს (7; 26).

ამ პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის გაფართოების საკითხი. წინა საუკუნეში აკებული შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მოთხოვნილებას. საფონდო ოთახები ვეღარ იტევდა ექსპონატებს და წიგნებს. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა მესინას ცნობილში მიწისძვრის ბიძგებმა, რამაც თბილისამდეც მოაღწია. შენობის ავარიულობა იმდენად საშიში გახდა, რომ 1908 წლის 16 დეკემბერს მეფისნაცვლის განკარგულებით, როგორც მუზეუმი, ისე ბიბლიოთეკა დაიხურა.

1910 წელს, გოლოვინის გამზირის გასწვრივ, ნიკოლოზისა (დღევანდელი ნ. ვაჩნაძის) და ბარონის (დღევანდელი ა. ფურცელაძის) ქუჩებს

შორის ტერიტორიაზე კ. ტატიშჩევის პროექტით დაიწყო მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც ძალიან გაჭიანურდა. ამასობაში მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ამ დაწესებულებათა ისტორიაში.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1919 წლის 1 აგვისტოს დეკრეტით, კავკასიის მუზეუმის ბაზაზე ჩამოყალიბდა ეროვნული დაწესებულება-საქართველოს მუზეუმი.

1923 წლის მაისში საქართველოს მუზეუმს გამოეყო და ცალკე დაწესებულებად. ჩამოყალიბდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც დაექვემდებარა განათლების სახალხო კომისარიატს. იგი განათვსდა ლორის-მელიქოვის (ახლანდელი ლ. გუდიაშვილის) ქუჩაზე 1912-1916 წლებში არქიტექტორ ანატოლი კალვინის პროექტით აგებულ ყოფილ სათავადაზნაურო ბანკის შენობაში.

მითითებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1884, ფ.27/16.
2. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1884, ფ.27/16.
3. საქართველოს მუზეუმის არქივი. – 1884, ფ.27/16.
4. ყიფიანი დ. მემუარები. – თბ., 1990.
5. «Кавказ», 1848. 5 июня, №5.
6. «Кавказский календарь» за 1885 г.
7. Известия Кавказского Музея и тифлисской публичной библиотеки; т.VI. 1909.
8. Известия Кавказского Музея и тифлисской публичной библиотеки; т.IX. 1915.
9. Берже А. Краткий каталог тифлисской публичной библиотеки. – тб., 1861.
10. Энциклопедический словарь: т. III. – СПб, 1891.
11. Энциклопедический словарь: т. VII. – СПб, 1897, 223.
12. Энциклопедический словарь: т. VII. – СПб, 1891.

ირინე გოგლიძე

## ნიზნის პირველი მაღაზიები და ბიბლიოთეკები ქ. ტფილისში 1840-80-იან წლებში

ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა ქალაქ ტფილისში 50-იან წლებამდე კულტურულ აღმავლობას ხელს უშლიდა. დაუმთავრებელმა ომებმა სპარსელებთან, თურქებთან და მთიელებთან ამოწურა განვითარების ყველა შესაძლებლობა. მხოლოდ 1845 წელს კავკასიის მეფის ნაცვლის მ. ვორონცოვის ჩამოსვლამ საქართველოში შეცვალა კავკასიელ ხალხთა კულტურული პირობები და საფუძველი ჩაეყარა განათლებას. მ. ვორონცოვი იყო უაღრესად დიდი ნდობითა და უფლებებით აღჭურვილი პიროვნება. მისი თაოსნობითა და ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი კულტურული კერების აღმავლობას მთელ კავკასიაში. მან ეტაპობრივად მოვიდა ხელი განათლებისა და საბიბლიოთეკო სფეროს. იმ პერიოდში კავკასიაში წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ნაკლებად იბეჭდებოდა. მეზობელი ქვეყნებიდანაც

მწირი რაოდენობით შემოდოდა, თუ არ ჩავთვლით ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიის ბიბლიოთეკას, რომელიც 1803 წელს გაიხსნა. პანსიონის ბიბლიოთეკები სამადლოდ იღებდნენ ქალაქის ოფიციალურ და არაოფიციალურ გამოცემებს.

50-იან წლებში ქ. ტფილისში ფუნქციონირებდა შერეული უცხოური მაღაზიები, სადაც ვაჭრობდნენ როგორც უცხოური სუნამოებით, ასევე მოღური საქონლითა და წიგნებით (იხ. გაზ. «Кавказ» 1846). ერთი სიტყვით, უნდა ითქვას, რომ ქ. ტფილისში არც წიგნების მაღაზიები და არც ბიბლიოთეკები არ არსებობდა. 1834 წელს ქ. ტფილისში ჩამოვიდნენ ძმები ავეტიკ და ამბარცუმ ეფინჯიანცები, რომელთაც სახლი იყიდეს სოლოლაკში და იქვე გახსნეს წიგნის მაღაზიაც. მაღაზიაში თავდაპირველად იყიდებოდა სომხურ ენაზე



დაბეჭდილი წიგნები, რომლებიც შემოდიოდა ვენეციიდან. ვენიდან, კონსტანტინეპოლიდან, კალკუტიდან, მოსკოვიდან, სმირნიდან და სხვა ქალაქებიდან. ეფინჯიანცების საქმიანობა მომგებნიანი გამოდგა და მათ გადაწყვიტეს გაეფართოებინათ თავიანთი საქმიანობა. ისინი ადგილობრივ სტამბებში ბეჭდავდნენ ჟურნალ-გაზეთების სერიებს. იმ დროს იბეჭდებოდა გაზეთი «Кавказ» სომხურ ენაზე, რომლის რედაქტორი გამოჩენილი სომეხი მწერალი კარენიანი იყო. ხოლო რუსულ ენაზე გამოცემულ გაზეთ «Кавказ»-ის რედაქტორი იყო ისტორიკოსი კოსტანტინოვი. ყველა ეს გამოცემა იბეჭდებოდა 1846 წლიდან.

კავკასიისადმი ინტერესი იმ დროს არა მარტო ადგილობრივ ძალებს ჰქონდათ, არამედ უცხოელებსაც, რომ არაფერი ითქვას პეტერბურგსა და მოსკოვზე. (იხ. გაზეთი «Кавказ», 1847. სომხურ ენაზე).

მიუხედავად ქართული და რუსული ენების წერა-კითხვის უცოდინარობისა, ძმები ეფინჯიანცები თავის თავზე იღებდნენ კავშირებს სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებთან. ისინი იყვნენ აგრეთვე სამეცნიერო აკადემიის, უნივერსიტეტების, ინსტიტუტებისა და გიმნაზიების კომისიონერები. მათი ინიციატივითა და დაფინანსებით იბეჭდებოდა სტამბებში რუსული გაზეთების სერიები.

მათ წარმომადგენლებს ჰქონდათ მიმოწერები საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნების რარიტეტებთან. პირველი ბიბლიოთეკა ქ. ტფილისში შედგებოდა საზღვარგარეთიდან შემოტანილი მდიდარი კოლექციებისაგან.

50-იან წლებში ქ.ტფილისში დიდგვაროვანთა ოჯახებში გაჩნდა პირადი ბიბლიოთეკები. მათ შექმნაშიც ეფინჯიანცების წვლილი იყო.

1856 წელს ეფინჯიანცების ფირმა ახალ შენობაში გადავიდა შტაბთან ერთად და იქვე მალაზიის გვერდით მათ გახსნეს ბიბლიოთეკა სახელწოდებით «Библиотека для чтения», მაგრამ ამ ბიბლიოთეკამ დიდხანს ვერ იარსება, რადგან ძმებს გაუძნელდათ ბიბლიოთეკის ამუშავება და მალე დაიხურა. მათ მთელი ყურადღება გადაიტანეს გაზეთ «Кавказ»-ის იშვიათ გამოცემებზე, რომელშიდაც იბეჭდებოდა გამოჩენილი ადამიანების უიშვიათესი ხელნაწერები.


ეფინჯიანცების თაოსნობით უამრავი წიგნი დაიბეჭდა, რომელთა უმრავლესობა სომხურენოვანი იყო. მათ სტამბაში იბეჭდებოდა ჟურნალი «Круи»-ი სომხურ ენაზე და სხვა. მათვე ჰქონდათ საკუთარი ტიპოგრაფია და მალაზია, რომელიც დაიკეტა 1903 წ.

ქ. ტფილისში 1875 წ. გოლოვინის მოედანზე გაიხსნა კიდევ ერთი წიგნის მალაზია გუსტავ ბერნშტამის თაოსნობით. იგი იყო წარმოშობით გერმანელი, რომელსაც სანკტ-პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული. გ. ბერნშტამის მალაზია იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო მალაზია. ამ უკანასკნელს მ. ვორონცოვმა დაუნიშნა ყოველწლიური დახმარება. ამ დახმარების წყალობით გ. ბერნშტამის მალაზიაში მოიპოვებოდა ყველანაირი რუსული სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები, ასევე ევროპულენოვანი, სომხურ, თათრულ და ქართულენოვანი, მაგრამ ამ წიგნის მალაზიასაც ჰქონდა ერთი ნაკლი, მისმა პატრონმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა და ვერც ქართული წიგნები იღებდა აქ შესაფერ ბინას.

გუსტავ ბერნშტამი ქალაქ ტფილისის სახალხო ბიბლიოთეკის კომისიონერი იყო გარდაცვალებამდე. იგი გარდაიცვალა 80-იან წლებში და მისი საქმე გადაიბარა ვინმე ბერგევიჩმა. ბერგევიჩი შეყვარებული იყო როგორც კავკასიელ ხალხზე, ასევე წიგნებზე კავკასიაზე. იმ პერიოდში მან წიგნების ბეჭდვა დაავალა ბერნიშევეს, რომელიც «Кавказ»-ის რედაქტორი იყო. ბერნიშევის რედაქტორობით იბეჭდებოდა «Кавказский вестник»-იც. აქ იბეჭდებოდა აგრეთვე მალაზიის კატალოგები სახელწოდებით «Книжный вестник». ბერნიშევის მიერ იყო შედგენილი კავკასიოლოგიის დარგში ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელიც, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად ითვლებოდა.

ბერნიშევის გარდაცვალების შემდეგ, მისი საქმიანობა გადავიდა ვინმე ხიდეკელის ხელში, რომელმაც ვერ შეძლო ბერნიშევის წამოწყებული საქმიანობის ორგანიზება და ეს საქმიანობა ლიკვიდირებულ იქნა მის მიერ.

1863 წელს არწრუნის ქარვასლაში წიგნის მალაზიას ხსნის ტერ-მიქაელიანი, რამდენიმე წლის შემდეგ მალაზია გადადის შახ-აივაზოვის



ხელში, რომელმაც მაღაზია აქცია სამკითხველო ბიბლიოთეკად 1880 წლამდე.

1860 წელს ტფილისში ვინმე ალადათოვმა გახსნა წიგნის მაღაზია, ეს მეწიგნე ქ. ტფილისის მოქალაქე იყო და ქართული წერა-კითხვაც იცოდა. ამ მაღაზიაში ქართული წიგნების გაყიდვის საქმეს საპატიო ადგილი დაუთმეს. მაღაზიამ 1879 წლამდე იარსება.

1865 წელს მასწავლებელმა ვინმე ვართანოვმა და გრიქუროვმა გახსნეს წიგნის მაღაზია მიხეილის ხიდზე, მრავლად იყო წიგნები ქართულ და სხვადასხვა ენებზე. ამ მაღაზიას ჰქონდა სტამბაც, სადაც იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები ქართულ და რუსულ ენებზეც. ქართული „ყარამანიანის“ გამოცემაც ამ მაღაზიის ფირმის დახმარებით მოხერხდა. სულ „ყარამანიანის“ ცამეტი კარი. ვართანოვი და გრიქუროვი გაიყარნენ 1870 წელს.

1871 წელს ვართანოვი დამოუკიდებლად ხსნის მაღაზიას ვორონცოვის ხიდზე, რომელშიდაც მხოლოდ სახელმძღვანელოებით ვაჭრობდნენ.

1872 წელს ვინმე ივანოვი ხსნის „სამკითხველო ბიბლიოთეკებს“ დაწესებულებებში და კლუბში, სადაც დადიოდნენ გამოჩენილი დიდგვაროვნები. ეს ბიბლიოთეკები გადავიდა ივანოვის მეგობრის – იონისიანის ხელში, რომელმაც ჯაბადარის საპატივცემულოდ წიგნის სავაჭრო ცენტრალურ ობიექტად აქცია და საქმის წარმოება ტერ-ისრაელიანს დაავალა. 1873 წელს მიხეილის ხიდზე ზაქარია გრიქუროვმა გახსნა წიგნის მაღაზია სახელწოდებით „კავკასიის წიგნით მოვაჭრე“. ამ წიგნის მაღაზიამ სახელი გაითქვა ქართული და სომხური წიგნების ვაჭრობით.

თვითონ ზაქარია გრიქუროვი იყო პედაგოგი და სომხურენოვან ღარიბ სკოლებში 30 წლის განმავლობაში მუქთად ასწავლიდა მოწაფეებს. მანვე დაიწყო იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ბეჭდვა, ასევე ბეჭდავდა ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“, მაგრამ იმდროინდელმა ქალაქის ცენტრურად 1500 ცალი წიგნი სრულად წაართვა და დაწვა. იგი ასევე სტამბავდა და ბეჭდავდა სომხურ ენაზე წიგნებს სათაურით: „საქართველოს შეერთება რუსეთის იმპერიასთან“, ილუსტრაციებით.

ზაქარია გრიქუროვი გარდაიცვალა 1910 წელს 65 წლის ასაკში. მან ანდერძით ეს მაღაზია თავის მეუღლეს სოფიო ივანეს ასულ გრიქუროვას დაუტოვა და თან ანდერძით დაავალა, რომ სანამ ცოცხალი იქნებოდა, ამ წიგნის მაღაზიისთვის მიეხედა და არ მოესპო.

მისმა მეუღლემ დანაპირები შეასრულა, მაგრამ ქართულენოვანი წიგნები ამ მაღაზიაშიც ნაკლებად მოიპოვებოდა, რადგან დიდი რუსეთის ცენტურა ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვას უმჯობესად დევნიდა.

1870-იან წლებში ქ. ტფილისში გაიხსნა ზ. ტრიკუროვის სახელობის «Кавказская книжная торговля» – სასტუმრო „ლონდონის“ სარდაფში. აქვე იყო სტამბაც, სადაც იბეჭდებოდა ზ. ტრიკუროვის რამოდენიმე საკუთარი გამოცემა.

1873 წელს პ. უმიკაშვილის თხოვნით არსენ ივანეს ძე კალანდაძემ ხელი მიჰყო იაფფასიანი წიგნების ბეჭდვას და გავრცელებას.

ა. კალანდაძე გურიაში დაიბადა, მაგრამ ბავშვობისას იგი ქ. ტფილისში ჩამოიყვანეს და შევირდად მიაბარეს კავკასიის მთავარმართებლის სტამბაში. მან კარგად შეისწავლა პოლიგრაფიული საქმე და ახლოს გაეცნო ქართველ მოღვაწეებს.

1875 წელს ქ. ტფილისში გაიხსნა წიგნის მაღაზია. სადაც იყიდებოდა მთავრობისათვის მიუღებელი წიგნებიც სხვა წიგნებთან ერთად. ამის გამო არსენ კალანდაძე დააპატიმრეს და მაღაზია დაუკეტეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, მან 1880 წ. გრ. ჩარკვიანთან ერთად გახსნა სტამბა. რამდენიმე თვის შემდეგ იგი გამოეყო გრ. ჩარკვიანს და საცხოვრებლად გადავიდა ქ. გორში, სადაც მან შექმნა პირველი სტამბა და წიგნის მაღაზია ქართლში. იგი გარდაიცვალა 1913 წელს.

**შენიშვნა:** ამ სტატიის მასალები ინახება ქ. თბილისის სახელმწიფო უძველესი ლიტერატურის ისტორიის არქივში და გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. დოკუმენტური მასალები ამოღებულია წიგნიდან «Кавказ».

ლალი ყაულაშვილი

## უმაღლესი სასწავლებლის გამოცემლობები და პედაგოგიური ნიშნის გამოცემა

პირველი საუნივერსიტეტო გამომცემლობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მეოცე საუკუნის დასაწყისში, ესაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, მან საგამომცემლო მუშაობა უნივერსიტეტის გახსნისთანავე დაიწყო. პირველი წიგნი უნივერსიტეტის გრიფით 1919 წელს გამოვიდა. ეს იყო სახელმძღვანელო ბოტანიკაში, ხოლო შემდეგ დაისტამბა უნივერსიტეტის მოამბის პირველი ტომი სამ ნაკვეთად. რადგან უნივერსიტეტს საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა არ გააჩნდა, წიგნები იბეჭდებოდა კერძო სტამბებში, ხოლო 1923 წლიდან დაარსდა უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გამომცემლობის შექმნამ ხელი შეუწყო უნივერსიტეტში წიგნების გამოცემას, დაიბეჭდა ორიგინალური შრომები სხვადასხვა დარგში: ანდრია რაზმაძის „მათემატიკური ანალიზის კურსი“ არჩილ ხარაძის „დეტერმინანტთა თეორიის საფუძვლები“, ალექსანდრე თვალჭრელიძის „გეომეტრიული კრისტალოგრაფია“, ივანე ბერიტაშვილის „ცხოველთა ფიზიოლოგია“ (საუნივერსიტეტო კურსი ოთხ ნაწილად), პეტრე მელიქიშვილის გამოკვლევები, ივანე ჯავახიშვილის საისტორიო ნაშრომები, იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის საენათმეცნიერო შრომები და სხვა.

უნივერსიტეტის გამომცემლობა გახსნის დღიდანვე ბეჭდავდა და დღესაც აგრძელებს სასწავლო ლიტერატურის გამოქვეყნებას, როგორც ზოგად, ისე ვიწრო სპეციალურ დარგებში. გამოდის სალექციო კურსები, სასწავლო-მეთოდური ნაშრომები, პროგრამები, შეიქმნა სერია „სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის“. 1997 წელს ამ სერიის ასზე მეტი ნაშრომი გამოიცა.

1979 წელს დაარსდა გერმანულენოვანი ქართველოლოგიური ჟურნალი „გეორგია“. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა თბილისის და იენის უნივერსიტეტების ერთობლივ გამოცემას. ამჟამად იგი იბეჭდება გერმანიაში, როგორც ოთხი უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის, ზაარ-


ბრიუკენის, იენის და კონსტანცას უნივერსიტეტების ყოველწლიური ერთობლივი კრებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს „თბილისის უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“. ამ სერიით იქნა გამოცემული ბერძნულ-ლათინურ ენებზე შექმნილი ქართული თარგმანები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს.

გამომცემლობა სისტემატურად ბეჭდავს საცნობარო ლიტერატურას, გამოსცემს აგრეთვე სახელმძღვანელოებს საშუალო სკოლის უფროსკლასელთათვის. ყოველწლიურად იბეჭდება ლიტერატურული აღმანახი „პირველი სხივი“. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბოლო პერიოდში განხორციელებული ისეთი გამოცემა, როგორც არის „ქართული დიპლომატია-წელიწდული“, რომლის პირველი წიგნი გამოვიდა 1994 წელს. ამჟამად გამოცემულია თორმეტი წიგნი, მეთორმეტე ტომი გამოვიდა 2005 წელს; „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“ ორ ტომად, „ქართული დიპლომატიური ლექსიკონი“ და სხვა.

გამომცემლობა აღჭურვილია ტექნიკის უახლესი მიღწევებით. სტამბაში გახსნილია კომპიუტერული განყოფილება, მუშაობს ოფსეტური ბეჭდვის უბანი, გაუმჯობესდა წიგნის ხარისხი. უნივერსიტეტის გამომცემლობა ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესია უმაღლესი სასწავლებლების გამომცემლობებს შორის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნისთანავე წამოიჭრა სტუდენტების ქართული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი. უპირველესად აუცილებელი იყო ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავება, თუნდაც მცირე მოცულობით, რაც მოკლე დროში განხორციელდა გიორგი ნიკოლაძის მუდმივი ზრუნვის შედეგად. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს გამოცემის პირველი ცდა ეკუთვნის პროფესორ გ. გედევანიშვილს, რომლის ლექციების კურსი „ლითონების მექანიკური ტექნოლოგია“ დაიბეჭდა 1925 წელს. ქარ-



თულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის შექმნის საქმეში თავიდანვე მონაწილეობდა სტუდენტთა საზოგადოება, რომელიც ლექციების კონსპექტებს ამრავლებდა სტეკლოგრაფის საშუალებით. სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკურმა წრემ 1926 წელს გამოსცა გ. ნიკოლაძის „მზახველობითი გეომეტრია“, რამაც დიდად შეუწყო ხელი ამ საგნის სწავლების მეცნიერული დონის ამაღლებას. პირველი სახელმძღვანელოები ფუნდამენტურ და სპეციალურ ტექნიკურ დისციპლინებში მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში შექმნეს მეცნიერებმა: ნ. მუსხელიშვილმა, ა. ბენაშვილმა, ა. გულისაშვილმა, ა. ჭრელაშვილმა, გ. წულუკიძემ, ლ. დიასამიძემ და სხვებმა. დღეისათვის ქართულ ენაზე 700-ზე მეტი სახელმძღვანელოა დაბეჭდილი. 1959 წელს შეიქმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამომცემლობა, მაგრამ საკავშირო მთავრობის ბრძანებით, 1962 წელს დაიხურა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაუტოვეს მხოლოდ სარედაქციო ჯგუფი სამი თანამშრომლით. რექტორატის მცდელობის შედეგად, 60-იანი წლების ბოლოს შტატი გაიზარდა და ჩამოყალიბდა სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი. სარედაქციო ჯგუფს უფლება ჰქონდა გამოეცა მხოლოდ მცირეტირაჟიანი დამხმარე სახელმძღვანელოები სპეციალურ დისციპლინებში, ლექციების კონსპექტები, მეთოდური მითითებები, აგრეთვე სამეცნიერო შრომების კრებულები. ამასთან, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განყოფილებასთან შეიქმნა სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის პუბლიკაციის სექტორი, რომელიც განაგებდა როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის შიგა საგამომცემლო საქმიანობას, ისე ავტორების სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების ბეჭდვას სხვა გამომცემლობებში. სექტორი აწყობდა გამომცემული სახელმძღვანელოების საჯარო განხილვას სპეციალისტთა ფართო წრეში. პოლიტექნიკური ფაკულტეტის სამეცნიერო შრომების პირველი კრებული გამოიცა 1924 წელს, მისი რედაქტორი იყო ნიკო მუსხელიშვილი. დღეისათვის სულ გამომცემულია სამეცნიერო შრომების 450 კრებული. პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომათა კრებულებს მინიჭებული აქვს საერთაშორისო ინდექსი. 1975 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის ბრძანებით, მოკავშირე რესპუბლიკებს ეკრძალებოდათ სახელმძღვანელოების გამოცემა მშობლიურ ენაზე,

დუბლირების აღმოფხვრის მიზნით; ამავე ბრძანებით რესპუბლიკურ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებსაც მთავრობის მიერ დამტკიცებული საკუთარი გამომცემლობები არ გააჩნდათ, სასტიკად აეკრძადათ სამეცნიერო კრებულების სისტემატური გამოცემა. მათ ეძლეოდათ მხოლოდ ინსტიტუტთაშორისი თემატური სამეცნიერო შრომების ბეჭდვის უფლება. მიუხედავად ასეთი ბრძანებისა, პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა გააგრძელა ინტენსიური საგამომცემლო საქმიანობა და სწორედ ამ დროს გამომცემულ კრებულებს მინიჭა საერთაშორისო ინდექსი. 1992 წელს დაარსდა გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, რომელიც დაარსების დღიდან ბეჭდავს სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, სასწავლო-მეთოდურ მითითებებს, სამეცნიერო შრომათა კრებულებს, მონოგრაფიებს და სხვა. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შექმნილია სასწავლო-პედაგოგიური წიგნის ელექტრონული ვერსიები, რომლითაც სარგებლობა შეუძლიათ როგორც სტუდენტებს, ასევე შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს.

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის ბეჭდვას ახორციელებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტამბაში. აუცილებლობის შემთხვევაში იყენებს სხვა სტამბებსაც. ბოლო პერიოდში შეიქმნა ოპერატიული პოლიგრაფიის უბანი, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტიპის იაპონური წარმოების ციფრული სამრავლებელი მოწყობილობით, თანამედროვე პერსონალური კომპიუტერებით, პრინტერებით, ლამინატორით, ამკინძავით და ა.შ.

გარდა ზემოდასახელებული უმაღლესი სასწავლებლების გამომცემლობებისა, პედაგოგიური წიგნის გამომცემას, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით, ახორციელებენ საქართველოში არსებული სხვა უმაღლესი სასწავლებლების გამომცემლობებიც.

**ლიტერატურა**

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: 1918-1998 წწ.: საიუბილეო კრებული. – თბ., 1998.
2. ხანდრავა-ბენიძე ი. თბილისის უნივერსიტეტის პრესის ისტორიიდან: (1918-1950 წწ.) – თბ., 1978.
3. Научная библиотека Тбилисского Университета. – Тб., 1977.
4. <http://www.gtu.edu.ge/>

ზეინაბ ჟიჟილაშვილი

## ამონაწერები უთავბეჭდილების ნიშნად

“ჩვენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილები ძალიან კმაყოფილები ვართ თქვენდამი რწმუნებული ბიბლიოთეკის მასობრივი განყოფილების მიზანსწრაფული და კარგი მუშაობით. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ამ დღისთვის მოწყობილი გამოფენის ექსპონატები დიდი რუდუნებით და გემოვნებითაა შერჩეული, რომლებიც ზოგიერთი მართლაც უნიკალურია.

გუსურვებთ განყოფილების მუშაკებს კვლავაც ასეთი სიბეჯითით და ენერგიით აღინიშნოთ ქართველი ხალხის ისტორიის და თანამედროვეობის ამსახველი თარიღები“ – ასე მიმართავდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს ა. ძიძიგურს უნივერსიტეტის მესვეურები 1988 წელს სპეციალური წერილით, რომელზედაც ხელს აწერდნენ აკადემიკოსები: ლ. ჯავახიშვილი, რ. მეტრეველი., პროფესორები: ლ. კალანდაძე, გ. ნადარეიშვილი და სხვები.

ხსენებულ განყოფილებას დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი დაარსების იდეა და პრაქტიკული განხორციელება ნიკო ლორთქიფანიძის სახელთანაა დაკავშირებული. იგი ჩამოყალიბდა 1930-იან წლებში სექტორად; სულ ირიცხებოდა სამი თანამშრომელი. ხელმძღვანელობა დაეკისრა შალვა ფირცხალავას.



1932 წლის ოქტომბრის თვეში ხელმძღვანელოდ დაინიშნა ენათმეცნიერი, პოეტი ალ. შანიძე, რომელიც 1942 წლამდე უძღვებოდა ამ საპატიო საქმეს. 1932 წელს სექტორი გადაკეთდა განყოფილებად.

ომის პერიოდში 1942-1945 წწ. განყოფილებას ხელმძღვანელობდა ნინო ლაიშვილი, 1945-1950 წწ. ლევან ეგორაშვილი, 1951-1953 წწ. ბარბარე ხარიტონაშვილი, 1953-1971 წწ. სევერიან გადელია, 1971 წლის 6 აგვისტოს განყოფილების გამგედ დაინიშნა ზეინაბ ჟიჟილაშვილი, რომელიც 2002 წლამდე უძღვებოდა განყოფილებას. ვიდრე განყოფილება გაუქმდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელმა ხელმძღვანელობამ დაინახა ამ განყოფილების საჭიროება და აღადგინა კიდევ კულტურული პროგრამების განყოფილების სახელწოდებით.

განყოფილებამ 70 წელი იარსება. ამ ხნის მანძილზე მისი თაოსნობით, მდიდარ ტრადიციებთან ერთად, ბევრი სამახსოვრო, ლამაზი დღე შემორჩა ბიბლიოთეკის ისტორიას. მოგითხრობთ ორ მათგანზე.

ეს იყო დიდი ხნის წინ – 1968 წლის იანვარში – დღე ერთი, ჭეშმარიტი მამულიშვილის შეხვედრისა. აკაკი შანიძის მრავალმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი ბიბლიოთეკის პერიოდის სამკითხველო დარბაზში. სტუმრები ტაშით შეეგებნენ დიდ მამულიშვილს და ტაშითვე მიაცილეს მისთვის განკუთვნილ სავარძელთან.

აკაკი შანიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ, მის დამსახურებაზე, მის საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებაზე ილაპარაკა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პავლე კანდელაკმა.

დიდია აკაკი შანიძის დეაწლი ქართულ ლიტერატურასა და კულტურაში, – განაცხადა ორატორმა, – მან დიდი განძი დაუტოვა თაობებს.

მკითხველთა სახელით სტუმარს მიესალმა პროფ. შალვა გოზალიშვილი, მან პეტრე მელიქიშვილის, საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უც-




ნობი სურათი, რომელსაც ციმბირში მიაკვლია, საზეიმოდ გადასცა უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს აკაკი შანიძეს.

ბეერი თბილი, მაღლიანი სიტყვა ითქვა გადაჭედულ დარბაზში, რაც მხოლოდ გულწრფელ სიყვარულს შეუძლია. ბატონი აკაკის, ამ მაღლიანი კაცის მიერ დათესილ სიკეთეს, ვინ იცის, კიდევ რამდენი თაობა მოიმკის. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი ნინო ლაიშვილი სიხარულს ვერ ფარავდა იმის გამო, რომ ხვდებოდა თავის აღმზრდელს.

გამომსვლელების სიტყვებში ის ამაგი გამოიკვეთა, რაც ამ დიდ მამულიშვილს ასე უანგაროდ, ერთგულად გაუღია ქართული მეცნიერებისათვის.

დამსწრე საზოგადოება დიდხანს ჩერდებოდა დიდი მეცნიერის წინ. მათ ბეერი რამ ჰქონდათ სათქმელი ერის კაცთან, რიდით რომ იდგნენ ერის სიყვარულით შემოჯარულნი.

იღვა მეცნიერი, დროდადრო მის ნატიფ, დახვეწილ ნაკეთებს, დაწვებს უხერხულობისაგან სიწითლე ეუფლებოდა. აკი თავმდაბლად შენიშნა კიდევ სამადლობელ სიტყვაში - „...“



თქვენ ისე გამანებივრეთ ხოტბით, ალერსით, მეშინია არ დაგკარგო წონასწორობაო“.

ჭეშმარიტად, სხვაგვარი იყო ეს საღამო - თბილი, სიყვარულით აღსავსე. აქ, ამ შეკრებაზე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, როგორ შეუძლიათ ადამიანებს ნამდვილი ამაგის დაფასება, როგორი სიყვარული ძალუძთ დიდი ღვაწლის წილ.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ სტუმარს გადასცა წიგნი „მეგობრობის მატთანე“. ორი ტომი, თანამშრომელთა ავტოგრაფებით.

ბიბლიოთეკის არქივში ინახება ამ შეხვედრის ფოტოალბომი.

1971 წლის 30 ივნისი, ბიბლიოთეკის I კორპუსში საზეიმოდ განწყობილებაა. ვის არ ნახავთ

აქ - მწერლებს, მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, ისმის შესანიშნავი მუსიკის ხმა. ფარდაგები მოფენილია ყვავილებით. უცბად ყველამ მზერა კარებს მიაპყრო - შემოვიდა XX საუკუნის ქართული პროზის დიდოსტატი, მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია ახლობლებთან ერთად.

ბატონ კონსტანტინესთვის განკუთვნილი საკრძოლო საპატიო ადგილზე იდგა, ყვავილებით და დაფნის ფოთლებით მორთული. საერთო სამკითხველო დარბაზში „ნემსი არ ჩავარდებოდა“, უცბად ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. გაისმა ბიბლიოთეკის დირექტორის ალექსანდრა კავკასიძის ხმა, მან საღამო გახსნილად გამოაცხადა.

“ჩვენ არაერთხელ განვიზრახეთ პირისპირ შეხვედროდით ჩვენს საამაყო მამულიშვილს, მხატვრული სიტყვის იშვიათ ოსტატს, პატივცემულ კონსტანტინე გამსახურდიას, მაგრამ ყოველთვის ვერიდებოდით, ვეკრძალებოდით. დღეს ნანატრი სურვილი შევისრულეთ. ჩვენი შეხვედრით გვსურდა გამოგვეხატა ის სითბო და სიყვარული, რომელიც იყო დასადგურებული ჩვენში იმ მხატვრული ტილოებით გამოწვეული, რომელსაც მწერალი ქმნიდა ნახევარი საუკუნის მანძილზე. იგი აცოცხლებდა, ძერწავდა გმირებს და თავისი მხატვრული შემოქმედებით ნათელს ჰფენდა ისტორიულ წარსულსა და აწმყოს. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა წერის თავისებური მანერით, მძაფრი თემებით და სიუჟეტებით, რომელიც ყოველთვის გადაწყვეტილი იყო ორიგინალურად და მაღალმხატვრულ ფორმაში. შესაძლებელია დღეს ვერ შევძლოთ მისი იმ დონეზე შეფასება, მაგრამ ჩვენი სითბო და სიყვარული, ჩვენი კეთილი ზრახვა დაფარავს ხარვეზს და პატივცემული კონსტანტინეც გვაპატიებს. ასეთი შეკრება ჩვენთვის უჩვეულო არ არის. ეს განსაკუთრებით დამკვიდრებული ტრადიცია, რომელიც ისახავს გარკვეულ მიზანს“.

მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა საზოგადოებას გააცნო განყოფილების გამგემ ნინო ლაიშვილმა.

საპატიო სტუმარს მიესალმნენ მწერლები: როდიონ ქორქია, ანა ღვინიაშვილი, ი. გოგებაშვილის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ვასო გოგოლაძე, ომის ვეტერანი შალვა ფრანგიშვილი, პოეტი ა. შანიძე, დოც. ა. კოკაია, ფილოლოგიის მეცნიერება-



თა კანდ. ლ. ჭრელაშვილი, ბიბლიოთეკარი ზ. ფიფილაშვილი და სხვები.

თავის სამადლობელ სიტყვაში ბატონმა კონსტანტინემ განაცხადა: „მე დიდი მადლობელი ვარ თქვენი პატივისცემისათვის. მართალი გითხრათ, მე არ ვთვლი ჩემს თავს მოწოდებულად, რომ ასე დიდი პოპულარობა მომეხვეჭა, მაგრამ რას იზამ – ხომ ვერ ჩამოიბერტყავ იმას, რასაც რომ ერი მოგანიჭებს.“


მე, საერთოდ საჯარო გამოსვლას ვერიდები. შეიძლება მე დღეს ვერ გასიამოვნოთ, მე ძალი-

ან დაღალული ვარ.

დიდი მადლობა ჩვენს დირექტორს, თანამშრომლებს, მომხსენებელს, სხვა მომხსენებელს, რომ ასეთი სიყვარულის დამიმტკიცეთ. მეც ვეცდები მომავალშიაც თქვენი სიყვარულის საგანი გავხდე“.

ეს იყო კიდევ ერთი ლამაზი დღე, რომელიც ბიბლიოთეკის ისტორიას შემორჩა.

ტერმინოლოგიური ძიებანი



ბადრი ცხადაძე  
პროფესორი

**ნიგნესოდნოზითი-პოლიგრაფიული ტერმინები ქართულში**  
**ყდა**

ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში ჩვენ ყდა ქართულ-ქართველურ სიტყვად დავსახეთ (1), მის არქეტიპად საკუთრივ ქართულისთვის ყუდ-ა ძირი მივიჩნიეთ, რომელშიც ბოლოვიდური – ა სიტყვასაწარმოებელი სუფიქსია, ხოლო ყუდ (შდრ. მეგრ. ყუდე „სახლი“, სვან. ყუედ-ყუედ-ი „მყუდრო“ „წყნარი“) საერთო ქართველური ძირია, რომელიც ქართულსავე ენაში დასდებია საფუძვლად ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნას. ყუდე → სა-ყუდ-არი („ის, რაც ან რასაც აყუდება“, → საყდარი (←სა-ყუდ-არი) → სახტარი (დონის დაყრუება-გამკვეთრება), აქედან გვარ-სახელი იმერეთში – სახტარაძე (←საყუდარაძე).

ჩვენი საბოლოო დასკვნით, „ყდა ნიშნავს ისეთ საყუდარს, რამაც წიგნების გვერდები, ფურცლები „ჩაყუდება“, დამაგრდება. თავდაპირველად კი ყუდ (დაყუდება, საყუდარი, დაყდუნება) ძირი დაწყნარებას, დაცხრომას, დასამშვიდებელ, მყუდრო ადგილს გამოხატავდა. იგი, როგორც წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული ტერმინი, შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და განვითარდა. სწორედ ამით აიხსნება მისი არსებობა ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში“ (1. 44).

სულხან-საბა ორბელიანი ყდას ორი ძირი-

თადი მნიშვნელობით იმოწმებს: 1. „წიგნის საგვერდული“, 2. „საქსოვრის გასაბამი“ ხე (2, 264). იქვე ლექსიკოგრაფი მიგვითითებს: „ნახე ყოყდანიო“. ყოყდან-ს კი ასე განმარტავს: ყოყდან-ი ორი რამ ტოლ(ი) სვეტ(ნი) ამართულ(ნი) ZAB. ორი ხე ამართული ტოლად C. ხე ამართული ორი DE (2, 269). ყოყდანი, როგორც ჩანს, წარმოშობით მრავლობითი (წყვილობის, ორობის...) რიცხვის ფუნქციითა ნახმარი (მისი მიმანიშნებელია – ბოლოსართი, შდრ.: ლოცვა-ლოცვა-ნი, დავით-ნი, ქადაგება-ნი და მისთ), რაზეც მიგვანიშნებს იქვე ყოყდა ლექსემის განმარტება: ყოყდა – მუხლ(თ)-(მუხლის B) აშვერით ჯდომა ZABC. აშვერით ჯდომა D. მუხლი აშვერილი E [2, 269]. ამრიგად, ყოყდა აშვერილი ჯდომაა. ფეხ-ან მუხლაშვერილი ადამიანის ან ცხოველის ჯდომა. ყოყდანი კი ორი ერთნაირი (ერთი ზომა-სიგრძის) სვეტი თანაბრად ამართული ანუ აშვერილი. ცხადია, ყოყდა და ყოყდან ერთი და იგივე ოდენობაა, ოღონდ მცირეოდენ შინაარსით სახეცვლილი, რაზეც მხოლოდ – მრავლ. რიცხვის გამომხატველი ბოლოსართი მიგვანიშნებს: ყდა, ყოყდა, ყოყდანი ამოსავლად ყუდ (სა-ყუდ-არ)



ძირს გულისხმობს. საყუდარი ანუ საყდარი ან ყუდე („სახლი“) ძველად მოჭრილ ხეთაგან, მორებისაგან იგებოდა (შენდებოდა). ქართული ენის მთის დიალექტებში – მთიულურსა, გუდამაყრულსა, ხევსურულში ყდა ამ გაგებით ახლაც იხმარება: „გათლილი გრძელი ხეები, რომელზედაც ქსელსა სქსოვენ“ (3). ყდა, როგორც „წიგნის საგვერდული“ (და, მაშასადამე, პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი ტერმინი) ძველად ხის მასალისგან მზადდებოდა; ღირსსაცნობია დ. ჩუბინაშვილის განმარტება: „ყდა – შეკრული წიგნის გვერდის ფიცარი“ (4). ორივე შემთხვევაში „წიგნის საგვერდული“ და „საქსოვრის გასაბამი“ – სულხან-საბასეული განმარტება ამოსავლად ხის მასალას გულისხმობს. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის მოხეური კილო. მოხეურში ყადე „ხის გრძელი სკამია, რომელზედაც ერობაჩი სხედან“ (5, 435), (6).

ვ. აბაევმა, ცნობილმა ინდოევროპეისტმა და ოსოლოგმა, ქართ. ყდის მეორე მნიშვნელობა („საქსოვრის გასაბამი“) „გათლილი გრძელი ხეები, რომელზედაც ქსელსა ქსოვენ“, ოს. QHA „ტყე“, „ხის მასალა“-ს დაუკავშირა (7). ო. თედვეი ქართულის პირველ მნიშვნელობასაც – „წიგნის გვერდის ფიცარი“ ოსურ Q.HD-სთან აიგივებს: QHD → ქართ. ყდა → ყდა (8, 31). მკვლევრის მტკიცებით, „მთის ხალხი ჭირისა თუ ლხინის სუფრასთან ქვებზე დადებულ მორებზე სხედან. ამას ოსურში QHD ეწოდება და აქედანაა მოხეურში ყადე სიტყვაო, ოღონდ გასარკვევია, დასძენს იგი, „ყადე“-ში – ე-ს წარმომავლობაო; მისივე ვარაუდით, ამ სიტყვაში –“ე“ „აი“ ჯგუფიდან უნდა მომდინარეობდესო (8, 31-32). რადგანაც მკვლევარი ოსურის ამ სიტყვას, ფუძეს ირანულ-სპარსულში ვერ პოულობს, ამიტომ, ვფიქრობთ, ყუდ ძირის ვარიანტად და ქართულიდან ოსურში შესულ-დამკვიდრებულად დავსახოთ ეს სიტყვა, მით უფრო, რომ იგი სამივე ქართველურ ენაში (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური) შესატყვისობას იძლევა: ყუდ-ე/ყად-ე → ყდ-ა.

დაუბრუნდეთ ზემოთქმულს – სულხან-საბა ორბელიანისეული ყოყდან(ნ) სიტყვას, რომლის მნიშვნელობაა მუხლაშვერილი ჯდომა, აშვერილი მუხლი (ყოყდა), ხოლო ყოყდანი ორი

ტოლად ამართული სვეტი. ყოყდა//ყოყდან-ის საერთო ძირია ყდ-ა, დაისმის კითხვა: თუ ეს ასეა, მაშინ რა არის „ყო“ მარცვალი, რისი ნაშთია? როგორც ჩანს, აგებულებით ყოყდართული სიტყვაა, კომპოზიტია, რომელშიც გამოიყოფა ყდა და ყორ, რომელიც დამოუკიდებლად გვაქვს ყორყ (=ხორხი, ყელი), ყორყინტე (ყელი, ჩიხახვი), ყარყოტ (წერო, ყარყატი) დიალექტურ ლექსებში. ამრიგად, ყოყდა//ყოყდან ნიშნავს ორ სვეტად, (ორ) ტოლად ამართულ (RESP. აშვერილ) მუხლს, ფეხს, სვეტს, ხეს, შეშას. შდრ.: ხევს., ფშ. ყონდ-ი დაყენებული შეშა, დამზადებული და დაწყობილი (3, 228).

შეიძლება დავასკვნათ: 1. ყდა საერთო ქართველური ლექსებია: ქართ. ყდ/ყუდ, მეგრ. ყუდ, სვან. ყუედ. მოხეური ყად-ე (ოს. QHD). 2. ყდა (← ყუდ-ა. შდრ., ყოყდა, ყოყდან...) თავდაპირველად ნიშნავს ორ ხეს, ორ მორს, ორ ფიცარს. საყურადღებოა და ღირსსაცნობი ფაქტია, რომ ყდა (ყდანი) ახლაც ცოცხალი სიტყვებია ქართული ენის ფშაურ კილოში, ნიშნავს საქსოვ იარაღს. იგი თავისებური დაზგაა ფარდაგებისა და შალის მოსაქსოვად. მისი ძირითადი ნაწილებია გვერდითი მაღალი ხეები – ყდები, რომლებიც კედელზეა მიყუდებული (აშვერილი ბ.ცხ.), მასზე ასხმულია სხვა ნაწილები: ლილვები, ქიხები, გარა... მასთან მოიხმარება ცხემლა, ფხინი, გარაის საყვანელა (10, 259). ხევსურულშიც ყდანი „ბეჭსაშვერიანი საქსოვი დაზგაა“ (11, 14). ვფიქრობთ, სწორედ ორ ტოლად აშვერილი (აყუდებული) ფიცრის (//ფირფიტის, ნაჭრის)გან ძველად, ჩვენს წინაპრებს, დაუწყიათ წიგნის ყდის მოგებაც, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძველად წიგნის ყდა ხის მასალისგან, ფიცარისგან უმზადებიათ. სწორედ ფიცრების, გათლილი მორებისგან შენდებოდა ადრე – წარსულში ხის სახლები, სამლოცველოები, ეკლესიებიც: სა-ყუდ-არი → სა-ყდ(ა)-არი. როგორც საყდარი, დაყუდება//დაყდუნ(ე)ება, ისე ყდა ყოყდა//ყოყდარ ძირძველი ქართულ-ქართველური ლექსებია, რომელთაგანაც ერთ-ერთი – ყდა – წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ტერმინად ქცეულა.

P.S. ყუდ ფუძე შეიძლება კიდევ სხვა არაერთ ქართულ სიტყვაში იყოს შემორჩენილ-შემონახული. ერთ-ერთი ასეთი მათგანია აყლა-

ყუდა, რომელიც აგებულებით რთული სიტყვაა, კომპოზიტი: აყლაყუდა←აყალყდა, შდრ.: „აყალყული „აშვერილი, ამართული, აზრდილი“, აყლაყუდა-ში აყლა ფორმაცვლილი აყალ სიტყვაა (შდრ.: „აყალმაყალი“ – არეულობა, ჩოჩქოლი, მაღალხმიანობა, ჩხუბი...). ამრიგად, აყლაყუდა ნიშნავს „უშნოდ ამართულს“, „უშნოდ მაღალს“. ყუდ ფუძის შემცვლელია: შინაყუდა (=შინაბერა, შინჩარჩენილი, გაუთხოვარი), დაყუდებული, ← მყუდრო და სხვ.


**მითითებული ლიტერატურა**

1. ცხადაძე ბ. პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი ტერმინები ქართულში: ყდა, წერაქვა. დაბეჭდ. // „საქართველოს ბიბლიოთეკა“. – №1, 2003.
2. ორბელიანი ს-ს. თხზულებანი: ტ.IV. ლექსიკონი ქართული; ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით / გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. – თბ., 1966.
3. ღლონტი ალ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. – თბ., 1995.
4. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მე-2 გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით/სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. – თბ., 1984.

5. ქაჯაია ო. მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის//სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები: XI. – ცხინვაი, 1967.
6. ქავთარაძე ი. ქართული ენის მოხეური დიალექტი. – თბ., 1985.
7. Абаев В.И. Историко-этимологический словарь осетинского языка: 2. – Л., 1958.
8. თედევი ო. ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. – თბ., 1988.
9. შანიძე ა. თხზულებანი თორმეტ ტომად: ტ.1. ქართული კილოები მთაში: მთის კილოთა ლექსიკონი. – თბ., 1984.
10. ხორნაული გ. ფშაური ლექსიკონი. – თბ., 2000.
11. მოლოდინი ლ., ჩაჩაშვილი გ. ქართული კოსტიუმის კატალოგი: 1. ხევსურული. – თბ., 1964.

სიტყვათა შემოკლებანი  
 მეგრ. – მეგრული  
 ოს. – ოსური  
 სვან. – სვანური  
 ქართ. – ქართული  
 ფშ. – ფშაური  
 ხევს. – ხევსურული  
 შდრ. – შეადარე

სამართლებრივი ინფორმაცია



ცისანა წერეთელი

**ბიბლიოთეკები და სამართლებრივი ინფორმაცია**

სამართლებრივი დოკუმენტაციის ფონდის შექმნის პრიორიტეტი აშშ-ს ეკუთვნის. პირველი ბიბლიოთეკა ამერიკაში, ფილადელფიაში ბ. ფრანკლინის მიერ დაფუძნდა XVIII ს-ში. აქ დამუშავდა და მიღებული იყო აშშ-ის კონსტიტუცია, გადაიჭრა ამერიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხები, დამუშავდა ბიბლიოთეკების დაფუძნების საკითხები და საბიბლიოთეკო კანონმდებლობა. ამერიკის ერთ-ერთი შტატისთვის კანონპროექტების მოსამზადებლად და ჩასატარებელი კვლევების უზრუნველყოფისთვის 1901 წ. ჩ. მაკარტის მიერ საფუძველი ჩაეყარა სამართლებრივ-საცნობარო ბიბლიოთეკას, საგუ-

ლისხმია, რომ ამ ბიბლიოთეკის ფონდი მოდელია როგორც ამერიკის სხვა შტატების ბიბლიოთეკებისთვის, ასევე მთელი ქვეყნისთვისაც. იურიდიული ბიბლიოთეკები განსაკუთრებით სწრაფად XIX ს-ში განვითარდა; იმატა სამართლის საკითხების შესახებ გამოცემული ლიტერატურის რაოდენობამ. რაც შეეხება რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებს – სამართლებრივი დოკუმენტებით ფონდების მიზანმიმართული ფორმირება ერთი საუკუნის დაგვიანებით დაიწყო. დემოკრატიული პროცესების განვითარებამ წამოჭრა სპეციფიკური სახის სამართლებრივი ინფორმაციის ფლობის აუცილებლობა იმ ადა-


ანებისთვის, რომელთაც ესაჭიროებოდათ იურიდიული თემატიკის ინფორმაციები კონკრეტულ სასიცოცხლო სიტუაციებში ოპტიმალური საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მისაღებად. სამართლებრივი ინფორმაციის მოძიება და მის შინაარსობრივ ნიუანსებში წვდომა, ვფიქრობთ, სასურველია და აუცილებელიც ადამიანის უფლებების სრულფასოვანი დაცვისთვის, მათი სამართლებრივი უფლებების რეალიზებისთვის.

რუსეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებშიც სამართლებრივ ინფორმაციასთან მუშაობისას საპარლამენტო, საჯარო ბიბლიოთეკების ამოცანები განისაზღვრება 1994 წელს მიღებული ფედერალური კანონით „დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ“. შედეგად ბიბლიოთეკების ფონდებში აისახა პრაქტიკულად ყველა კანონი და დადგენილება, რომლებიც ოფიციალურ პერიოდულ გამოცემებშია გამოქვეყნებული. საქართველოში 1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, სადაც წერია, (მუხლი 4), რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს: თ) დადგენილი ნუსხის მიხედვით ბიბლიოთეკებისთვის გამოყოფილი უფასო სავალდებულო ცალების მიღებას, ი) საბიბლიოთეკო ქსელისთვის ხელისუფლებისა და ნებისმიერი უწყების გამოუქვეყნებელი ყველა ნორმატიული აქტის მიწოდებას, გარდა აკრძალვას და – ქვემდებარებული დოკუმენტებისა. (საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ: თავი 1. ზოგადი დებულებები, მუხლი 4, სახელმწიფოს როლი საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფაში//საქართველოს ბიბლიოთეკა. – 2000. – №1 (1) – გვ. 8.

საზოგადოების თითოეული მოქალაქისთვის და სხვადასხვა სტრუქტურებისთვის სამართლებრივი ინფორმაციის სრულყოფილად მოპოვებისა და მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სასურველია ერთიანი საინფორმაციო-სამართლებრივი სივრცის ფორმირება. სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრების საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა მკითხველთა და სპეციალისტთა მომსახურების ასპექტით მოიცავს: პერიოდული გამოცემების მიწოდებას დროებით სარგებლობისათვის, ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში სამართლებრივი აქტების მოძიებას. სხვა სამართლებრივ-

ნორმატიული და იურიდიული ლიტერატურის ძიებას ბიბლიოთეკების ელექტრონულ კატალოგებში. აუდიო, ვიდეომასალების წარმოდგენას ლექციის ფორმით. სამართლებრივ ინფორმაციას CD-ROM-ზე ან სხვა ელექტრონულ მატარებელზე, სამართლებრივი ინფორმაციის მაძიებელი მომხმარებლების უზრუნველყოფას საინფორმაციო სამართლებრივი სისტემებით (რეგიონული, გლობალური)-კოდექსი ინტრალექსი, გარანტსერვისი, GSS.

სამართლებრივი დოკუმენტაციის ფონდის შექმნის მიზნით, მისი დაფუძნებისთვის, სასურველია, ე.წ. დაწყებითი დაკომპლექტება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ შემთხვევაში წიგნადი თუ სხვა დოკუმენტაციის „ბირთვის“ შექმნას. ბირთვის შექმნის საწყისი ეტაპი კი მისი მოდელის დამუშავებაა, იქმნება წიგნებისა და სხვა დოკუმენტების ნუსხა. არანაკლებად სასურველია სამართლებრივი თემატიკის დოკუმენტების ფონდის ფორმირების მიზნით სამართლის სფეროში ცირკულირებული ძირითადი ცნებების გარკვევა და შესაბამისი საინფორმაციო ძიების წარმართვა.



თანამედროვე ბიბლიოთეკებში იურიდიული დარგის ლიტერატურა თავმოყრილია ბიბლიოთეკების ძირითად ფონდებში და სახელდახელო ფონდშიც. სამართლებრივი დოკუმენტაციის სხვადასხვა გამოცემის ხილვა შესაძლებელია ბიბლიოთეკებში არსებულ გამოფენებზე, თავისუფალი დასწრების თაროები საჭიროა შეივსოს ისეთი პოპულარული გამოცემებით, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვას და გამოიხატება „ადამიანის უფლებათა დაცვის ბიბლიოთეკის ცნებით“.

განარჩევნ ტრადიციული (ნონელექტრონული) და ელექტრონული ფორმის იურიდიულ რესურს-ინფორმაციას. ფონდში არსებული სამართლებრივი დოკუმენტაციის შესახებ კი ლიტერატურა აისახება სისტემატურ და ანბანურ კატალოგებში. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების კარტოთეკებში, პერიოდული გამოცემების სარეგისტრაციო კარტოთეკასა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების საცნობარო აპარატში. სამართლებრივი ინფორმაციის მოპოვება რეგიონული, გლობალური მასშტაბით შესაძლებელია საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგებში, ელექტრონულ ბიბლიოთეკასა და ინტერნეტში; GSS კოდექსი – ელექტრონული ბიბლიოთეკა გზამკვლევა კანონმდებლობის სამყაროში; ეს კოდექსი საქართველოში გამოცემული ნორმატიული აქტების ყველაზე დიდი კრებულია, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებულ ყველა ტიპის დოკუმენტს. GSS კოდექსის ნახვა შესაძლებელია [www.Law.ge](http://www.Law.ge) მისამართზე, სადაც 34000-ზე მეტი სამართლებრივი ინფორმაციაა განთავსებული. ამ თემატიკის ელექტრონული ფორმის ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია [www.Internet.ge](http://www.Internet.ge) მისამართზე.

საქართველოში ბიბლიოთეკების საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობით დაკავებული სპეციალისტებისთვის სასურველია იმის ცოდნა, რომ არსებობს CD-ROM, რომელზედაც მოცემულია „რუსეთის საბიბლიოთეკო კანონმდებლობა“, დისკი შეიცავს ზოგადსამართლებრივ და თემატურ WEB გვერდებს: „ადამიანის უფლებები, საავტორო უფლებები, რუსეთის ბიბლიოთეკების პროფესიული ეთიკის კოდექსი, სრული მონაცემებია საბიბლიო-


თეკო კანონმდებლობის შესახებ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.// მერიდიანი 1999; გვ.55. ВИНТИ-ის და НТЦ-ის მიერ 2001 წელს მომზადდა CD-ROM «Библио-норматив»-ი, რომელიც შეიცავს ნორმატიული აქტებს ინფორმაციის სფეროში და საბიბლიოთეკო საქმეში (კანონები, მთავრობის და ცალკეული სამინისტროს დადგენილებები...).

სამართლებრივი დოკუმენტაციის ცენტრის ფონდის შემადგენლობაში შედის განზოგადებული და სტატისტიკური ინფორმაციები ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, ჯანმრთელობის დაცვის, სანიტარიის, დემოგრაფიის, განათლების, კულტურის, სოფლის მეურნეობის შესახებ, დოკუმენტები სხვადასხვა შემთხვევებისა და კატასტროფების შესახებ, სტიქიური უბედურებების ოფიციალური პროგნოზების, ადამიანის უფლებების და თავისუფლების დარღვევის ფაქტების შესახებ.

ევროპის, რუსეთის, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საქართველოშიც შექმნილია სამართლებრივი ინფორმირებისთვის სახელმწიფო და არასამთავრობო ცენტრები, რომელთა ქსელიც ფართოვდება. ცენტრის სპეციალისტების მომზადების მიზნით, სწავლება მიმდინარეობს ელექტრონულ სამართლებრივი ინფორმაციის ნაკადში ორიენტაციის მიმართებით; ამ მიზნით დამუშავებულია სპეციალიზაციის კურსი: „სამართლის სფეროში საბიბლიოთეკო-საინფორმაციო უზრუნველყოფა“. საქართველოს მრავალეროვანი მოქალაქეთათვის საინტერესოა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის მთელ ტერიტორიაზე ფენქციონირებს სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრები, რომელთა ნუსხაც მოცემულია როგორც ინტერნეტში, ასევე ტრადიციულ წყაროებშიც. მოიპოვება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების თემატური ნუსხებიც, რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფოთაშორისო გაცვლას (დსთ-ს შეთანხმება სამართლებრივი ინფორმაციის გაცვლის შესახებ. 1994 წ. 21 ოქტომბერი).

საქართველოს ქალაქებში USAJD-ის პროგრამის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების ცენტრები. სამართლებრივი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატელეფონო კონსულტაციების, იურიდიული პირადი ინფორმირების, ფსიქოლოგიური დახმარების ასპექტით. თსუ-ის სა-

ერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საინფორმაციო-იურიდიული ცენტრი „იურიდიული კლინიკა“, საინტერესო საქმიანობას ეწევა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები სამართლებრივი ინფორმაციების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით; საქართველოს ბავშვთა და მოზარდთა პრობლემებზე მუშაობს შემდეგი ორგანიზაციები: საქართველოს ბავშვთა ფედერაცია; ბავშვი და გარემო, ეპილეფსიასთან, დიაბეტთან ბრძოლის საქართველოს საზოგადოება; წამების, ძალადობის და გამოხატული სტრესული ზემოქმედების ფსიქო-რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი „ემპათია“ და ა.შ. Unicef-ის გაეროს ბავშვთა ფონდის პროგრამით გამოიცა: „საქართველოს ბავშვები: უფლებები უკეთესი მომავლისათვის“. – 2004. 206 გვ.



საქართველოში დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ ეკოლოგიური, ბუნებისდაცვითი და სხვ. საკანონმდებლო ბა-

ზების შექმნის მიმართებით. (მაგალითისთვის – „პოსეიდონი“ ავლენს სამართალდარღვევებს შავ ზღვაზე თევზის რესურსებით სარგებლობაზე და ქმნის საზოგადოებრივი მონიტორინგის საფუძვლებს (თევზის რესურსის დაცვა და თევზჭერის სფეროში სამართალდარღვევების გრძელვადიანი მონიტორინგის სისტემის საფუძვლების შექმნა). ასოციაცია „პოსეიდონი“ საზოგადოებას და სახელმწიფო სტრუქტურებს ინფორმაციას აწვდის მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. დამოუკიდებელი საარჩევნო იურიდიულ-საკონსულტაციო ცენტრის საქმიანობა მოწოდებულია ხელი შეუწყოს საარჩევნო კულტურის ამაღლებას, ჩართოს სხვადასხვა საზოგადოებრივი სექტორი საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის პროცესში. ასოციაცია „ანტირადიაციული მოძრაობა“-ს სამართლებრივი საქმიანობა უკავშირდება რადიაციული დასახივების შედეგად დაზარალებული ადამიანების სამედიცინო უზრუნველყოფას, მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამართლებრივი საკითხების მოგვარებას. მასალის მომზადებას სახელმწიფო უწყებებისა და სასამართლოსთვის, მედიის ინფორმირებას არსებული პრობლემების და მისი აღმოფხვრისათვის შესასრულებელი სამუშაოების შესახებ. (<http://www.horizonti.org>).

მკითხველთა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფისთვის სამართლებრივი, საბუნებისმეტყველო თუ ეკოლოგიის მეცნიერებაში, სასურველია, შეიქმნას საინფორმაციო სისტემები კონკრეტული ამოცანების გადაჭრის მიზნით. ეს შეიძლება განხორციელდეს მონაცემთა ბაზებისა და ბანკების, საკომუნიკაციო სისტემების, თემატური საინფორმაციო სისტემების და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგიების გამოყენებით (დოკუმენტოლოგიები).

კონკრეტული მეცნიერების (ეკოლოგიური, იურიდიული...) სიახლეების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ინფორმაციების ძიება სრულყოფილად შეიძლება განხორციელდეს ერთიანი საინფორმაციო სივრცის პირობებში, რომელიც ფორმირდება სხვადასხვა შემადგენელი ელემენტებით. ბიბლიოთეკების ურთიერთობები საინფორმაციო სივრცეში ქმნის ე.წ. ემერდენ-

ტულ სისტემებს, ამ სისტემების თვისებები და შინაარსი კი სრულყოფილად გამოვლინდება მხოლოდ სპეციფიკური საინფორმაციო სივრცის ფარგლებში (ნოვაცია საბიბლიოთეკო თეორიასა და პრაქტიკაში).

სამართლებრივი ინფორმაციის ცენტრების საქმიანობის საფუძველი ორი სახის დოკუმენტური რესურსია: შიდა, საკუთარი რესურსი, რომელიც იწოდება საბიბლიოთეკო ფონდად და გარეგანი, ანუ მოზიდული სხვა ბიბლიოთეკებიდან, ინტერნეტიდან და ა.შ. აქედან გამომდინარე, ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების საბიბლიოთეკო ფონდი წარმოადგენს ნონელექტრონული და ელექტრონული დოკუმენტების კომპლექსს, შესაბამისად, ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირება აუცილებლად გულისხმობს იურიდიული თემატიკის ინფორმაციით და ლიტერატურით ადგილობრივი, რეგიონული თუ გლობალური დაკომპლექტების განხორციელებას.

ბიბლიოთეკაში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტაციით ფონდის მოდელირებას აწარმოებს საბიბლიოთეკო სპეციალისტი ფონდების დაკომპლექტების სფეროში. ამ სპეციალისტის კომპეტენციის ფარგლებში ჩამოყალიბდება სამართლებრივი ინფორმაციის შემცველი ფონდის მოცულობა და სახეობა. ინფორმაცია, სასურველია, წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი მმართველობითი დოკუმენტის სახით: „ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტაციის მოდელი“. აღნიშნული სამუშაოს შესრულებაში დახმარების გაწევა შეუძლია JFLA-ს მიერ გამოცემულ რეკომენდაციას: „სამართლებრივი ინფორმაციის ფონდის მოდელი“.

ნორმატიული სამართლებრივი ინფორმაციის ბირთვი სასურველია შეიცავდეს ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სამართლებრივი დოკუმენტაციის ცენტრის საქმიანობა: კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი, შრომის კოდექსი, პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, პარლამენტის უწყებანი, უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებები, საერთაშორისო კონვენციები და ა.შ. რეკომენდირებულია სამართლებრივი ინფორმაციის ფონდში დოკუმენტები წარმოდგენილი იყოს

შემდეგი ფორმით – დასაწყისში უფრო მეტად მნიშვნელოვანი გამოცემები მოთავსდეს, შედარებით ნაკლებად აქტუალური კი ბოლოსკენ. ეს აიხსნება სამართლებრივი დოკუმენტაციის სისტემის იერარქული აგებულებით.

სამართლებრივი ფონდის ბირთვში შედის სამართლებრივი აქტების და ზოგადსამართლებრივი სხვადასხვა დარგის კლასიფიკატორი (Сукиасиян Э.Р. Классификатор правовых актов.//Библиотека. - 2004.-№10.-с.26-27)

მოზარდის სამართლებრივი კულტურის ფორმირებისთვის, სამართლებრივი განათლების მხარდასაჭერად, სასურველია, არსებობდეს სამართლებრივი ინფორმაციის საბავშვო ფონდი ბავშვის უფლებების შესახებ დოკუმენტებით. ცენტრის ამოცანა, ვფიქრობთ, ისეთი საკანონმდებლო აქტების შეკრებაა, ისეთი სამართლებრივი დოკუმენტების ნუსხაა, რომლებშიც მოცემულია რჩევები ბავშვებისთვის რთული სიტუაციებიდან თავის დასაღწევად და მოზარდის პრობლემების გადაჭრის არსპექტით.

სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკების საგანმანათლებლო ფუნქციის უზრუნველყოფაში მონაზრება ეკოლოგიური სამართლებრივი ბაზის ცოდნაც. (Зуева Е.Н. Педагогическая деятельность школьной библиотеки//Библиотекарь. ru. [Электронный ресурс]. – Режим доступа:<http://librarian.fio.ru/rus.phpn=29838&c=1744>)



**რეკომენდაციები:**

1. სამართლებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფისთვის – სისტემის შექმნის ასპექტით, განისაზღვროს ყველა სახის ბიბლიოთეკის რესურსი სამართლებრივ დარგში.





2. მოხდეს კოორდინირებული ურთიერთობები სამართლებრივი დოკუმენტაციის საინფორმაციო ცენტრებთან.
3. სამართლებრივი დოკუმენტაციით უკეთ დაკომპლექტებისთვის წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ბიბლიოთეკების „ბირთვის“ სამართლებრივი დოკუმენტაციის კუთხით.
4. შეიქმნას ბიბლიოთეკების იურიდიული თემატიკის ელექტრონული რესურსები „გარანტი“, „კოდექსი“, „კონსულტანტპლუსი“, „GSS“ კოდექსი...
5. განხორციელდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება სამართლებრივი ინფორმაციის ძიებისას <http://www.library.ge>. <http://www.yandex.ru/subsribе...>
6. განვითარდეს დაკომპლექტების ელექტრონული ფორმის გამოყენება იურიდიული თემატიკის ახალი ლიტერატურით ფონდის ოპერატიულად და სწრაფად დაკომპლექტებისთვის (<http://libra.03.ru>) [www.rfjr.ru](http://www.rfjr.ru).
7. მოეწიოს სამართლებრივი ინფორმაციის მოძიების და ბირთვის ფორმირების მიზნით, ნონელექტრონული და ელექტრონული ფორმის სამართლებრივ-ნორმატიული დოკუმენტების შეჯერება.
8. განისაზღვროს ელექტრონული კატალოგის ადგილი თანამედროვე საკატალოგო სისტემაში (იხ. *Научные и технические библиотеки.* – 2006.-№4.-с.18-32)
9. დაიწიოს დაშორებულ ელექტრონულ რესურსებში ძიება და ლიტერატურის შეკვეთა ელექტრონულ კატალოგში. მაგ: <http://bspu.secnaru>
10. ავტომატიზებული სისტემების ხარისხიანობის კვლევის მიზნით, სხვადასხვა პუბლიკაციების განხილვა, მკითხველებთან მომუშავე ბიბლიოთეკარების სწავლება (სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების შესახებ ახალი ცოდნის და ჩვევების შექმნა).
11. ერთდაიგივე სამართლებრივი დოკუმენტები აისახოს სისტემურ, ანბანურ, საცნობო-ბიბლიოგრაფიულ და სხვა განყოფილებების კარტოთეკასა და კატალოგებში.
12. შეიქმნას სამართლებრივი დოკუმენტაცია საბავშვო ბიბლიოთეკებსა და იმ ბიბლიოთეკებში, რომლებიც ბავშვებს ემსახურებიან (ეკოლოგიური სამართალი, საქართველოს კონსტიტუცია, ბავშვთა უფლებების შესახებ, პროფესიის არჩევის და სხვა. თემატური იურიდიული ინფორმაციები).
13. ჩატარდეს ინტერნეტმაღაზიების ელექტრონული მისამართების ძიება, სადაც ხორციელდება იურიდიული თემატიკის წიგნების შეკვეთა.

სამართლებრივი ინფორმაციით სრულფასოვნად ინფორმირების მიზნით, საჭიროა ფონდების დაკომპლექტება ფონდის მოდელირებასთან ერთად, მიმდინარეობდეს პარალელურად. ერთიანი საინფორმაციო სისტემის არსებობა გააადვილებს მკითხველის და ბიბლიოთეკარის ორიენტაციას აღნიშნულ დარგში (Егорова Е.А. Коммуникативная компетенция библиотечного специалиста// библиография.-2006.-№2.-с.22-25).

**ლიტერატურა:**

ადამიანი და კონსტიტუცია. – თბ. 2005. – №1-2. ეთნოპოლიტიკა. – 2005. – №1.  
 საერთაშორისო სამართალი: საკანონმდებლო აქტების კრებული. – თბ., 2003.  
 საერთაშორისო სამართალი-Jornal of International (თბ. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნ-ტი. საერთ. სამართლისა და საერთ. ურთიერთ. ფაკ-ტი).  
 სამართალი, სამეცნ. პრაქტ. ჟ. პრაქტიკა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა / საქართველოს იურისტთა კავშირი. – თბ., 1991.  
 საქართველოს მთავრობისა და პრემიერმინისტრის აქტ. კრ. – თბ., 2005. – №1-12. 2006. – №1.  
 საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. – თბ.: მერიდიანი. 1999. – 55 გვ.  
 Васькова Н.И., Салменкова М.В. Электронные источники правовой информации: Учебно-методическое; Вып. 49//Библиотека. – 2006, №4.  
 Дыбина Л.И. Информационная культура – пАи-оАи ВеВñое направление библиотечной деятельности.//Библиография. – 2006, №2.  
 Информационная культура школьников// Библиотековедение. – 2005. -№10. – с.44-49.  
 Столяров Ю.Н. Библиотечный фонд правовой документации: Учеб. – практ. пособие. – М.: изд. «Либерия», 2003. – 256с.  
 Сукиясян Э.Р. Классификатор правовых актов (КПА)//БиблиоВедение.-2004. №10. – с.26-27. <http://civilin.org.ge>  
<http://www.wavng.ge> \კვირის პალიტრა – 2006. – 25 სექტ.–1 ოქტ. – გვ.15.  
<http://www.britcoun.org/seminars/index.htm>.  
 – კონფერენციები გარემოს, ადამიანის უფლებების, ინფორმაციის მართვის, საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე.  
 პროფესიულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები თემატიკის გათვალისწინებით (2003-2006 წლის პუბლიკაციების ანალიზი).



„ბიბლიოთეკა და თანამედროვე განათლება“



ასე ეწოდება თემას, რომელიც ბიბლიოთეკათ-მცოდნეობისა და საინფორმაციო მენეჯმენტის საე-ციალისტიების II კურსის სტუდენტებს შესთავაზეს ყოფილ კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში (ამჟამად რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში) – „ბიბლიოთეკა და თანამედროვე განათლება“ – აი, რაზე უნდა დაეწერათ მათ და დაწერეს კიდევ, მაგრამ არა მარტო ბიბლიოთეკისა და განათლების საკითხებს შეეხნენ, არამედ იმასაც, რაც თვალში ყველაზე მეტად მოსახვედრია და გარკვეულ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს.

საგულისხმოა, რომ უკვე მეორეკურსელებიც კი კარგად ხედავენ დარგის შეჭირვებას, ხედავენ იმას, რასაც ამ საქმის მესვეურები უნდა ხედავდნენ, მაგრამ ვერ ხედავენ, ან, უბრალოდ, არ უნდათ დაინახონ.

ჩვენ დავინტერესდით მათი მოსაზრებებით და გვინდა გავაცნოთ ისინი ჩვენს მკითხველებს უკომენტაროდ. ეს არის მთელი კურსის, რომელიც 5 კაცისგან შედგება, შემაჯამებელი შეხედულება, ერთგვარი ნაკრები მათი მოსაზრებებისა.

რედაქცია.

„სამოქალაქო განათლების გაგება აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორცაა ადამიანის უფლებები, არჩევნები, კონსტიტუცია და სამართალი, განათლების მიღების პრობლემატიკა და მრავალი სხვა, რის შესწავლასა და გაგებაში უდიდესი მნიშვნელობა უკავია ბიბლიოთეკას.“

ლიტერატურის გაცნობით, ინფორმირებით, დისკუსიების მოწყობით, ლექცია-მოსხენებებითა და სხვა მასობრივი ღონისძიებების ფორმებით ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მოსახლეობის სამოქალაქო განათლების პროცესს“.

„წიგნს ვერანაირად ვერ შეცვლის კომპიუტერი, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკის ახალი მიღწევებით შესაძლებლობა გვაქვს ყველანაირი ინფორმაცია სწრაფად და ზუსტად მოვიპოვოთ. კითხვას სჭირდება აზროვნება და განსჯა, ღრმად ჩაფიქრება, დისკლდიდან კითხვა კი ამის საშუალებას ნაკლებად გვაძლევს,

გამხელებულია ყურადღების გამახვილება და კონცენტრაცია, ამას გარდა, გამოსხივება უარყოფითად მოქმედებს ადამიანზე.“

თანამედროვე ბიბლიოთეკები ვალდებული არიან თავიანთი პროფესიონალიზმითა და კეთილსინდისიერი მომსახურებით წარმოაჩინონ ბიბლიოთეკების უმნიშვნელოვანესი როლი საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში.

ხელისუფლებას მნიშვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული საბიბლიოთეკო და, საერთოდ, საინფორმაციო დარგის განვითარების საქმეში. მან ხელი უნდა შეუწყოს ინფრასტრუქტურის განვითარებას, განსაზღვროს ფუნქციები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა იმ პირთათვის, რომლებიც ბიბლიოთეკების საქმის მართვაში იღებენ მონაწილეობას. ხელისუფლება საბიბლიოთეკო სტრატეგიას ვერ აყალიბებს და აქვს ბიუჯეტის პრობლემები. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურაში, ფაქტობრივად, არ არსებობს ცენტრი, რომელიც ერთიან საბიბლიოთეკო-საინფორმაციო პოლიტიკასა და სტრატეგიას ჩამოაყალიბებს და კოორდინირებას გაუწევს საქმიანობას ამ მიმართულებით.

ჩვენმა ბიბლიოთეკებმა რომ მიაღწიონ თანამედროვე დონეს და გაუტოლდნენ ევროპის ქვეყნების თანამედროვე სტანდარტებს, ამისათვის საჭიროა დიდი და რთული სამუშაოების ჩატარება, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ახალი კადრების მომზადების მიმართულებები და ამაღლდეს სასწავლო საქმის საერთო დონე. საქართველოს ბიბლიოთეკების თანამშრომელთა უმრავლესობას არაპროფესიონალები შეადგენენ, ევროპასა და შეერთებულ შტატებში ბიბლიოთეკარებს ერთი ან ორი დიპლომი და ზოგჯერ დოქტორის ხარისხიც აქვთ. ჩვენთან ამგვარი მაგალითი თითქმის არ არსებობს.

თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიებზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა სა-



ქართველოში გამოცემული ბეჭდური ნაწარმოებების სრული კატალოგიზაცია, მათი გადატანა კომპაქტ-დისკებზე, ელექტრონულ მატარებლებზე და სერვერებზე. საჭიროა საბიბლიოთეკო თეორიის დონის ამაღლება, უნდა მოეწეოს აუდიოვიზუალური კაბინეტი, შეიქმნას საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემის კონცეფცია. აუცილებელია გააქტიურდეს შემოქმედებითი მოღვაწეობა თანამედროვე ბიბლიოთეკების შემდგომი განვითარებისათვის...“


„სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს სახელმძღვანელო პრინციპები სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხარისხობრივი შეფასებისთვის“.

**ს. აბულაძე, ლ. მაღლაფერიძე, ლ. რამიშვილი, ლ. ტაბატაძე, დ. ქარელი.**  
თბილისის შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები.

კორესპონდენციები



ლეილა ხარბედია  
რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი



**უმხვედრა მკითხველებთან**

ტრადიცია გრძელდება ჩვენს ქალაქში – ქ. რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების ის ტრადიცია, რომელსაც ყოველი წლის სექტემბერში ცოდნისა და წიგნის დღესასწაულში პირველკურსელებთან შეხვედრა ჰქვია. გულახდილად უნდა ითქვას, რომ რაც ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნული გამოცდები მიმდინარეობს, ამ დონისძიებას მეტი დატვირთვა აქვს, რადგან დღეს იგი



უფრო გამჭვირვალე და გაცილებით რეალურია. გამჭვირვალეა იმდენად, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა ტელევიზიის, პრესისა თუ ინტერნეტის საშუალებით მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ვიცით, თითოეულმა აბიტურიენტმა თუ რა წარმატებებს მიაღწია და როგორია მისი სარეიტინგო მაჩვენებელი. შეხვედრა მოეწეო იმ ხუთ პირველკურსელთან, რომლებმაც ღირსეულად განვლეს ეროვნული გამოცდები და მოწინავე ადგილები დაიკავეს. ხუთივეს 100%-იანი სახელმწიფო გრანტი აქვს მოპოვებული; რესპუბ-

ლიკაში სიით პირველი გახლავთ ჩვენი ქალაქის მკვიდრი, დღეს ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ბექა ძამაშვილი; წარმატებული იყო წლეუანდელი წელი ლევან ხუციშვილისთვის, ისიც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია, ეს ის ლევან ხუციშვილია, რომელმაც ჯერ კიდევ მე-9 კლასში დამსახურებულად მოიპოვა გამარჯვება პროგრამა „ეტალონი“.

წარმატებით დაამთავრა ქალაქ რუსთავის №2 საშ. სკოლა თორნიკე მაისურაძემაც და ისიც თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიური ფაკულტეტის სტუდენტია.

შეხვედრაზე სპეციალურად მოვიწვიეთ პირველკლასელები, რომლებიც მომავალში ისეთივე ღირსეული პირველკურსელები იქნებიან, როგო-





რიც ჩვენი დღევანდელი სტუმრები. პირველკლასელებმა ყვავილების თაიგულები და ლექსები უძღვნეს პირველკურსელებს და შეჰფიცეს, რომ ისინიც ისეთივე ღირსეული შვილები იქნებიან, როგორც დღევანდელი ჩვენი სტუმრები არიან. პირველკლასელებს მიესალმა და საკუთარი ლექსების კრებული უძღვნა ცენტრალური ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგემ, საბავშვო პოეტმა ლია ბეჟანიშვილმა.



ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქის მერის მოადგილე ლეილა აფციაური, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჩიქოვანი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სამსახურის უფ-

როსი იზოლდა ფიფია, რომლებმაც მიულოცეს პირველკურსელებს სტუდენტობა და უსურვეს შემდგომი წარმატებები. სტუმრებს მიესალმა და წარმატებები უსურვა აგრეთვე ჩვენი ქალაქის მკვიდრმა ჟურნალისტმა თინა სიყმაშვილმა, რომელმაც ადგილობრივ პრესაში მოათავსა აღნიშნული ღონისძიების ამსახველი მასალები. ბოლოს ყველანი ერთად დალოცა მოძღვარმა მამა ფრიდონმა; საბიბლიოთეკო გაერთიანებიდან მოწვეულ სტუმრებს სამახსოვროდ გადაეცათ ხატები.

ღონისძიება გააშუქა ადგილობრივმა ტელევიზიამ.

ქეთევან ბეროშვილი  
თიანეთის ც/ბ-ს დარბაზის გამგე

## შესვენება გიორგი გიგაურთან



1885 წელს მოწინავე ადამიანების ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე თიანეთში გაიხსნა პირველი წიგნსაცავი-სამკითხველო. როგორც ვიცით, ამ საქმეს საძირკველი ჩაუყარა აქ მყოფმა მასწავლებელმა ბ.ა. მათურელმა, ხოლო ქვაკუთხედი დაუდეს და კედლები ამოუშენეს მკურნალმა ბ. გედევანიშვილმა, ი. ცისკაროვმა, ი. ჩიბალაშვილმა, რომელმაც უსასყიდ-

ლოდ წიგნსაცავს საკუთარი ოთახი გამოუყო და წიგნსაცავის მართვა იკისრა. 1885 წლის 12 აპრილს გაზეთ „დროებაში“ ვაჟა-ფშაველა თავის ფელეტონში წერდა: „დიდისიმედითა და სასოებით შევეგებებით ახლად დაარსებულ სამკითხველოს“, და მას შემდეგ ამ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი იყო.

დროდადრო აღნიშნული ბიბლიოთეკა სხვადასხვა ბინებში გადაჰქონდათ, მათ შორის ვინმე გრძელიშვილის ბინაში. პირველ ხანებში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ძალიან მცირე იყო.

1947 წლიდან ბიბლიოთეკა უკვე სარაიონოს სტატუსს ატარებს.

1989 წელს კი ბიბლიოთეკამ უკვე სრულყოფილ შენობაში დაიდო ბინა – რუსთაველის №55-ში. ამჟამად ცენტრალური ბიბლიოთეკა 121 წელს ითვლის. მარტო ცენტრალური



ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 63500 ეგზემპლარს შეადგენს. დღეისათვის რაიონის საბიბლიოთეკო ქსელში 14 ბიბლიოთეკა-ფილიალია, 2006 წლისთვის საბიბლიოთეკო ქსელის წიგნადი ფონდი 246000 ეგზემპლარს შეადგენს.

თიანეთის რაიონი მთა-გორიან მხარეს ეკუთვნის, მასში შემავალი სოფლების მდგომარეობა და მდებარეობა მრავალფეროვანია. ზოგი სოფელი რაიონის ცენტრიდან საკმაოდაა დაშორებული და მაღალმთიან ადგილზე მდებარეობს. მიუხედავად ამისა, კულტსაგან-მანათლებლო დაწესებულებები იმდენად შემცირდა, რომ რაიონში არსებულ საკრებულოებში თითო ბიბლიოთეკა დარჩა (ისიც 05 საშტატო ერთეულით), ზოგ საკრებულოში 7 ან 8 სოფელი შედის. ამგვარად, მთლიანად მომსახურების გარეშე დარჩა 5000-ზე მეტი მცხოვრები.

თიანეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის, მიმზიდველი ფასადის გამო შორიდანვე იტაცებს თვალს, ბიბლიოთეკას 600 კვმ-ის ფართობი უკავია. ფუნქციონირებს მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული, დაკომპლექტება-დამუშავების, აბონემენტის და დარბაზის-განყოფილებები.

ბიბლიოთეკას ჰყავს აქტიური მკითხველები, მათი აქტიურობით და მონაწილეობით მრავალი ლამაზი ღონისძიება ჩატარდა.

მიმდინარე წელს აღინიშნა ბიბლიოთეკის დღე, სიტყვით გამოსულმა ბიბლიოთეკარებმა სინანულით აღნიშნეს მათი ღვაწლის დაუფასებლობა, აგრეთვე ის, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მარტო ერთუზიანებით მუშაობა ძალზე ძნელია. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გახდეს ბიბლიოთეკა მკითხველებისთვის უფრო საყვარელი და პრესტიჟული, რისთვისაც საზოგადოება და სახელმწიფო ერთობლივად უნდა ისწრაფოდნენ.

5 სექტემბერს ბიბლიოთეკამ ადგილობრივ პოეტს გიორგი გიგაურს უმასპინძლა მისი ლექსების ახალი კრებულის „დაისის შუქი“-ის პრეზენტაციაზე. ბავშვებმა, რომლებიც ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველებიც არიან, საზოგადოების წინაშე მოწვეული პოეტის ლექსები წაიკითხეს, შეასრულეს ქართული ხალხური



სიმღერები. პოეტს მიესალმნენ და სიტყვით მიმართეს ბიბლიოთეკის ყოფილმა თანამშრომლებმა: ცაცა გოჯიაშვილმა, ეთერ აბრამიშვილმა, თამარ ზარიძემ.

როგორც პოეტმა აღნიშნა, დიდი ხანია ასეთი სითბო მკითხველებისგან აღარ უგრძენია. გადავიღეთ სამახსოვრო სურათები, ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წინსვლა ვუსურვეთ პოეტს.

ქალბატონმა ეთერ აბრამიშვილმა საკუთარი ლექსით დალოცა პოეტი:

„კიდევ ერთხელ სიხარულით გვეგებებით, თქვენს ფეხთაქვეშ იდრიკება მიწა, ეს შეხვედრა, ეს სიტყვები თბილზე თბილი გთხოვთ მიიღოთ სიყვარულის ფიცად.

თქვენი კალმით ყველა აქეთ; საქართველო, ხევსურეთი, ქალი, დედა, წლები უქმად, უნაყოფოდ გაგპარვოდეს ხუმრობითაც ვერვინ გაგიბედავთ.


თიანეთზე კიდევ უფრო ბევრი წერეთ, მინდა ყველამ დაინახოს ჩვენი მთები, ყველა კარგ კაცს, ყველა ძვირფასს მოეფერეთ, მარგალიტად მოაბნიეთ ნაწერები.

ერთმა გვითხარ, რას ვერ გვეტყვის ასი, ვერ დავივიწყებთ ჩვენ თქვენს ნათქვამს, რომ: „თავის განწირვას არა აქვს ფასი და თავი მაინც უნდა გასწირო“.


ქალბატონი ეთერი ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელია, ის დღესაც აქტიურად არის ჩართული ბიბლიოთეკის მუშაობაში და თითქმის ყველა ღონისძიებაში იღებს მონაწილეობას. გასულ წელს მისი ლექსების კრებულის – „უღმობელ დროს ყველაფერი როდი მიაქვს“

– განხილვა გაიმართა.

კიდევ მრავალი ლამაზი ღონისძიების ჩატარება იგეგმება მომავლისთვის. ბიბლიოთეკის თანამშრომლები კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე დგანან მკითხველთა მომსახურების საქმეში.



ქეთევან ნიკურაძე  
ბავშვთა და ახალგაზრდობის  
ეროვნული ბიბლიოთეკის კოორდინატორი



## ტრადიცია გრძელდება

ძალიან ბევრი ყვავილი, დილიდანვე უჩვეულო ფუსფუსი და საზეიმო განწყობილება... ასე გამოიყურებოდა 26 ოქტომბერს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ტრადიციისამებრ, ყოველი წლის ოქტომბრის თვეში მუსიკის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, საქართველოს მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა ატარებდა ღონისძიებას, რომელზეც მკითხველების მიერ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები სრულდებოდა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ამჯერად უკვე საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარის თინათინ ლონდარიძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ცნობილი ავსტრიელი კომპოზიტორის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კონსერვატორიის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა, სულხან ცინცაძის სახელობის ხელოვნების მე-16 მუსიკალური სკოლისა და ნიჭიერთა გიმნაზიის

საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა.

გენიალური კომპოზიტორის მოცარტის ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი ფენომენალური მუსიკალური ნიჭის შესახებ მონტაჟი წარმოადგინეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა, ს. ცინცაძის სახელობის ხელოვნების მე-16 მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა: ეთერ ფრუიძემ, ქეთი გელაშვილმა და ელენე ჩხეიძემ პედაგოგ ლამარა გარსიაშვილის ხელმძღვანელობით, შემდეგ კი მუსიკოსშემსრულებლებმა შეასრულეს მუსიკალური ნომრები მოცარტის ნაწარმოებებიდან ფორტეპიანინოზე, ვიოლინოზე, გიტარაზე, ფორტეპიანინოს თანხლებით. კერძოდ, შესრულებულ იქნა: ფანტაზია რე მინორი, რე მაჟორი, ლა მაჟორი, დო მინორი, რომანსი „სევდა გაზაფხულისა“, მე-5 სონატა, მე-11 სონატა, მე-14 სონატის 1-ლი ნაწილი, მე-11 სონატის მე-3 ნაწილი, მე-16 სონატის 1-ლი ნაწილი, ანდანტინო და სხვ.

ღონისძიების მონაწილეებმა კიდევ ერთი ლამაზი საღამო აჩუქეს ბიბლიოთეკაში მოსულ სტუმრებს. ეს დღე ხელოვნების ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.



ნინო დალუნდარიძე  
საქართველო-ჩინეთის კულტურის  
ცენტრის სწავლული მდივანი


## უკვლავი გივი

„საბჭოთა საქართველოში გობელენის დაბადება და განვითარება გივი ყანდარელის სახელს უკავშირდება. იგი პირველია, ვინც 1960 წელს მიმართა საბჭოთა დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ახალ ჟანრს. ღმრთისგან ბოძებული ნიჭისა და პროფესიონალიზმის ერთიანობის წყალობით, მისი პირველი ნამუშევრებიც კი შესამჩნევი სიკაშკაშით, საინტერესო მოვლენად აღიქმება. გივი ყანდარელის როლი და ადგილი თანამედროვე გობელენის ხელოვნებაში შესაფასებელია; მისი გავლენა, გნებავთ უშუალოდ, ან თუნდაც ირიბულად, ყველა ქართველმა გობელენისტმა განიცადა. მხატვრის შემოქმედება თავისი არსით სისხლბორცეულადაა დაკავშირებული სამშობლო-საქართველოსთან, თავის ხალხთან, წეს-ჩვეულებებთან, მრავალსაუკუნოვან კულტურასთან. თავისი მიწის ჭეშმარიტი შვილი, ვაჟკაცი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ადამიანებში და საქართველოს ბუნებაში უსაზღვროდ შეყვარებული, მუდამ ქედს იხრიდა ისტორიული ძეგლებისა და იმ ოსტატების (მუსიკის, პოეზიის და ა.შ.) წინაშე, რომლებმაც მსოფლიო ხელოვნებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს (Т. Стриженова. Гиви Кандарели.: Гобелен. – М., Советский Художник., 1981).

ჩვენი ფიქრით, ასეთი შესავალი – ამონარიდი სტრიჟენოვას მონოგრაფიიდან (გივი ყანდარელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პირველი ალბომი, გამოცემული მოსკოვში სერიით – „საბჭოთა ხელოვნების ოსტატები“) საკმაოდ ზუსტად ასახავს ხელოვნებათმცოდნის დამო-

კიდებულებას გივი ყანდარელის, როგორც პიროვნების, ასევე შემოქმედებისადმი. რაოდენ საწყენია, რომ დღემდე აღნიშნული ნაშრომი ქართულ ენაზე არც კი გადათარგმნილა (სულ 14 ნაბეჭდი ფურცელია).

ახალგაზრდა გივი ყანდარელი თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის განხრით ასპირანტურის დამთავრების შემდეგ უმაღლვე ინიშნება ასისტენტად. ეროვნული კულტურის აღორძინების იდეამ სამხატვრო აკადემიაში (რექტორი აპოლონ ქუთათელაძე) გარკვეულ რეფორმებს დაუდო საფუძველი. შედეგად აპოლონ ქუთათელაძეს, პროფესორ დავით ციციშვილს (უპარტიოებს) ნება დაერთოთ გამგზავრებულიყვნენ ჩეხოსლოვაკია-პრალაში, უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში (უმპრუმი), ქსოვილთან დაკავშირებული ხელოვნების გასაცნობად. მოგვიანებით კი ასეთი შესაძლებლობა მიეცათ ახალგაზრდებს, მათ შორის გივი



ყანდარელს. სამშობლოში დაბრუნებულებმა მიიღეს გადაწყვეტილება, სამხატვრო აკადემიაში გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის შექმნის თაობაზე, რაც უცილობლად ცენტრალური კომიტეტის თანხმობას საჭიროებდა. საბჭოთა კავშირში აღნიშნული მიმართულება გაიგივებული იყო ხელოვნების ტაბუირებულ ჟანრებთან, როგორც იყო ფორმალიზმი, კუბიზმი, და ა.შ. ხოლო დეკორატიულ ხელოვნებას, რომლისათვისაც არ იმუშრებდნენ იარლიყებს – „დანამატი“, „მდარე“, „უიდეო“, განიხილავდნენ როგორც ბურჟუაზიულს ან ანტიხალხურს. სწორედ მსგავსი მიდგომების გამო, ღვენას განიცდიდნენ ისეთი ოსტატები, როგორებიც იყვნენ

კანდინსკი, კაკაბაძე და სხვები. „ბაოქაოსის“ სახელით ცნობილ ხელოვნების ახლებურ გაგებაში (მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული გერმანიაში დაწყებული მხატვრების მოძრაობა – მიმართული ხალხური და დეკორატიული შემოქმედებისადმი, რომელიც გავრცელდა მთელ ევროპაში და შემდეგ ამერიკაშიც) გამოყენებითი ხელოვნება აყვანილია სულიერ და მატერიალურ შემოქმედების რანგში და არა უბრალოდ რაღაცის, კერძოდ საგნების დანამატი ან მისი გასამშვენიერებელი საშუალება. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, ქართველი 50-იანელები (50-იან წლებში აკადემიადამთავრებული მხატვრები) მოექცნენ „კონსერვატორული რეჟიმის“ წნეხის ქვეშ – რედაქტორი დუდუჩავა, რომელიც ამ რეჟიმის სათავეში იდგა, დღეს ასე შეიძლება დაეხასიათებინათ: არც რედაქტორი, არც მხატვარი, არც ხელოვნებათმცოდნე, მხოლოდ პარტიული ზედამხვედველი. თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობის შეზღუდვის მიუხედავად (მკაცრი მოთხოვნები აკადემიაში არსებული საბჭოთა პროგრამების ზედმიწევნით განხორციელებისათვის), 50-იანელებმა მიიღეს ბრწყინვალე აკადემიური განათლება ისეთი სკოლების გავლით, რაც ნიკოლაძის, კანდინსკის, გრინევსკის, შუხაევის, ქობულაძის, კაკაბაძის, ლანსერეს, ციციშვილის, ძმები ქუთათელაძეების, ჯაფარიძის სკოლების სახელმწიფოებითაა ცნობილი (სამწუხაროდ, დღევანდელი ახალგაზრდობა მსგავს აკადემიზმს მოკლებულია, რაც გაპირობებულია მიზეზთა სისტემით, კერძოდ, არსებულ ფასეულობათა ცვლილებებით, კომპიუტერის შესაძლებლობების გადაფასებით, შესაბამისად აზროვნების სტილის განსხვავებულობით, ინფორმაციული სიჭარბით – მხოლოდ მოსმენილი და ნაკლებად წაკითხული, საერთაშორისო სივრცისაკენ აქტიურად სწრაფვის წადილით, ხშირად საკუთარი საუნჯის ფეხქვეშ გათელვის ხარჯზე და ა.შ.). 50-იანი წლების ბოლოს თანდათანობით ხელმისაწვდომი ხდება ტაბუირებულ შემოქმედთა ალბომები: იმპრესიონისტების: კაკაბაძის, კანდინსკის, ლეჟეს, პიკასოს, თუმცა 60-იან წლებში სალვადორე დალის ალბომით აკადემიაში გამოჩენა მაინც დიდი რისკი იყო. ასე რომ, 50-იანელები, საქართველოს ნამდვილი პატრიოტი შვილები, როგორც სტრიჟენოვა იმავე ალბომში ბრძანებს: „ამ უძველეს

და მუდმივად განახლებულ მიწაზე“, იქცნენ ეროვნული კულტურის – ხელოვნების ახალ ძლიერ ტალღად, უკვე გათავისუფლებულნი უსახური სოციალისტური რეალიზმის ცრუ აზროვნებისაგან. (რაც გამოიხატებოდა მთავარი ლოზუნგის „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, ან ფაშიზმის მოწოდებების, ზურგის შექცევაში), თამამად შეიძლება ითქვას, რომ გივი ყანდარელის თაობა (ნიჟარაძე, ერისთავი, ხუნდაძე, ძმები ბერძენიშვილები, იგნატოვი, გ. წერეთელი, ნოღია, თოიძე, თორღია, მირზაშვილი, მჭედლიშვილი, იაშვილი, კიკნაძე და კიდევ მრავალი სხვა. მათ წინაშე ქედს ვიზრი და ბოდიშს ვიზდი, რადგან სტატიის ფორმატი ყველას ჩამოთვლის საშუალებას არ იძლევა) აღმოჩნდა, ის პირველი მერცხალი, რომელმაც დიდი ძალისხმევით ფასად გაარღვია საბჭოთა იდეებით ამოქოლილი „ბუდე“ და იქცა არა მარტო ხელოვნების და მათ შორის დეკორატიული ხელოვნების, არამედ მთლიანად კულტურის ამაღორძინებელ მთავარ ძარღვად. ასეთ ისტორიულ მონაკვეთში ცხოვრობდა, უყვარდა, რასაკვირველია იტანჯებოდა კიდევ, და გივი ყანდარელი მაინც ქმნიდა თავის შეუდარებელ „პირმშობებს“. მის ნამუშევრებში ამოიკითხავთ ინტეგრაციის საწყისებს, ევროპისაკენ სწრაფვას (გობელენი ხომ ევროპული ხელოვნების დარგია) განპირობებულს არა მარტო ისტორიული ბედუკუღმართობით, არამედ იმ გენეტიკური კოდით, რომელსაც ქართული მონუმენტური ხელოვნება ჰქვია (უნაკალური ფრესკები, ბარელიეფები, ჭედურობა თუ მინანქარი, ხეზე ჭრა, ფარდაგები თუ ხალხური ხელოვნების კიდევ სხვა დარგები). ღვთისგან ბოძებული ნიჭი, გემოვნება, ქსოვის უმაღლესი ტექნიკა (ბატონი გივის გობელენის წაღმა-უკუღმა პირის გარჩევა შეუძლებელი იყო). აკვარელის შესრულების შეუდარებელი ხერხი (ხელოვნებაში ნაკლებად ჩახედულნიც კი ამას აღიარებენ), წარმოუდგენელი შრომისმოყვარეობა, მაღალი აკადემიური განათლება, ტემპერამენტი, უღალატობა, პატიოსნება, სიმდაბლე, უტყუარი პედაგოგიური აღლო (2005 წელს მქონდა ბედნიერება, პეკინში შევხვედროდი მის ყოფილ ჩინელ სტუდენტს, რომელმაც მითხრა – „ჩინეთში მივხვდი, ვინ ყოფილა ჩემი მასწავლებელიო. ერთი სული მაქვს ჩამოვიდე საქართველოში და სულ მცი-



რე დროით კიდევ დავემოწაფო ბატონ გვიის“) და კიდევ ვინ იცის, რა თვისებას აღმოაჩინებ მომავალში ხელოვნებათმცოდნეები გივი ყანდარელში. მის მრავალფეროვან ძაფის ხლართებით შექმნილ გობელენებში (ვისურვებდი, რომ ეს დროულად მომხდარიყო). 1983 წელს გივი ყანდარელის გაუგონარი წარმატება (მოულოდნელი, საბჭოთა ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ტენდენციურობისა გამო, ჩამოიშოვა ისეთი საბჭოთა რუსი კორიფეები, როგორებიც იყვნენ გლახუნოვი და მოისევევი) მოსკოვში; ყოფილი სტალინის პრემიის, იმ დროისათვის კი უკვე სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვება გობელენების სერიისათვის „ჩემი სამშობლო“. თავად გივი ყანდარელი, არც მისი მეუღლე არ ელოდა მსგავს ობიექტურ შეფასებას (ეს გახლდათ პირველი შემოქმედი სსრკ-ში, ვინც მიიღო სახელმწიფო პრემია გამოყენებით ხელოვნებაში). 2004 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჩინელი ახლობლისაგან ნასესხები თანხით გამოვიდა გივი ყანდარელის მეორე – სამენოვანი ალბომი. ქართული ტექსტი ეკუთვნის ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს სალომე ცისკარიშვილს, ჩინური და ინგლისური – ჩინელ პროფესორს ბატონ ლინსა და ჩინური ფერწერის აკადემიის სწავლულ მდივანს ბატონ ჭან ჩენს. იგი ბრძანებს: „მართალია, ბატონმა გივიმ შეაბიჯა ხანდაზმულობის ასაკში, მაგრამ მჯერა, რომ მისი ხელოვნება დარჩება მუდამ ახალგაზრდად, რადგან მისი მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი კრედო, მისი გაგება ხელოვნების ფუნქციისა კაცობრიობის კულტურაში, წარმოადგენს ჭეშმარიტი შემოქმედის უკვდავი სულის განსახიერებას“.

გივი ყანდარელი გახლავთ:

„საერთაშორისო ბოჩოს ხელოვნების ბიენალეს“ – ლოზანა-პეკინის ერთ-ერთი დამფუძნებელი (გამომდინარე პირადი, ოჯახური და, რაც მთავარია, პროფესიული გულისთქმიდან); უკვე რვა წელია, ეს საზოგადოება წარმატებულად მუშაობს, დასახელებული დარგის სხვადასხვა ეროვნების შემოქმედთა ურთიერთდახლოებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ჩინეთის ყველაზე წარმატებული ოთხი უმაღლესი ინსტიტუტისა და აკადემიის საპატიო პროფესორი, სადაც მისი უშუალო მონაწილეობით გახსნილია გობელენის განყოფილება. ამ

ღვაწლისათვის მიღებული აქვს როგორც სიცოცხლეში, ასევე ახლახან, მისი გარდაცვალების შემდეგ უამრავი დიპლომი და მოწმობები.

დაიბადა ბატონი გივი 1933 წლის 21 თებერვალს საგარეჯოში, ლუარსაბ ყანდარელის (მეტალზე მუშაობის ოსტატი, ტრაქტორებისა და სარწყავი სისტემების შექმნეებელი, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ზურგში, რუსეთის იარაღის ერთ-ერთ საწარმოს წარმატებული მუშა), დიაკონების წინაპრების ოჯახში. დედამისი, ქალბატონი თამარ ლაფაჩიშვილი მასწავლებლობდა, ცხრაშვილიანი მშრომელი ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ. გვიის ჰყავს და – ქალბატონი თინათითნი, ძმა ნოშრევანი. ბატონი გვიის მეუღლე ლიუ-ყანდარელი კუანვენი (ქართველ-ჩინელი ქალბატონი), პროფესიით მხატვარი, ამჟამად თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის პროფესორი, სინოლოგი. შვილები ნონა (ნინო – მხატვარი) და ერეკლე (არქიტექტორი), ბატონი გვიისთვის უსაზღვროდ საყვარელი ოთხი შვილიშვილი.


არა ერთი პერსონალური გამოფენის ავტორი მოსკოვში, თბილისში, აშშ-ში, იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, საფრანგეთში, ყოფილ გერ-ში, პოლონეთში, იტალიაში, ბატონი გივი ყველაზე მაღალ შეფასებად მიიჩნევა ლოზანაში (შვეიცარია) – გობელენის საერთაშორისო ბიენალეზე ხელოვნებათმცოდნეებისა და ამ სფეროს კორესპონდენტების მიერ მის აღიარებას „გობელენის მეფედ“ („ფიროსმანის სიზმრით“ გაცელებული). საბჭოთა სივრციდან ორი წლით ადრე გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა რიგეღმა ბოგუსტოვამ. სამწუხაროდ, აღნიშნული ბიენალეს, დაარსებიდან 10 წლის თავზე, დამაარსებლის – ლუარსაბ გარდაცვალებამ არსებობა შეუწყვიტა. ბატონი გვიის მცდელობა საქართველოს გაეგრძელებინა ეს საშურველი საქმე, ვერ განხორციელდა. სწორედ ჩინეთში (რამეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ) შეესხა ხორცი აღნიშნულ იდეას.

მინაწერი: სიკვდილის პირისპირ დარჩენილი ბატონი გვიის სული მშვიდად განემორა სხეულს. ეს განშორება ისეთივე ვაჟკაცური აღმოჩნდა, როგორსაც ბატონ გვიის იცნობდნენ მისი ოჯახის წევრები თუ მეგობრები. იმ გაუსაძლის მდგომარეობაში, მაშინაც კი, როდესაც მეტყველების უნარი დაკარგა. მისი მეუღლე ქალბა-


ტონი მალი (ბატონი გივი მას მარის ეძახდა), მისი და ქალბატონი თინა, შვილები, უკვე მისი თვალებიდან იღებდნენ მადლიერებას, გაწეული უმნიშვნელო დახმარებისთვისაც კი. ბედნიერი არიან ის ხელოვნებათმცოდნეები, რომლებმაც ასეთი მდიდარი საზრდელი მიიღეს გივი ყანდარელის შემოქმედებიდან. მეც, როგორც რიგითი ქართველი, ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ

ღირსი გავხვდი მასთან ურთიერთობისა (იგი საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრის „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო, თავმდაბალი წევრი იყო) და ერთი-ორი სიტყვით საშუალება მომეცა ჩემი განუზომელი სიყვარული დავადევნო სულიერ საქართველოში (ღმერთს შევთხოვოთ, რომ ასე მოხდეს). თქვენი არდავიწყება, ბატონო გივი!

კულტურული მემკვიდრეობა



გურამ შენგელია  
პროფესორი



**შეიქმედებითი ინტელიგენცია  
- მშობლიური ენის ქომაგი**

ქართველი ინტელიგენცია ყოველთვის ეროვნული ინტერესების დაცვისთვის ბრძოლის ავანგარდულ ძალას წარმოადგენდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ინტელიგენციის ძალისხმევამ იხსნა ერი რუსიფიკატორული პოლიტიკისაგან, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველთა გადაგვარება-გადაჯიშვას. როგორც ცნობილია, ცარიზმის ბოლო მოხელეებმა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ წამოიწყეს ქართული ენისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წინააღმდეგ. მიუხედავად ქართული ენისა და კულტურის დევნა-შევიწროვებისა, რუსიფიკატორებმა ვერ შეძლეს ქართველთა გადაგვარება, რადგანაც ქართული ეროვნული პოტენცია, მრავალსაუკუნოვანი უნიკალური ქართული კულტურა გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ცარიზმის ჩექმის უხეში ქუსლი. არქივსაცავებში დაუნჯებული მასალები მკაფიოდ წარმოაჩენენ ცარიზმის „ცივილურ“ დამოკიდებულებას ქართული ენისადმი, განათლებისადმი, საზოგადოებრივ ქართული კულტურისადმი. მკაცრი პოლიციური მეთვალყურეობა დაწესდა ქართულ საქველმოქმედო და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებზე. 1908 წლის 30 აპრილს პოლიციის დეპარტამენტი გრიფით „საიდუმლო“ გუბერნატორებსა და ქალაქის თავებს უგზავ-

ნის ცირკულარს, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრის 1908 წლის 28 იანვრის №4 ცირკულარით ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეთითათ, დააწესონ მკაცრი ზედამხედველობა სხვადასხვა საგანმანათლებლო საზოგადოებებზე, განსაკუთრებით კი „სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებებზე“ და მათი პოლიტიკური აგიტაციისაკენ გადახრის შემთხვევაში მიიღონ გადამჭრელი ზომები, რომლებიც არ გამორიცხავენ ზემოაღნიშნული საზოგადოებების აკრძალვას“. ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელებს, მათ შორის თბილისის და ქუთაისის გუბერნატორებს დაევალებათ ზედმიწევნით შეესწავლათ „სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებათა საქმიანობა, და მათ სათავეში მყოფ პირთა პოლიტიკურ საიმედოებაში გარკვევა...“ (სცსსა, ფონ. 17, აღწ.1. საქ. 6337, ფურც.1.). თვითმპყრობელობისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქართული კულტურის დისკრიმინაცია გარკვეულად „წითელი“ ხელისუფლების დროსაც გრძელდებოდა. ეროვნული იდეალებისადმი ერთგული ქართველი მოღვაწეები, განსაკუთრებით კი შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებსაც ჯეროვნად ესმოდათ მშობლიური ენის მნიშვნელობა, არ

უშინდებოდნენ მოსალოდნელ რეპრესიებს და რაინდული ერთგულებით იცავდნენ ქართულ ენას და კულტურას. ეროვნული ინტერესების გამომხატველ მამულიშვილებს გათავისებული ჰქონდათ X საუკუნის პოეტის, მწიგნობრისა და მეცნიერის იოანე-ზომისეს მიერ მშობლიურ ენისადმი მიძღვნილ საგალობელში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ გამოთქმული მოსაზრება ქართული ენის უნიკალურობისა და მნიშვნელობის შესახებ. ავტორის ღრმა რწმენით, „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ჩვენს მოღვაწეებს განჭვრეტილი ჰქონდათ აგრეთვე ის სავალალო შედეგებიც, რაც შესაძლოა მოჰყოლოდა „წითელი“ ხელისუფლების მხრივ მშობლიური ენის შეზღუდვას. მათ ენა ერის ბურჯად მიაჩნდათ და ამიტომაც დიდი ქართველის ცნობილი გამონათქვამის – „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ (გრ. ორბელიანი), ერთგულნი რჩებოდნენ. ჩვენი ინტელიგენცია კარგად აცნობიერებდა იმ გარემოებასაც, რომ როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა „...უდელა-ენოდ გონების განსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სოლა გონების განსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა, – და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“ (ილია ჭავჭავაძე. აზრები. თბ., 1988. – გვ. 68). ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად მდგომი ჩვენი ინტელიგენცია სულთამხუთავი ავტორიტარული რეჟიმის დროსაც, როცა სასტიკად იდევნებოდნენ „სხვაგვარად მოაზროვნენი“, განაგრძობდა აქტიურ ბრძოლას ქართული ენისა და კულტურის დასაცავად. ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, სახელდობრ, შემოქმედებითი ინტელიგენცია აშკარა პროტესტს გამოთქვამდა ბოლშევიკური ხელისუფლების საკადრო პოლიტიკის წინააღმდეგაც. საქმე იმაშია, რომ არც თუ იშვიათად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ისეთი პირები, რომლებმაც არ იცოდნენ სახელმწიფო ენა – ქართული. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებო საარქივო დოკუმენტი გამოვაკლინეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. გთავაზობთ ამ დოკუმენტს:

„1925 წ. 22.06. საქართველოს სახელგამის თავმჯდომარეს მამია ორახელაშვილს, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს შ. ელიავას, საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს

**მემორანდუმი**

**ქართველ ხელოვანთა ერთი ჯგუფისა**

ამ მოკლე ხანში სახელგამის გამგედ დაინიშნა მოქალაქე ვირაპი, კაცი, რომელმაც სრულებით არ იცის ქართული ენა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ნაწილი ქართველი ინტელიგენციის და მწერლობისა ქართულ კომუნისტურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, რაც თავის დროზე აღნიშნული იყო ქართველ ხელოვანთა კავშირის დეკლარაციაში. მოქ. ვირაპის დანიშვნაში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დარღვევას, რადგანაც ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, უშუალო კავშირი ვიქონიოთ მთავრობის მოხელესთან, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი პროფესიის მიხედვით და ჩვენ იმდენად ლოიალური ვართ, რომ არ გვინდა დავარღვიოთ საქართველოს მთავრობისავე დეკრეტი სახელმწიფო ენის სავალდებულო ხმარების შესახებ. ჩვენ გამოეთქვამთ განცვიფრებას, თუ საქართველოს არ მოეძევა ისეთი ქართველი კომუნისტები, რომელთაც უფრო მაღალი თანამდებობის შესრულება შეუძლიათ. ნუთუ საქართველოში არ არის თვით კომუნისტურ წრეებშიაც ისეთი კაცი, რომელსაც ქართული სახელგამის ხელმძღვანელობა შეეძლოს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, მთავრობა არ დაინახავს ამაში არა ლოიალობას და უყურადღებოდ არ დატოვებს ამ განცხადებას, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის სიყვარულით და ქართული სახელმწიფოსადმი ლოიალური განწყობილებით“.

ხელს აწერენ: კონსტანტინე გამსახურდია, ია კარგარეთელი, ანასტასია წერეთლისა (სუიცსა, ფონ. 600. აღწ.1, საქ. 481, ფურც.2). შემოთავაზებული საარქივო დოკუმენტი, ვფიქრობთ, მკაფიოდ ადასტურებს ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის პატრიოტულ საქმიანობას, მათ უკომპრომისო ბრძოლას ქართული ენის სტატუსისა და ეროვნული კულტურის დასაცავად ავტორიტარული რეჟიმის განუკითხ-

აობისა და სისხლიანი ტერორის პირობებში. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს ეროვნული ცნობიერების, ერის თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცების უმთავრეს პირობად მიაჩნდათ უძველესი ქართული კულტურის, მშობლიური ენის დაცვა ე.წ. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დამღუპველი გავლენისაგან. ერის ჭეშმარიტი გუშაგებისათვის – ქართული მწერლობისა და კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლებისათვის ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების ქომავობა ქართველობის გადაგვარებისაგან დაცვის უმთავრეს პირობას წარმოადგენდა. მათი მამულიშვილური მოღვაწეობა ეფუძნებოდა დიდი ილიას ცნობილ ფორმულას – „მამული, ენა, სარწმუნოება“.

წმინდა ილია მართლის ეს შეგონება, ილიასეული ეს „სამება“ აქტუალურია დღესაც, რადგანაც ხელისუფლების განსაკუთრებულმა ზრუნვამ ჩვენში დასავლური კულტურისა და ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად შესაძლოა გარკვეულად შეასუსტოს მთავრობის ყურადღების კონცენტრაცია ეროვნული კულტურის განვითარების პრობლემატიკაზე. აქვე დავსძენთ, რომ კადრების შერჩევისას უპირატესობა უნდა ეძლეოდეს არა მხოლოდ ინგლისური ენის მცოდნეთ, მათ „ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერა-კითხვას და ლაპარაკს“ (მ. მაჭავარიანი), არამედ სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქვეყნის დასავლური განვითარების მოდელს, მაგრამ ვერ შევეგუებით უძველესი ქართული კულტურისადმი ზერელე, გულგრილ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. შედარებით „ახალგაზრდა“ დასავლეთში ჯეროვნად უნდა გააც-

ნობიერონ გაცილებით ხანდაზმული, „ჭაღარა“ საქართველოს კულტურის ადგილი და მნიშვნელობა კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში. როგორც გამორჩეული მამულიშვილი, მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროსთან დაკავშირებული უგანათლებულესი პიროვნება გიორგი შარვაშიძე აღნიშნავდა: „...იღბლის უკუდმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს... როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყვეებში“ (სიმონ ჯანაშია, შრომები.: VI. – თბ., 1988 – გვ. 18). საქართველო ხომ პირველი ევროპელის სამშობლოა, რაც დმანისის გათხრების შედეგად დადასტურდა. ამ ფაქტს ჯეროვანი მეცნიერული შეფასება უნდა მიეცეს დასავლეთში. იმასაც საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანული კულტურის ისტორიის შესწავლა შეუძლებელია ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე. აკი სავსებით მართებულად ბრძანებდა დიდი ილია: „ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის...“ (ილია ჭავჭავაძე, აზრები. – თბ., 1988. – გვ. 17). აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მარტოოდენ წარსულით თავის მოწონება ბევრს არაფერს შეგვმატებს. დღეს გაცილებით მეტი ძალისხმევა გვმართებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და დასაცავად. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი გვმოდერავდა: „რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს პიროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“.



რამაზ (ისაკო) მეფარიშვილი  
პროფესორი

## მხირე რამ „ოიდიპოსზე“



ადამიანის აზროვნების წესი მზერაა, მხედველობა. ეს კი გულისხმობს არსებულის გამოვლენილ, თუ მიღმურ განფენილობას. ყოველი არსებულის რეალობაში შეიძლება დაეჭვდე, გარდა თავად ეჭვისა. სწორედ ამის შემდეგ იბადება აზროვნება.

უეჭველია, რომ არსებობს აზრი და ის ვინც აზროვნებს, სანამ აზროვნებს, მამასადამე, არსებობს. მაგრამ რადგან არსებობს, იტანჯება. ერთი სიტყვით, მიწიერება სახელდება ლოგოსის მიერ.

„ვერ ვაზროვნებთ იმიტომ, რომ ჩვენი არსი ტკივილის ვერშემგრძნობი უაზრო ნიშანია, თუ ვერ ვგრძნობთ ტკივილს, მაშინ ჯერ არ ვაზროვნებთ“, – წერს ჰაიდეგერი. დაბადებისთანავე „მშობელი“ განწირულია სასიკვდილოდ, შვილი მშობლის დამოუკიდებლად ეძიებს სიბრძნეს, ანუ ყოველ შემთხვევაში, სულიერად შვილი არ იმეორებს მამას.

სიცხადისათვის გავიხსენოთ „ოიდიპოსის მითი“, ძველბერძნულმა მისტერიამ შესაძლოა რაიმე გაგვიძღვანოს აზროვნების ბუნების შესახებ. მითუმეტეს, ჩვენი აზროვნების საფუძველთა-საფუძველი ბერძნული მითის სამყაროა.

ღმერთებმა თებეს სასჯელად სფინქსი მოუვლინეს, რადგან ქალაქის მკვიდრნი მათი მეფის უგვან საქციელს ითმენდნენ. სფინქსი ქალაქის გზაზე იჯდა და გამვლელს ერთ ამოცანას ეკითხებოდა: „არის დედამიწაზე ოთხფეხა, ორფეხა და სამფეხა არსება, რომელსაც ერთი ენა აქვს, იგი ერთადერთი იცვლის იერს იმ არსებათა შორის, რომელნიც მიწაზე, ცაში და ზღვაში მოძრაობენ. მაგრამ როდესაც იგი ჩქარობს და ფეხით დადის, მისი სიჩქარე, კიდურებათა რიცხვის გამო, უფრო ნაკლები ხდება“.

სფინქსი კლავდა ყველას, ვინც არასწორად პასუხობდა. ქალაქისა და საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით, ლაიოს მეფე დელფოსს სამისნოში გაემგზავრა. გზაზე მას შეხვდა ოიდიპოსი და წინასწარმეტყველება ასრულდა. ოიდიპოსმა მოკლა მამა, შემდეგ სფინქსის გამოცანა ამოიცნო და მხსნელად მოევლინა ქალაქს. გამოცანის პასუხი ასეთია: „ადამიანზე ამბობენ, როგორც ახალშობილი, თავისი სისუსტის გამო მიწაზე დაცოცავს ოთხი ფეხით, ხოლო როდესაც მოწეული სიბერე კისერს მოუდრეკს, იგი მესამე ფეხს, კვერთხს ებჯინება სიბერისაგან წელში მოხრილი“. ალბათ აქ ის ფიქრთა-ფიქრია ჩადებული, რომ „ამა სოფლის“ ყოველი გამოცანის ამონახსნი ადამიანშია. ოიდიპოსის გამოჩენამდე ვერავინ გამოიცნო სწორი პასუხი, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მანამდე ვერავინ გამიჯნა სიტყვის მთლიანობა. ადამიანი ანგრევს სფინქსის სისრულეს, რადგან ამ თვისებას უკვე საკუთარ თავში ხედავს. იგი ვეღარ გააგრძელებს უწინდელი არსებობის წესს, მან თვითსახიერებას უნდა მიჰყოს ხელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, შეგვიძლია ვარაუდით მივხვდეთ ღმერთების ჩანაფიქრის არსს. ადამიანს საკუთარ თავზე დაფიქრება მოუვლინეს სასჯელად. სფინქსის სიტყვა არავის ესმოდა, რადგან თებეს მკვიდრთაგან არავინ იყო ისეთი, ვინც საკუთარ თავს წარმოაჩენდა, სასჯელი მხოლოდ მეფე ლაიოსმა იტვირთა. მხოლოდ მან მოახერხა საკუთარი თავიდან და ე.ი. სფინქსიდან ამოსვლა, მაგრამ დაფიქრებით, თუ გნებავთ ფიქრთა-ფიქრით თებეს მეფე გარდაიცვალა ოიდიპოსად. ფიქრმა შვა გმირი, რომელიც განგების მიერ დანიშნულია მამის მკვლელად და მისი ტახტის მფლობელად. ის თავის თავში დამარცხებულ საკუთარ თავს ატარებს. ჩვენ ცოტა ხნით დამარცხებულთან, ლაიოსთან და სფინქსთან

დავრჩეთ. უნდა ითქვას, რომ შესაძლოა ლა-  
იოსი და სფინქსი ერთი და იგივე სახეებია.  
თუმცა იგივებრიობა განსხვავებულობასაც გუ-  
ლისხმობს. მეფისეული სფინქსის ბუნების არ-  
სი საკუთარი თავის ვერ დანახვაშია. ამდენად,  
სფინქსი თავად არის ადამიანი და ამასთან  
ის, რითაც ადამიანი საცნაურდება. აქედან გა-  
მომდინარე, ადამიანი მზერაა, მაგრამ ისეთი,  
რომელიც თავად ბრმაა. ხედვის უქონლობის  
მიზეზი გრძნობადი ბუნებაა. სფინქსი შინაგა-  
ნი გრძნობაა, საწყის ეტაპზე არ ჩანს, დანახ-  
ვისთანავე კი უჩინარდება. მასთან შეხვედრის  
მოაზრება დროში შეუძლებელია, ამასთანავე,  
იგი ისეთივე მოუხელთებელია, როგორც წამი.  
ნებისმიერი რამ ამა თუ იმ წამიდან დანახული  
სურათია, ხოლო სიტყვა მარადიულობის აღ-  
ქმაა. აღქმული „სიტყვა“ აზროვნების ის კვერ-  
თხია, რომელზე დაყრდნობით ადამიანი ნელ-  
ნელა მიიწევს წინ. „აზროვნებ, ესე იგი ვარ-  
სებობ“. გამოდის, რომ სიცოცხლე გააგრძელა  
აზრმა და არა თავად ადამიანმა. მაშასადამე,  
ცნობიერება დაიდებს ბინას იმ ადგილას, რომე-  
ლიც ყველაზე მეტად არის შეუთავსებელი მის  
ბუნებასთან. ოდიპოსს როდესაც ეკითხებიან  
უბედურების მიზეზს, პასუხობს: „ძღვენი ავიღე,  
რომელიც არასოდეს უნდა ამელო, ვალში მყო-  
ფი ქალაქისაგან“.

ოდიპოსი არაბუნებრიობაში სახლდება,  
მაგრამ რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ  
მან თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ მოახერ-  
ხა „თვით დამკვიდრება“. ამის მიზეზი კი ის  
გახლავთ, რომ ცნობიერებამ (ოდიპოსმა) არ  
იცის თავისი წარმომავლობის შესახებ. ლოგო-  
სის საუფლოში გაზრდილი ოდიპოსისათვის  
მამისმკვლელობა სფინქსზე გამარჯვების ამბად  
არის ქცეული. თავდავიწყებული ცნობიერება  
ტკივილს ვერ გრძნობს. გონი თავის წარმო-  
მავლობას ივიწყებს, ყოველ ნაბიჯზე მას გა-  
დასალახავი აქვს „საკუთარი თავი“, სიბრძნის  
მოყვარულია და არა ბრძენი. სოკრატეს სიტყ-  
ვებით – ცნობიერებამ ადამიანს ცნების ცნება  
მოუტანა. სამაგიეროდ კი თვითონ პრომეთეს  
მსგავსად დიდი ხნით ყველაზე მაღალ მთას-  
თან მიაჯაჭვა. მოხიბლული ადამიანი ივიწყებს  
მითს. დავიწყებით კი კაცობრიობა მის განხორ-  
ციელებას იწყებს.

რა არის ოდიპოსის წარსულში დაბრუნების

მიზეზი? მისი არსება ხომ ახალი სიმაღლეების  
დაპყრობაშია. საბოლოოდ სიტყვა აღსრულდა  
და დაასრულა თავისი ქმნადობა. სიტყვა წარ-  
სულიდან მომდინარეობს და მას ეფუძნება ყო-  
ველთვის.

ოდიპოსის სახე ბრძენის ტრაგედიაა, რომე-  
ლიც საკუთარ თავსაც და სხვასაც უნდა წარუდ-  
გეს როგორც სინამდვილისა და გარკვეულობის  
განსახიერება. არადა, ზურგს უკან იტოვებს  
საკუთარ თავთან შეხვედრის წამს. საბოლოოდ  
მან უარი უნდა ითქვას ამგვარ გარკვეულობაზე  
და კვლავ იბრუნოს პირი სფინქსისაკენ. ანუ  
საკუთარი თავისაკენ. მაგრამ ეს არ არის ერთი  
სურათის შეცვლა მეორეთი. აქ ადამიანის ცნო-  
ბიერებამ, თუ გნებავთ სახიერებამ, უარი უნდა  
ითქვას ყოველგვარ მდგრადობაზე. ერთადერთი  
გზა სიკეთისაკენ მარადიული სწრაფვაა. აზროვ-  
ნება კი მუდმივცვალებადია და ესაა მისი სა-  
იდუმლოც. აზროვნების ზესრულობა, „მზედამ-  
დაბლებობა“ ყველას შუბლზე როდი კოცნის,  
რადგან, ტოლსტოის სიტყვებით, ის მდინარე-  
სავითაა: „წყალი ყველგან ერთნაირი და ერთი  
და იგივეა, მაგრამ მდინარე ზოგან სწრაფია,  
ზოგან ფართო, ხან წმინდა, ხან ამღვრეული,  
ხან ცივი, ხან თბილია. ადამიანებიც ასეა, თი-  
თოეული თავის თავში ატარებს ყველა ადამი-  
ანურ ჩანასახს და ზოგჯერ მხოლოდ ერთს  
ამჟღავნებს, ზოგჯერ მეორეს და ხშირად ხდე-  
ბა ისე, რომ საერთოდ არ ჰგავს თავის თავს“.  
ადამიანი დენადობაშია მოაზრებული.

შეუძლებელია შესვლა ადამიანის სამყარო-  
ში, თუ ადამიანს სიკეთე არ გააჩნია. სიკეთე კი  
მადლია, რომელიც ყოველთვის გადმოედინება  
მასზე. ეს კი ნათლის თანაზიარს ხდის ადამი-  
ანს. სიკეთე ნათელია და თუ ვინმე ნათლის  
ნაკლოვანებას განიცდის, იგი იმავე გზით დაუბ-  
რუნდება მას, როგორი გზითაც დაკარგა.

როგორ შეიძლება გავითავისოთ სიკეთე?  
ალბათ უნდა დავბრუნდეთ როგორც ოდიპო-  
სი საკუთარ თავთან. ადამიანს მადლი იმდენად  
მიეახლება, რამდენადაც მან საკუთარი თავი  
ღვთის ნებას დაუმორჩილა. ცოდნა უძღურია  
ოდიპოსის რწმენის დასაცავად. ვერანაირი არ-  
გუმენტი ვერ დაიცავს, პირიქით, დააყენებს  
რწმენას, რადგან მას არ სჭირდება დამცველი,  
ის თავისი ბუნებით გამარჯვებულია. სოლო-  
მონ ბრძენი წერდა, რომ აზროვნება „მხოლოდ

უბიწო გულში ივანებს“ და მისი საფუძველ-  
თა-საფუძველი სულიერებაშია საგულვებელი.  
სულიერება შობს სიკეთეს და ისაა განმფენელი  
ყოველგვარი ადამიანური უნივერსალებისა. სი-  
კეთე ესაა დაბადება, მიწიერებაზე მოსვლა და  
მზადება იმ „ქვეყანაში“ წასასვლელად. ქრის-  
ტიანობა ამ შემთხვევაში ამბობს: „და ვინც არ  
იღებს თავის ჯვარს და არ მომყვება მე, იგი


არ არის ჩემი ღირსი“ (I. მთ. 10.38). „თავის  
ჯვარს“ ე.ი. ადამიანი მარადიულობის წინაშე  
უნდა წარსდგეს არა ცარიელი, არამედ სიკე-  
თით აღვსილი. მან უნდა გააკეთოს არჩევანი  
ღვთისა და ქვეყნის წინაშე. რომელს მისცემს  
უპირატესობას, ეს მასზეა დამოკიდებული, რად-  
გან ადამიანი უზენაესისაგან თავისუფლებითაა  
ხელდასმული.

იუბილე

გულნარა სტურუა

ბერნარდ შოუ

(150 წლისთავის გამო)




შეოცე საუკუნის ინგლისელი დრამატურგი  
ბერნარდ შოუ დაიბადა ირლანდიის დედაქალაქ  
დუბლინში, ქვეყანაში, სადაც უკიდურეს გაჭირ-  
ვებაში ცხოვრობდა ხალხი, მაგ-  
რამ მონობას ვერ ეგუებოდა და  
ცდილობდა ინგლისისაგან და-  
მოუკიდებლობა მოეპოვებინა.  
მომავალი მწერლის ბავშვობამ  
და ახალგაზრდობამ თავისუფ-  
ლებისათვის აბოხოქრებული  
ხალხის მწუხარებისა და რის-  
ხვის ატმოსფეროში გაიარა.

ბერნარდ შოუს მამა წვრი-  
ლი მოხელე იყო, დედა კი – მუ-  
სიკოსი, მუსიკის გაკვეთილებით  
შეჭქონდა მცირეოდენი შემოსა-  
ვალი ოჯახში, სადაც არცთუ  
ისე მშვიდობიანი და მეგობრუ-  
ლი განწყობილება სუფევდა. ოჯახს არ ჰქონდა  
სამუალება ბავშვების აღზრდა-განვითარებისათ-  
ვის. თავისი განწყობითა და შეხედულებებით  
შოუს მშობლები უერთდებოდნენ დუბლინის  
მოწინავე პატრიოტთა ფენას, არ იზიარებდნენ  
რელიგიურ დოგმებს და ბავშვებიც თავისუფალ  
მოაზროვნებად დაიზარდნენ.

თხუთმეტი წლის იყო შოუ, როდესაც სარ-  
ჩოს მოსაპოვებლად, თავის შესანახად მუშაობა  
დაიწყო კანტორის წვრილ მოხელედ. იმთავით-

ვე ინტერესდებოდა ლიტერატურით, მუსიკით,  
მხატვრობით. 1876 წელს გადავიდა ლონდონ-  
ში. გაჭირვებაში და სიღარიბეში მყოფს, ერ-  
თხანს დედა ეხმარებოდა.



ამ პერიოდში შოუ გაიტაცა  
თეატრმა, აქვეყნებს პირველ მუ-  
სიკალურ რეცენზიას კორნო დი  
ბასეტოს ფსევდონიმით და მოკლე  
ხანში გვევლინება მუსიკის კრი-  
ტიკოსად. მისი სახელი ცნობილი  
ხდება ლონდონის თეატრალურ  
წრეებში.

ხელოვნებით გატაცებასთან ერ-  
თად, შოუ გარკვეულ ინტერესს  
ავლენდა საზოგადო-პოლიტიკური  
ცხოვრებისადმი. ხშირად ესწრებო-  
და სოციალ-დემოკრატიის შეკრე-  
ბებს, მონაწილეობდა პოლიტიკურ  
დისკუსიებში, ინტერესით კითხულობდა მარქსის  
„კაპიტალს“ და სხვა შრომებს. ცხოვრების აქ-  
ტუალურ საკითხებისადმი თავისი შეხედულებე-  
ბი მან გამოამჟღავნა ადრეულ მოთხრობებსა და  
რომანებში. შოუ რომანისტი წერდა ბურჟუაზი-  
ულ ოჯახებზე, მათ ამორალურ და პარაზიტულ  
ცხოვრებაზე. ამ რომანებში გამოიკვეთა შოუს ნი-  
ჭი, როგორც მომავალი ოსტატი-დრამატურგი-  
სა. ამაზე მეტყველებდა რომანებში მიმოხეული  
ბრწყინვალე დიალოგები.



1884 წელს ბერნარდ შოუ გაიტაცა ე.წ. „ფაბიანურმა საზოგადოებამ“, რომელიც თავისი შინაარსით სოციალურ-რეფორმისტული ორგანიზაცია იყო. ფაბიანელებს იდეად ჰქონდათ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასასვლელი რეფორმის შემუშავება და განხორციელება.

შოუს ცხოვრების გზა მიგვიტოვებს იმაზე, რომ ის თავისი დროის აქტიური მოქალაქე და მოღვაწე გახლდათ, მაგრამ, როგორც შემოქმედმა, ნამდვილი ნოვატორობა დრამატურგიის სფეროში მოიპოვა. მან ინგლისურ თეატრში ახალი ტიპის ინტელექტუალური პიესები დაამკვიდრა, სადაც ძირითადი ადგილი უჭირავს არა ინტრიგებს და მწვავე სიუჟეტებს, არამედ გმირების დაძაბულ და მახვილ კამათებს და დიალოგებს. თავად შოუ თავის პიესებს დისკუსია-პიესებს უწოდებდა. მათი დამკვიდრებისათვის ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო როგორც დრამატურგი, არამედ კრიტიკოსიც. ის ღრმად დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოების მანკი წარმოიშობა არსებული სოციალური სისტემიდან. შოუმ თეატრი აქცია სიმართლის თქმის, უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლის არენად.

1891 წელს მან გამოაქვეყნა წერილი „იბსენიზმის კვინტესენცია“, რომელშიდაც თავისი შეხედულებები გამოხატა თანამედროვე დრამატურგიაზე. ეს ნამუშევარი მისი შემოქმედების მანიფესტად იქცა. იბსენი გახდა შოუსათვის უცვლელი თანამებრძოლი მლიქვნელი ბურჟუაზიული საზოგადოების ამორალობის წინააღმდეგ.

დრამატურგ შოუს გზა იწყება პიესების ციკლით, რომელიც გაერთიანებული იყო სათაურით „უსიამოვნო პიესები“ (1892 წ.), ამ პიესებში გამოყვანილია თითქოსდა გარეგნულად სავსებით წესიერი, რესპექტაბელური ბურჟუა, რომელიც ფლობს დიდძალ კაპიტალს და ეწევა წყნარ ცხოვრებას, მაგრამ ამ სიწყნარეში იფარება ბინძური, უსინდისო ადამიანი, რომელიც ცხოვრობს უბედური ღარიბების ექსპლუატაციის ხარჯზე. მკითხველისა თუ მაყურებლის თვალწინ იშლება მკაცრი და უსამართლო ბურჟუაზიული სამყაროს სისაძაგლე.

პიესების მეორე ციკლი „სასიამოვნო პიესები“ შეიქმნა 1894-98 წლებში და მასში შევიდა შემდეგი პიესები: „იარაღი და ადამიანი“, „კანდიდა“, „ბედის რჩეული“, „თქვენ ვერასოდეს ვერ იტყვით“ და სხვა. ამ პიესებში შოუ

ცვლის სატირის ფორმას და ძირითად ყურადღებას უთმობს მორალის პრობლემებს, რომელსაც იგი გამოხატავს აშკარა ირონიით.

შოუს მსოფლმხედველობის შემდგომი მნიშვნელოვანი პერიოდი იყო პირველი მსოფლიო ომის წლები. იმ დროს გამოვიდა იგი მიმდინარე მოვლენების მთელი რიგი თამამი შეფასებებით. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი წერილი „ჯანსაღი აზრი ომზე (Common Sense About the War), რომელიც დაიწერა 1914 წ. ამ წერილში შოუ ომის წამოწყებაში ბრალს დებდა და აკრიტიკებდა არა მარტო გერმანიას, არამედ სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებსაც. მიუხედავად ბევრი უსიამოვნებისა და წინააღმდეგობებისა, შოუ უკან არ იხევდა და 1919 წელს ომის თემას უძღვნა მცირე მოცულობის პიესა „ოგასტესი თავის ვალს იხდის“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შოუს 20-30-იანი წლების პუბლიცისტიკაში და დრამატურგიაში იგრძნობოდა სიმპათია საბჭოთა ქვეყნისადმი, რაზედაც ხაზგასმით აღნიშნავენ რუსი კრიტიკოსები. შოუმ კაპიტალისტური სისტემა დაუპირისპირა სოციალისტურს. სამოქალაქო ომის დროს ის აშკარად გამოდიოდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის დასაცავად.

შოუ მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე ეძებდა აზრების გამოხატვის და ჩამოყალიბების ახალ ფორმებს და მეთოდებს. შემდგომდროინდელ პიესებში (20-30-იანი წლები): „წმინდა ჟანა“. „ურემი ვაშლებით“, „მწარეა, მაგრამ სიმართლეა“, იგრძნობა ბურჟუაზიული დემოკრატიის არსის მამხილებელი მწვავე პოლიტიკური პამფლეტი და სიმდიდრის დამღუპველი ზემოქმედება ადამიანის ბედზე.

დემოკრატიულ აზრებს ავითარებს შოუ ერთ-ერთ თავის ბრწყინვალე და საქვეყნოდ ცნობილ კომედიაში „პიემალიონი“. საქართველოში თეატრის მოყვარულები და მკითხველები კარგად იცნობენ სახელოვან ინგლისელ დრამატურგს. მისი პიესა „პიემალიონი“ ათეული წლების მანძილზე წარმატებით იდგმება ქართული თეატრის სცენებზე.

მსოფლიო დრამატურგიის დიდი წარმომადგენელი – ბერნარდ შოუ გარდაიცვალა 1950 წ. 2 ნოემბერს, ეიოტ-სანტ-ლორენსში... დღეს ქართველი ხალხი, მსოფლიოს მკითხველ საზოგადოებასთან ერთად, დიდი პატივისცემით აღნიშნავს დრამატურგის დაბადებიდან 150 წლისთავს.



ალექსანდრე ლორია

## სამანსოვრო ჩანახატი

(რ. ინანიშვილი - 80)

ეს 1985 წლის 21 იანვარს იყო. ტარდებოდა საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო კონფერენცია. როგორც დელეგატი, მივედი, მაგრამ დროზე ადრე მომიწია იქ გამოცხადება და დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. შევათვალე იქაურობა. დავინახე – სადღაც შუა რიგში რევაზ ინანიშვილი იჯდა. დამინახა. მივესალმეთ ერთმანეთს. მანიშნამის გვერდით თავისუფალ სკამზე და მეც იქ დავიჯირე ადგილი.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველ ნაბიჯებს დგამდა მწერლობაში. მერე, დიდი ხანი რომ გამოხდა, კინოსტუდიაში ვხვდებოდი დრამატურგთა სექციაზე – სავსებით არაფრისმომცემ ორგანოში, რომელსაც მერე თითქმის ყველამ გაანება თავი. მაგრამ რეზოსთან ურთიერთობა არ შემიწვევტია, თუმცა აქტიური შეხვედრები არ გვექონდა, ისე კი საკმაოდ ხშირად გვიწვევდა ერთმანეთის ნახვა ხან სად და ხან სად. მასთან საუბარი ყოველთვის სასიამოვნო და საინტერესო იყო. ახლაც გავაბით ლაპარაკი, ვიდრე კონფერენცია დაიწყებოდა. ის იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო, მუხლზე დელეგატის ბლოკნოტი ედო და ხატვით იქცევდა თავს, თან მესაუბრებოდა.

მის ნახატს რომ დავხედე, გამიკვირდა: როგორც კარგ მწერალს, კარგად ვიცნობდი, მაგრამ ასე თუ ხატავდა, ვერ ვიფიქრებდი.

– შენ მხატვარიც ყოფილხარ-მეთქი, – ვუთხარი.

არაფერი უთქვამს, ჩაელიმა. მერე მიაწერა ნახატს რაღაც და მომაწოდა, ამ დღის სამახსოვროდ იყოსო.

ჩანახატი საოცრად შეესაბამებოდა დროის ამ პერიოდს – იანვრის სუსხი, ცივი ქარი, უფ-მური დარი... ფოთოლგაცვენილი დაძარღვული ხე განმარტოებით დგას, ზედ ეულად შემომჯდარი ბელურა თითქმის მომავალი თბილი დღეების მოლოდინში იყურება სადღაც შორს. მიუხედავად ცივი, მოსაწყენი პეიზაჟისა, ეს პატარა ესკიზი ყოველთვის თბილ გრძნობებს მიღვიძებს გულში, ნათელ, კარგ დღეებს მაგონებს. მე ასე მჭირს, და თქვენი არ ვიცი.

გთავაზობთ ამ სურათს და, დეე, ჩვენი საყვარელი მწერლის გახსენებად ჩაგვეთვალოს. რევაზ ინანიშვილს უჩვენოდ არ დააკლდება კეთილი მოსაგონარი და ლამაზი სიტყვა მისი ძარღვიანი შემოქმედების ღირსეულად შესაფასებლად.



რეზოს ადრიდანვე ვიცნობდი. ბათუმშიც ყოფილა ჩვენ ძველ სახლში ახალგაზრდობაში,

## ჩვენი ღირსეული თანამდგომი

ცნობილი ქართველი მწერალი ნანა კანდელაკი ჩვენი ჟურნალის დაარსების დღიდანვე დიდი გულისყურით ადევნებს მას თვალყურს და არა მარტო მისი მუდმივი მკითხველია, არამედ ავტორიც. ჩვენც ინტერესით ვადევნებთ თვალყურს მის გამოჩენას ლიტერატურის სამყაროში. სწორედ ახლახან, მის საიუბილეო დღეებში გამოიცა მისი ნოველების პატარა კრებული „სახელიაკები“. როგორც თვით ავტორი გვამცნობს ანოტაციაში, „წიგნში წარმოდგენილი ნოველები ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებებია. ყველა მათგანი თანმედროვეობას ეხება, ჩვენი ადამიანების სულიერ შინაგან განცდას, აღმაფრენას, ხშირად მწარე ტკივილს და მაინც უკეთესი მომავლის იმედით ყოფნას არ ვეშვები, როგორც ჩემი მრავალი ნოველის გმირი“.


ღიახ, მწერალი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნამდვილად შესაშური ენერჯითა და ოპტიმიზმით გამოირჩევა, გასაოცარია მისი ნაყოფიერება, შემართება, პოლემიკისადმი დაურიდებულობა, სიახლის შეცნობის წყურვილი და მოვლენების მიმართ მოქალაქეობრივი მიდგომა.

ეს ბოლო წიგნი ამის ნათელი დადასტურებაა. მოცულობით ის პატარაა, მაგრამ უაღრესად ტევადი და მრავალფეროვანია. სულ 13 ნოველია აქ გაერთიანებული და ყველა დიდი ინტერესით იკითხება.

წიგნის გარეკანის ბოლო გვერდს ამშვენებს ქალბატონ ნანას პორტრეტი და მეტად ლაკონური მინაწერი, რომელიც მისი სამოქალაქო ცხოვრების ძირითად საკვანძო მომენტებს შეგვახსენებს: „დაიბადა 1921 წლის 24 ოქტომბერს. 1937 წ. დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლა. 1942 წ. დაამთავრა რეინიზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტი; იგი იყო გასამხედროებული და მუშაობდა ჩრ. ურალში ა/კ რე. გზაზე ინჟინრად 1943-45 წლებში. მუშაობდა ჟურნალ „ნიანგში“, გამომცემლობა „საქართველოში“, მწერალთა კავშირში – 1962-2005 წწ. პირველი მოთხრობა დაიბეჭდა 1950 წელს „ძია გიორგი“ ჟურნალ „ბიონერში“. არის მრავალი რომანის, მოთხრობის, ნოველის, იუმორისტული მოთხრობის, პიესის და მოგონებების ავტორი. მწერალთა კავშირის წევრია 1957 წლის თებერვლიდან, დაჯილდოვებულია მედლებით და „ღირსების“ ორდენით“.

ჩვენი ჟურნალი მიესალმება იუბილარ ქალბატონს და ყოველგვარ სიკეთეს, ბედნიერებას და მკლავის მოუღლელობას უსურვებს.

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“



## თანამედროვე ეკოლოგია უნივერსალურ ათწილად საკლასიფიკაციო სხრილში

ქ. მოსკოვში 2004 წელს ბუნების დაცვის სფეროში მესამე ყრილობა ჩატარდა. ყრილობის მუშაობას უძღვებოდნენ გარემოს შესწავლის და ეკოლოგიური განათლებისა და სწავლების სფეროს წამყვანი სპეციალისტები. ყრილობაზე ეკოლოგიური პრობლემების განხილვისას ითქვა, რომ: „К сожалению, российские СМИ по прежнему не уделяют должное внимание экологической проблематике. Интересующую информацию по экологии трудно найти даже в специализированных изданиях“ (Церек Н.Ф., Рыбакова М.В. Что мы знаем об экологии: состояние и перспективы; Образования и просвещения//Библиотека-2004, № 11.-с.20-21.) თუმცა აღნიშნული პრობლემის წარმოშობის მიზეზები არ არის დასახელებული, ვფიქრობთ, პრობლემის სიღრმეში წვდომა, თვით პრობლემის არსი მდგომარეობს ეკოლოგიური მეცნიერების მზარდ განვითარებაში... ცნობილია, რომ 1879 წლიდან ეკოლოგია დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგია, რომელიც XXI საუკუნეშიც განიცდის სრულყოფასა და განვითარებას, რაც ეკოლოგიური და საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტების მიერაცაა აღიარებული. დარგის პროგრესი აშკარად ვლინდება სხვადასხვა ახალი დარგების ჩამოყალიბებაში, როგორცაა ეკოლოგიური სამართალი, ეკოლოგიური მონიტორინგი, ზოგადი და სოციალური ეკოლოგია, საწარმოო ეკოლოგია, ეკოლოგიური ფსიქოლოგია და პედაგოგია, ეკოლოგიური სიტუაციების მოდელირება, ეკოლოგიური მენეჯმენტი, კოსმოსური ეკოლოგია, ეკოლოგიური დიზაინი და მარკეტინგი, ეკოლოგიური ეთიკა, ეკოლოგიური აუდიტი, კულტურის ეკოლოგია, ადამიანის ეკოლოგია, საბიბლიოთეკო ეკოლოგია, წიგნის ეკოლოგია, სენსორული ეკოლოგია, ინფორმაციის ეკოლოგია, აგრესიული ეკოლოგია... აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება იმის აუცილებლობა, რომ მეცნიერება ეკოლოგიას ესაჭიროება გარკვეული ადგილის მიკუთვნება თანამედროვე უნივერსალურ ათწილად საკლასიფიკაციო სხრილში, მით

უმეტეს, რომ წინამძღვრები ამ მიმართულებით თვალნათელია და, ვფიქრობთ, მხოლოდ სურვილია საჭირო აღნიშნულის განხორციელებისთვის. საბიბლიოთეკო სფეროს სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ 1991 წელს უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის განვითარებისა და პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებისთვის შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანო კონსორციუმი (UDC CONSORTIUM). ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა, მეცნიერული ეკოლოგია ჩართულიყო დამოუკიდებლად UDC-ს IV განყოფილებაში, რის საფუძველსაც გვაძლევს ზემოთ გამოთქმული მოსაზრება და დარგის შინაარსობრივი სავსეობა და დიაპაზონი.

პ. ოტლეს, ა. ლაფონტენის, ფ. დონკერ დევისის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ UDC-ს ცხრილები აუცილებელია შესაბამისობაში იყოს მეცნიერების და ტექნიკის განვითარების დონესთან და მოხდეს ახალი ცნებების დამატება UDC-ს შევსების მიზნით. ყურადღებაშისაქცევია ის ფაქტი, რომ ეკოლოგიის დარგის ლიტერატურა განხეულია სხვადასხვა მეცნიერების დარგებში, ზოლო ზოგადი ეკოლოგიის რუბრიკების ჩამონათვალში (574) არაა მითითებული მომიჯნავე დარგები. (2001. გვ. 72-73) ე.ი. არაა ურთიერთკავშირი მითითებული ზოგად ეკოლოგიასა (574) და სხვა მიმართულებათა, მაგალითად, ბოტანიკის (58) დარგის ეკოლოგიის, მიკრობიოლოგიის ეკოლოგიის (579), ზოოლოგიის ეკოლოგიის (59). ციტოეკოლოგიის (576), ვირუსოლოგიის ეკოლოგიის (578) და ა.შ. შორის. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა **ВИНИТИ**-ის სამეცნიერო მეთოდური განყოფილების და UDC-ს რედაქციის მიერ მხედველობაში იყოს მიღებული აღნიშნული მოსაზრება. ვფიქრობთ, ტრადიციულად თუ უახლესი ტექნოლოგიით მოპოვებული ეკოლოგიური ლიტერატურის, საერთოდ, ეკოლოგიური თემატიკის მასალის მოძიებისთვის აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინება გააადვილებს ეკოლოგიური დარგის ლიტერატურის ძიებას სხვადასხვა სპეციალისტების მიერ.

აკაკი მათიაშვილი  
პროფესორი

## გელა საითიძის ნაშრომი „ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიიდან“

გელა (გიორგი) საითიძის სახელი ჩვენი სამეცნიერო წრეებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი მისი შესანიშნავი სამეცნიერო გამოკვლევებითა და საზოგადო მოღვაწეობით. რად ღირს თუნდაც მისი დიდებული ნაშრომი სახელმძღვანელო მამულიშვილის, წმინდა ილია მართლის დისწულის – კოტე აფხაზისა და სხვათა შესახებ.

ამჯერად ჩემი საუბარი მთლიანად დიდი მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სრული ობიექტურობით დაწერილ მის წიგნს – „ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროები (1905-1917 წწ.)“ შეეხება. თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს ნაშრომი ძალზე აქტუალურია და მრავალმხრივ საინტერესო გამოკვლევაა. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროების ისტორიის შესწავლას საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა, რაც მათდამი ბოლშევიკების მტრული დამოკიდებულებით აიხსნება.

განსაკუთრებით უგულებელყოფილი იყო ეს თემა საქართველოში. არა და, როგორც ავტორი მიუთითებს, – „XX საუკუნის საქართველოს ისტორიის, ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლა ამ პრობლემის გასივრძელების გარეშე შეუძლებელია“, სრული ჭეშმარიტებაა! რაც შეეხება საიმპერიო მასშტაბით ამ პრობლემის კვლევას, მართალია, იგი მთლად უყურადღებოდ არ ყოფილა დატოვებული, მაგრამ ყველაფერი მკაცრ ჩარჩოებში იყო მოქცეული და მსოფლიო ტირანების ულიანოვის (ლენინის) და ჯულაშვილის (სტალინის), აგრეთვე ზოგიერთი ბოლშევიკ-თეორეტიკოსის ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებათა იქით არ მიდიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მათი „მოსაზრებები“ ძალიან საეჭვო ხარისხისაა, საკმაოდ გავრცელებულ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, მაგრამ ამ

„მოსაზრებების“ უარყოფა საბჭოთა იმპერიაში მოღვაწე ისტორიკოსების ძალებს აშკარად აღემატებოდა. ამიტომაც, საკითხის ჩაღრმავებული კვლევისათვის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. გელა (გიორგი) საითიძის მართებულ შენიშვნით: „სახელმწიფო სათათბიროების როლის, მისი საქმიანობის ყოველმხრივი შესწავლა, პირდაპირ კავშირშია ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების საკითხთან“. უკეთ თქმა შეუძლებელია! ასეთი ობიექტური, სამართლიანი და ჭეშმარიტი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ავტორს აძლევს ის რეალური ვითარება, რომელიც სათათბიროების არჩევნებისათვის მზადებისა და მათი ჩატარების დროს წარმოჩნდებოდა ხოლმე პოლიტიკურ ძალთა განლაგებისას საქართველოში. ანუ იმდროინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული (კოლონიური) დაყოფით – ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ბათუმისა და სოხუმის ოლქებში.

საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერული შესწავლა, ქართული პოლიტიკური აზრის ევოლუციური განვითარება, ქართული საზოგადოებრივი აზრის დიდი და მძლავრი ნაკადი სწორედ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროების საქმიანობის შესწავლით ხდება გასაგები და საცნაური. თავის მხრივ, ქართულმა პოლიტიკურმა აზრმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთელი რუსეთის იმპერიის მრავალფეროვანი მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე!

ზემოთ მივუთითეთ ბოლშევიკების მტრულ დამოკიდებულებასზე სახელმწიფო სათათბიროებისადმი. საქმე იმაშია, რომ იმპერიის ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სულ რამდენიმე ბოლშევიკი დეპუტატი შედიოდა, ძირითადად მათ მიერ გაბრიყვებული მუშების წრიდან, და მათი გამოსვლები ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა კანონშემოქმედებით პროცესებზე. რაც შეეხება



სოციალ-დემოკრატიის მერე ფრთას – უმცირესობას (ე.წ. მენშევიკებს), მათ ოთხივე სათათბიროში გააჩნდათ საკუთარი საპარლამენტო ფრაქცია და თავიანთი პარტიული პოზიციის საქვეყნოდ განცხადებებისათვის წარმატებით იყენებდნენ ყველაზე მაღალ ლეგალურ ტრიბუნას.

აღსანიშნავია, რომ ს.დ. საპარლამენტო ფრაქციის ლიდერებად ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ არჩეულნი: პირველისა – ნოე ჟორდანიას, მეორისა – ირაკლი წერეთელი, ხოლო მესამისა და მეოთხისა – ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.

განა შეიძლება საქართველოს, თუნდაც რუსეთის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან ისეთ მოღვაწეთა სახელების ამოშლა, როგორებიც იყვნენ ზემოთ მითითებულთა გარდა, ი. რამიშვილი, ივ. გომართელი, ს. ჯაფარიძე, ი. ბარათაშვილი, არჩ. ჯაფარიძე, ჭოლა ლომთათიძე, გ. მახარაძე, ს. ჯუღელი, ე. გეგეჭკორი, ვ. გელოვანი, აკ. ჩხენკელი და სხვები?! სწორედ მათ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროებში მიღებული პოლიტიკური წრთობა სათანადოდ გამოიყენეს დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921 წწ.) აღმშენებლობის წარმატებით დაწყების საქმეში. მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის წითლადგადაღებული იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ უსაზღვრო გულისტკივილით ხატზე საფიცარი სამშობლო დაეტოვებინათ ათასობით სხვა ქართველთან ერთად კვლავ დაბრუნების იმედით...

კომუნისტურ-ფაშისტურ სისხლიან რეჟიმთან შეურიგებლობამ განაპირობა მათი სახელებისა და ნაღვალ-ნამოქმედარისადმი დავიწყების ფერფლის წყარა. ყველას, მათ შორის ისტორიკოსებსაც, აკრძალული ჰქონდათ არა თუ მათი ღვაწლის შესახებ რაიმეს თქმა, არამედ მათი სახელების უბრალო ხსენებაც კი (რასაკვირველია, დადებით ჭრილში, თორემ მათ უსაფუძვლო ლანძღვა-გინებისთვის ყველა გზა ხსნილი იყო!).


XX საუკუნის 90-იან წლების დამდეგს შესაძლებელი გახდა 70-წლიანი მონობის ბორკილების დამსხვრევა და საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახალი აღდგენა და არაერთი ქართველი მოღვაწის სახელის დამსახურებისამებრ წარმოჩენა.

გ. საითიძე ისტორიული ჭეშმარიტების მაძი-

ებელ იმ მკვლევართა პირველ რიგებში ჩადგა, რომლებმაც იმთავითვე ტაბუდადებულ თემებზე მუშაობა დაისახეს მიზნად. აგერ უკვე ათ წელზე მეტია, იგი დიდი გულმოდგინებითა და რუდუნებით იკვლევს ზემოაღნიშნულ საკითხს. კვლევის შედეგებს კი დროდადრო აცნობს ჩვენს საზოგადოებას – წიგნების, ბროშურების, საჟურნალო თუ საგაზეთო სტატიების სახით, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. ამ მიზანმიმართული მუშაობის შედეგია დასახელებული ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიის შექმნის საქმეს ემსახურება. ცხადია, ნაშრომის დაწერისას ავტორს დიდი ივ. ჯავახიშვილის ბრძნული მითითებით უხელმძღვანელია, რომელიც მას საქართველოს უგვირგვინო მეფის, წმინდა ილია მართლის დამსახურების წარმოსაჩენად აქვს ნათქვამი: „ილიას საქართველოს ისტორია ეროვნული თავმოძრონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა მხოლოდ, არამედ მას წარსულის უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთენელი შეფასება აინტერესებდა“.

ამ უტყუარი და ჭეშმარიტი ისტორიის დასაწერად გ. საითიძეს დიდძალი საბუთები მოუპოვებია საქართველოს არქივსაცავებსა და მუზეუმების ფონდებში, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროების სტენოგრაფიული ანგარიშების მრავალტომეულში, ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან მასალებში, სხვადასხვა ხასიათის სტატიისტიკურ ანგარიშებში, სათათბიროების დეპუტატთა წერილებსა და ეპისტოლარულ მეგვიდროებაში, იმდროინდელ ქართველ და რუს მოღვაწეთა მეგუარეობაში, საგანგებო თემატურ გამოკვლევებში, სასამართლო პროცესების ანგარიშებში, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა თხზულებებში, სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებში, სხვადასხვა ენციკლოპედიებსა და ბიოგრაფიათა კრებულებში, ემიგრაციაში მყოფ სახელმწიფო თუ სამხედრო მოღვაწეთა მოგონებებში. ყოველივე ამის თუნდაც სქემატურად ჩამოთვლა ნათლად მიუთითებს, თუ რა ტიტანური მუშაობა გაუწევია ავტორს ამ გამოკვლევის შესაქმნელად!

ზემოაღნიშნული ზღვა მასალის ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე გ. საითიძე გვაძლევს საკვლევი საკითხის ისტორიული სი-



მართლით გაშუქების შესანიშნავ მაგალითს. იგი მიუდგომელი მეისტორიის პოზიციიდან ობიექტურად გვიჩვენებს სათათბიროებისადმი საქართველოს პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებას და მათ მიერ გაწეულ საქმიანობას ქართული პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში. გელა საითიძე განსაკუთრებით და სამართლიანად ყურადღებას ამახვილებს ისეთ პოლიტიკურ პარტიათა ღვაწლზე, როგორებიც იყვნენ: სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნული დემოკრატები.

სახელმწიფო სათათბიროებში წარგზავნილ დეპუტატთა მოღვაწეობის ამსახველი მდიდარი მასალის გაანალიზებისა და კრიტიკული შეფასების საფუძველზე გაკეთებული მისი დასკვნები, ჩემი აზრით, უთუოდ მისაღები და გასათვალისწინებელია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი დამოკიდებულება წინამორბედ ავტორთა გამოკვლევებისადმი, რაც თვალნათლივ ჩანს ნაშრომის

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვიდან და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ვრცელი თანდართული სიდან. ამასთან დაკავშირებით, ვიტყვი მხოლოდ ერთს – არაფერი არ ამშვენებს ადამიანს იმაზე მეტად, ვიდრე მადლიერების ამადლებული და ამამალებული გრძნობა.


ფრიად საგულისხმო და მისაღებია გ. საითიძის მიერ წიგნის დასკვნით ნაწილში გაკეთებული განზოგადოებანი.

გელა (გიორგი) საითიძის ამ ჩინებულ ნაშრომს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მასში მოცემული დასკვნები და მოსაზრებანი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს უახლესი ისტორიის კურსის შესწავლის დროს ლექტორებისა და სტუდენტების მიერ. მრავალფეროვან ფაქტობრივ მასალას იპოვის მასში საქართველოს პოლიტიკური აზრის ისტორიით დაინტერესებული ყველა მკითხველი.

ნაშრომი დაწერილია კარგი ქართულით და შეუწელებელი ცნობისმოყვარეობით იკითხება.


გურამ თაყნიაშვილი

## ეპისკოპოსის ნაშრომი



2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს სა-მოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე აღდგენილ იქნა მე-18 საუკუნის 50-იან წლებში გაუქმებული დმანისის ეპარქიის კათედრა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დმანისის ეპისკოპოსად არჩეული და კურთხეული იქნა სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი ზენონი იარაჯული (ზენონ დმანელი). შეუდგა რა დმანისის სამწყსოს მფარველის უწმინდესსა და საპასუხისმგებლო საქმეს, ეპისკოპოსმა ზენონმა მოკლე დროში შეძლო ახალი სიცოცხლე შთაებერა ისტორიული ქვემო ქართლის ეკლესია-მონასტრების ერთი ნაწილისათვის. ამ სამუშაოთა პარალელურად ეპისკოპოსი ეძებდა, აგროვებდა, ანალიზებდა და სისტემაში მოჰყავდა ისტორიული თუ სხვა სახის წერილობითი წყაროები, სამონასტრო ცხოვრების

ამსახველი დოკუმენტები. მოკრძალებული, თავდადებული და ჭეშმარიტად მკვლევარისათვის დამახასიათებელი ალლოთი შესრულებული ეს ნაშრომი მონოგრაფიული სახით გამოიცა 2005 წელს, სახელმწოდებით „სამხრეთის კარიბჭე“. ისტორიზმის პრინციპით აგებული ნაშრომი თანმიმდევრულად მოგვითხრობს დმანისის ხევის, ლორე-ტაშირის, მაშავერის ხეობის, ფინეზაურის ხეობისა და ლორის წყლის ნაწილის, აგრეთვე ზურტაკეთ-გომარეთისა და ქცია-ხრამის მარჯვენა ნაპირის მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიული და სამონასტრო ცხოვრების შესახებ. მთლიანად ნაშრომი აგებულია საქართველოს ისტორიისა და ქვემო ქართლის საეკლესიო მშენებლობის დიალექტიკური განვითარების ფონზე. თითოეული ისტორიული პერიოდის განხილვისას ავტორი იმოწმებს ქართველი და უცხოელი ავტორების



ჰისკოპოსის  
ზენნი

სამხრეთის  
კარიბჭე

წოდებები და შემდეგ ეჩვენებინა ეკლესიის აგების დრო და ეპიტაფია (გვ. 206-211). წიგნში არასწორადაა მითითებული გომარეთის სკოლის დაარსების თარიღი (1888), სინამდვილეში გომარეთის სკოლა ქ.შ. წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა 1897 წელს. სკოლის დაარსების თარიღად 1888 წელი არასწორადაა აღნიშნული ასევე „სამართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (ტ.5, გვ. 657). სასურველი იყო გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ნუსხაში მოხსენებული ყოფილიყო ი. ლორთქიფანიძის ნაშრომი „ქვემო ქართლი“ (2 ტომი, თბ; 1935. 1938); უმჯობესი იქნებოდა წიგნს მინიჭებული ჰქონოდა საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISBN); აქ წარმოდგენილი სურვილები თუ შენიშვნები არ არის კვალიფიციური ისტორიკოსის და, მით უმეტეს, სასულიერო პირის მიერ დაწერილი პროფესიული რეცენზია. ეს სურვილები სრულიადაც არ უკარგავს ღირსებას ისედაც ღირსეული და ღვთითკურთხეულ კალმოსნის ნაშრომს, როგორც ბრძანდება დმანისის სამწყსოს წინამძღოლი.

პირველწყაროებს, საარქივო, ეპიგრაფიკულ და არქეოლოგიურ მასალებს, რაც ნაშრომს ანიჭებს ერთგვარი წყაროთმცოდნეობით ხასიათს. წიგნი დაბეჭდილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, აღჭურვილია საცნობარო აპარატითა და ფერადი ილუსტრაციებით. მკითხველი მაღლიერების გრძნობით ადევნებს თვალყურს თითოეულ ისტორიულ ფაქტს, მოვლენას.

ნაშრომთან დაკავშირებით გვაქვს მოკრძალებული სურვილები თუ შენიშვნები. უპირველეს ყოვლისა, კარგი იქნებოდა, თუ ისტორიული ძეგლების სურათებს ყველას ექნებოდა სათანადო წარწერა. ასევე ძნელად იკითხება დმანისის ეპარქიაში არსებული ეკლესია-მონასტრების ჩამონათვალი, ნუსხა. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ავტორს ანბანურ რიგზე წარმოედგინა გეოგრაფიული სახელ-





## პირველი ქართული სახელმძღვანელო საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში

გამოიცა ა. ლორიასა და მ. სურმაეას ნაშრო-  
მი „საბიბლიოთეკო საქმის ისტორია“, პირველი  
ნაკვეთი, რომელიც გათვალისწინებულია ბიბლი-  
ოთეკათმცოდნეობისა და საინფორმაციო ტექ-  
ნოლოგიების სპეციალობის სტუდენტებისათვის  
დამხმარე სახელმძღვანელოდ, რედაქტორი –

პროფ. ნ. გომართელი, შეადგენს 183 გვერდს.

მოცემულ ნაკვეთში განხილულია არქაული,  
ანტიკური და შუა საუკუნეების მსოფლიო სა-  
ბიბლიოთეკო საქმის ისტორია. იგი აგებულია  
სასწავლო პროგრამის მიხედვით ბაკალავრია-  
ტისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.  
ემყარება ადრეული პერიოდისა და უახლესი  
ხანის ლიტერატურას, აგრეთვე კომპიუტერში  
მოძიებულ მასალას.

ქართულ საბიბლიოთეკო საქმის ისტორიოგ-  
რაფიაში თითქმის არაფერი მოგვეპოვება მსოფ-  
ლიო ქვეყნების გარშემო. ამგვარი სახელმძღვა-  
ნელოს გამოცემა პირველ ცდას წარმოადგენს.  
მასში მასალა მეტად კომპაქტურადაა მოცე-  
მული, მაგრამ იგი მაინც უმნიშვნელოვანესია  
ჩვენთვის. სტუდენტები შეძლებენ დამატებითაც  
მოიპოვონ ცოდნის გასაღრმავებლად ინფორმა-  
ცია. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე წიგნი  
შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ გზამკვლევად.

წიგნი დაყოფილია პროგრამით გათვალისწი-  
ნებული თემების მიხედვით 9 თავად, რომლე-  
ბიც პარაგრაფებისაგან შედგება. მითითებულია  
ძირითადი ლიტერატურა, რომელსაც ავტორე-  
ბი თავიანთ მკითხველებს სთავაზობენ.


ა. ლორია    მ. სურმაეა

### საბიბლიოთეკო საქმის ისტორია

თბილისი  
2006







## საყურადღებო გამოცემა

შუქურა ინასარიძისა და ინგა ფილაური-ლორის ნაშრომი „საქართველოს წრსული ფოტო და კინო დოკუმენტებში“, რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა, წარმოადგენს საარქივო მასალის მიმოხილვა-ანალიზს და განკუთვნილია სპეციალური დარგის სტუდენტებისათვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო. იგი შედგება ხანგრძლივი, საფუძვლიანი კვლევისა. როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „კვლევის საგანი და ობიექტი იმდენად მრავალმხრივი და რთულია, შეუძლებელია ყველაფერი სრულად მოიცვა და ღრმად ჩაწვდეს“.

როგორც ნაშრომზე დართული პირთა საძიებელი მოწმობს, განხილვის არეში მრავალი საყოველთაოდ ცნობილი თუ უჩინარი პიროვნებაა მოქცეული, ზოგი მათგანის გამოსახულება მხოლოდ ერთადერთმა ფოტომ თუ შემოინახა. ბევრი ფოტო მასალა და ისტორიული ფაქტი საზოგადოების ფართო ფენისათვის ნაცნობი არ არის.


წიგნს უხვად აქვს დართული საილუსტრაციო მასალა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, როგორც ავტორები გვამცნობენ, მოცულობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ბევრი რამის ჩვენება ვეღარ მოხერხდა.



არ შეიძლება არ დავეთანხმოთ წინასიტყვაობაში გამოთქმულ აზრს, რომ „აუდიოვიზუალური მექვიდრეობის ფონდი საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ბაზაა, რომელზეც დაყრდნობით მკვლევარები და მოსწავლე ახალგაზრდობა საქართველოს ისტორიის უტყუარ ფურცლებს გაშლის“. იგი შეიძლება შეფასდეს აგრეთვე, როგორც მრავალნაირი ცოდნის პოპულარიზაციის ძლიერი საშუალება, რადგან მისი ენა კოსმოპოლიტური, ყველასთვის მისაწვდომი და გასაგებია.

ნარკვევში განხილული და ნაჩვენები დოკუმენტები მოიცავენ 1858-1980 წლებს და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, რაც ითვალისწინებს სასწავლო პროგრამის მოცულობასა და მეთოდოლოგიას. მასა-

ლა დაყოფილია 3 ძირითად ნაწილად: თავი I – ქართული დოკუმენტური ფოტოგრაფია (საწყისი და განვითარება); თავი II – ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის განვითარება და ფოტოგრაფია; თავი III – ფოტო-კინო დოკუმენტების გამოყენება სასწავლო და შემეცნებითი დანიშნულებით. დართული აქვს პირთა საძიებელი და დამოწმებული წყაროების ნუსხა.

ნაშრომში მოცემულია „არქივებში შემონახული დოკუმენტების საკმაოდ დიდი ნაწილის ანალიზი, ნაჩვენებია, თუ რა თვალსაჩინო განძი შემონახულა ჩვენი წარსულის ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ხელოვნების, განათლების თვალსაზრისით“. ის დახმარებას გაუწევს საარქივო საქმის შემსწავლელ და დაინტერესებულ პირებს, დააკმაყოფილებს ფართო მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებასაც.





## ქველი ქართული პერიოდიკიდან

მსოფლიოში არაერთი მაგალითია ცნობილი ბიბლიოთეკებისათვის მდიდარი შეწირულებისა, მათ შორის მნიშვნელოვანი თანხებითაც. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ სარეკორდოა ამერიკელი კარნეგის შეწირულებანი. 1899 წელს მან 34 სახალხო ბიბლიოთეკას 7 მილიონი დოლარი გაუნაწილა, ხოლო 1900 წელს დამატებით ერთი მილიონი დოლარი მიუმატა, ხოლო 1900 წელს დამატებით ერთი მილიონ 730 ათასი. მანვე 1901 წელს ნიუ-იორკის საქალაქო ბიბლიოთეკას ერთ-ნახევარი მილიონი გადაურიცხა, სან-ლუისის ბიბლიოთეკას – 2 მილიონი, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას – ერთ-ნახევარი მილიონი. ამგვარად, მან სულ 50 მილიონი დოლარი დაურიგა ბიბლიოთეკებს. ასეთი შეწირულობები უცხო არ იყო ამერიკული ბიბლიოთეკებისათვის, მაგრამ კარნეგის სიუხვე ნამვილად საარაკოა. (მასალა ამოკრეფილია ჟურნ. „განათლებიდან“ – 1916, N4-10 – გვ. 299).

„ამ ორი წლის წინათ თბილისში გარდაიცვალა ერთი ფრიად მდიდარი ქართველი, გვარად ონიკოვი. ამ ონიკოვის მამას სწავლა თელავის სემინარიაში ჰქონდა შესრულებული, ის იყო მომსწრე ირაკლი მეფისა და მასთან მწიგნობარი კაცი. მას ჰქონდა მრავალი ძველი ხელნაწე-

რი წიგნები ქართულ ენაზე. მამის სიკვდილის შემდეგ ეს მდიდარი წიგნთსაცავი მის შვილს დარჩა. ამ შვილის სიკვდილის შემდეგ ეს წიგნთსაცავი გადავიდა მისი ძმისშვილის ხელში. ამ ახალგაზრდა ქართველსაც აუღია ყველა ეს წიგნი და ხელნაწერები და ფუთობით მიუყიდინა ერთ ვიღაც მედუქნისათვის, რომელსაც დაუხვევია ხელნაწერები და წიგნები და პარკები გაუკეთებია მათგან. ჩვენ მალე შევიტყვეთ ეს ამბავი და მედუქნეს მივმართეთ, მაგრამ მას სულ დაეხია წიგნები. ვახტანგ მეფისგან გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ფურცლები სულ ქუჩაში ეყარა, დახეულ პარკებად“. (ჟურნ. „მწყემსიდან“ – 1887, N21 – გვ. 13)

ე. წ. შუბალაშვილის ბიბლიოთეკაში 1916 წლის აპრილის განმავლობაში 7. 708 მკითხველი ყოფილა. სახლში წასაკითხად წაუღიათ 5. 816 წიგნი, სამკითხველო დარბაზში წაუკითხავთ 1892 წიგნი. ახალი ხელისმომწერი ჰყოლიათ 119 კაცი, ხოლო მანამდე – 171 კაცი. 1-ლი მაისისათვის 1. 614 ხელისმომწერი ყოფილა. (გაზ. „საქართველო“ – N103, 1916, 8 მაისი).

მასალა შეკრიბა და მოგვანოდა  
გიორგი სარაჯიშვილმა



## ეროვნული ბიბლიოგრაფიის მხარდასაჭერად!



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ-მა ბიბლიოთეკამ მიმდინარე წელს გამოსცა ია გორგიშელის წიგნი „გვეჭირდება თუ არა ეროვნული ბიბლიოგრაფია?!“, რომლის რედაქტორია პროფ. ზაზა აბაშიძე. წიგნი შეიცავს 38 გვერდს და ერთგვარ დისკუსიურ ხასიათს ატარებს. თვით საკითხის დასმა იმგვარად, როგორც ეს სათაურშია მოცემული, ნიშნავს, რომ იგი პრობლემატურია და სა-

წინამდღეგო მოსაზრებების განხილვას იძლევა. რედაქტორის წინასიტყვაობაში არაორაზროვნადაა გაცხადებული ეს, როცა ნათქვამია: „... ზოგჯერ გამოიქმემა ეჭვი ეროვნული ბიბლიოგრაფიის დეპარტამენტის ცალკე ერთეულად არსებობასთან დაკავშირებით. მომზადებული მასალა და თანდართული დოკუმენტი ნამდვილად გააქარწყლებს ამ ეჭვს და დაეხმარება მკითხველს უკეთ გაერკვეს, თუ რა არის

ეროვნული ბიბლიოგრაფია, რა მნიშვნელობა აქვს მის წარმოებას და ბეჭდური პროდუქციის მთავარი არქივის არსებობას“. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ამ ბროშურის მნიშვნელობა სწორედ ამაში გამოიხატება და იგი ფრიად საგულისხმოა სპეციალისტებისათვის.

ნაშრომში მოცემულია მიმოხილვა იმისა, თუ რა მდგომარეობაა ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოების თვალსაზრისით უცხოეთის მოწინავე ქვეყნებსა და ჩვენში, როგორაა წარმოდგენილი ის ინტერნეტში, ამასთან, ავტორი იძლევა არსებული ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვას, დართული აქვს იფლას „ეროვნული ბიბლიოგრაფიული სამსახურების საერთაშორისო კონფერენციის დასკვნითი რეკომენდაციები“, რომლის თარგმანი ეკუთვნის თინათინ ლომჯარიას.

საკითხი მეტად აქტუალური და საყურადღებოა, რამაც არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიიქციოს არა მარტო სპეციალისტების, არამედ მეცნიერ-მკვლევართა მხრიდანაც.



## ქართველ წმინდანთა პოეზია

მიმდინარე წლის დასასრულს მკითხველებმა ინტერესით მიიღეს საკმაოდ მაღალ დონეზე გამოცემული ზომით პატარა, მაგრამ მეტად ტევადი წიგნი „ქართველ წმინდანთა პოეზია“. კრებულის შემდგენელია ნინო ტარყაშვილი, რედაქტორი – ნესტან სულავა. წიგნი დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილი II-ის ლოცვა-კურთხევით. რეცენზირებულია საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის რეცენზირებისა და გამომცემლობის დეპარტამენტის მიერ. შეიცავს მცირე ფორმატის 123 გვერდს.



კრებულში თავმოყრილია პოეტური ნაწარმოებები ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხული ჩვენი დიდი წინაპრებისა. წარმოდგენილი არიან: მამა შიო მღვიმელი, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე, მეფე დავით აღმაშენებელი, არსენ იყალთოელი, მეფეყოფილი დემეტრე-დამიანე,

ნე, მეფე თამარი, იოანე შავთელი, აბუსერიძე ტბელი, დიდმოწამე ქეთევან დედოფალი, ილია მართალი, ალექსი შუშანია. მათ პოეტურ ნაწარმოებებს წინ უძღვის მცირე ბიოგრაფიები. მინიშნებულია გამოცემები, რომლებითაც ისარგებლა შემდგენელმა კრებულის შედგენის დროს.

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

## ჟურნალი „ბნეი ციონი“



„გიყვარდეს მოყვასი შენი!“ – თორის ამ მცნებით მუშაობს საქართველოს საქველმოქმედო ცენტრი „ხესედ ელიაჰუ“, სათნოების სახლი, რომლის ორგანიზაციების საქმიანობა თბილისის ებრაული სათემო სახლის ახალ, ვრცელ და ლამაზ, კომფორტულ შენობაში უფრო კოორდინირებული გახდა. თბილისის ებრაული სათემო სახლის დაარსებით დასაბამი მიეცა კერას, რომელიც განათლების, კულტურის, ტრადიციების, მეგობრობის განმტკიცებისა და სხვა კეთილშობილური მიზნების განხორციელებისთვისაა მოწოდებული. აქ მოსული ადამიანი უდიდესი ყურადღებით, სითბოთი და მზურველობით არის გარემოსილი. ხესედი თბილი, მყუდრო სახლია, ნავსაყუდელია ხანდაზმული, ასაკოვანი, ავადმყოფი, უმწეოდ დარჩენილი ადამიანებისათვის.

ადამიანი – „ჰომო საპიენსი“, მოაზროვნე არსებაა. მას სასიცოცხლოდ უსათუოდ ესაჭიროება სულიერი საზრდო. აშშ-ის ებრაელთა გაერთიანებული კომიტეტის „ჯოინთის“ ხელშეწყობით ამ საზრდოს, აი, უკვე შვიდი წელია, ხესედი აწვდის ადამიანებს ჟურნალ „ბნეი ციონის“ დახმარებით ებრაული სათემო სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ხესედის დირექტორის ბ-ნი რევაზ შათაშვილისა და დეკანოზისილი ჟურნალისტი, ბ-ნი ილია ბრინერის თაოსნობით (ხოლო სულ ადრე ბ-ნი ფილხაზ ნონიკაშვილის ხელმძღვანელობით).

„ბნეი ციონი“, ე.ი., „სიონის ძენი“ – თავის სახელწოდებას ამართლებს. ჟურნალი ებრაული სულიერების მატარებელია. მასში აისახება საქართველოს ებრაულ დიასპორაში მომხდარი ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა, შუქდება ჩატარებული მასობრივი ღონისძიებები, იგი ხეს-

ტის წევრებს აკავშირებს მთელ თემთან, ე. ი. ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენს.

ჟურნალის დაარსების ისტორია ასეთია:

1999 წ. ბევრი ფიქრის შემდეგ ხესტში მიიღეს გადაწყვეტილება, დაეარსებინათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანო. სიძნელები, რასაკვირველია, ბევრი იყო, წარმოიდგინეთ, ჟურნალის პირველი ნომერი დაიბეჭდა „ერიკას“ მარკის საბეჭდო მანქანაზე, ხოლო შემდეგ გაამრავლეს ქსეროქსზე, ჟურნალი შედგებოდა ხუთი ფურცლისაგან, ტირაჟი თავდაპირველად იყო 10 ეგზემპლარი. დასანანია, რომ ჟურნალის პირველი ნომერი ვერ შემოინახა. „საინტერესო ამბების სამყაროში“ – ასე ეწოდებოდა მაშინ ჟურნალს. ჟურნალი მკითხველს აცნობდა მსოფლიოში მომხდარ საინტერესო მოვლენებს, მეცნიერებაში მომხდარ აღმოჩენებს, ხელოვნებაში მიღწეულ წარმატებებს, გამარჯვებებს. ჟურნალის დამფუძნებელი გახლდათ გამოცდილი, ერუდირებული ჟურნალისტი ბ-ნი ილია ბრინგი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მუშაობდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პასუხისმგებელ მდივნად, საქველმოქმედო ცენტრის დირექციის ინიციატივას მხარი აუბეს ცენტრის თანამშრომლებმა, კურატორებმა, სამეურვეო პირებმა, ვოლონტიორებმა-მოხალისეებმა... ჟურნალს შთაბერეს სასიცოცხლო ძალა: წერდნენ მოთხრობებს, ნარკვევებს, იუმორესკებს, ლექსებს, ექიმის რჩევებს და ა. შ. და მალე ჟურნალი გადაიქცა ხესეტის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

ჟურნალი აშუქებს ჩვენი თემის ცხოვრების ასპექტებს, აგრეთვე გვიამბობს ჩვენს გვერდით მყოფ საინტერესო, შესანიშნავ ადამიანებზე...

ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე. რედაქციის ყველა თანამშრომელი და ავტორები მუშაობენ უნაცვალგებოდ, ანაზღაურების გარეშე. თავისი არსებობის მანძილზე

ის გახდა ებრაული თემის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი და თავისი შემოქმედებითი კოლექტივის ძალისხმევით, უანგარო შრომის, თავდადების წყალობით, ღირსეული ადგილი დაიკავა ებრაულ გამოცემებს შორის. „ბნეი ციონს“ ინტერესით კითხულობენ არა მარტო საქართველოში, არამედ დსთ-ს ქვეყნებში, აშშ-ში, ისრაელში, გერმანიაში, ნიდერლანდებსა და სხვა ქვეყნებში.

ჟურნალი ორენოვანია. ნომრებში, რომლებიც გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით, ქვეყნდება სტატიები, თარგმანები, მიმოხილვები, ის გვამცნობს ქართველი, ებრაელი და სხვა ხალხების ცხოვრებას. იბეჭდება აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ კორესპონდენტთა მასალები. „ბნეი ციონი“ მაღალი პოლიგრაფიული დონით გამოირჩევა.

ჟურნალი ემსახურება კეთილშობილურ მისიას – მოუტანოს ხალხს სიტყვა! ის ანიჭებს მკითხველს სიხარულის წუთებს საინტერესო სტატიების, პუბლიკაციების კითხვისას.

ამაგდარი ჟურნალისტი, დამფუძნებელი ბ-ნი ილია ბრინერი გახლავთ ჟურნალის საპატიო რედაქტორი.

ჟურნალის შედგენაში მონაწილეობენ, ნაყოფიერად, დიდი სიყვარულითა და სითბოთი შრომობენ ქალბატონები ალა პერიმი – რედაქტორი, ბერტა ჯანაშვილი – ქართული ნაწილის პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალის გამოცემის დირექტორი ბ-ნი რევაზ შათაშვილი – ჩვენი ნამდვილი და ერთგული მეგობარი მრჩეველი. თითქმის ყოველ ნომერში ქვეყნდება ჩემი სტატიები – მიმოხილვები ღირსშესანიშნავ ღონისძიებათა შესახებ, ამავე დროს ვრედაქტორობ ქართულ მასალას და ვეწევი სხვადასხვა ტექნიკურ ოპერაციას, რაც საპასუხისმგებლო და შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ, ალბათ, სტიმულს მაძლევს მკითხველის მხრიდან მოწონება, ყურადღება.

2004 წ. საზეიმოდ აღინიშნა ჟურნალის დაარსების ხუთი წლისთავი. იყო თბილი მილოცვები შემოქმედე-



ბითი კოლექტივების მისამართით, სურვილები, ჟურნალს უსურვეს კვლავაც წარმატებები, მკითხველთა სიყვარული და პატივისცემა.

მსურს გავიმეორო ებრაული სახლის ყოფილი დირექტორის, მსოფლიოში განთქმული დასტაქერის, პროფესორ გივი წიწუაშვილის სიტყვები, წარმოთქმული სახელოვანი გაზეთ „მენორას“ ათი წლისთავზე: „მენორა“ დაჯილდოებულია ორდენით, რომელიც დამზადებულია ყველაზე ძვირფასი, უჟანგავი, უცვლელი ლითონისაგან – ეს არის ხალხის სიყვარული!“

მე მწამს, რომ ჟურნალი „ბნეი ციონიც“ – ასეთივე ორდენითაა დაჯილდოებული!

დაე, დიდხანს ატაროს მან ეს ორდენი – ხალხის სიყვარული!





## წერილი რედაქციას

ორი წელიც და ქართულ სტამბას დაარსებიდან სამასი წელი შესრულდება. 1709 წელს თბილისში პირველად ამუშავდა სტამბა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ქართლის გამჭრიახი გამგებელი, მეფე სჯულმდებელი, მშობლიური კულტურის თავდადებული მოღვაწე, სწავლული მწიგნობარი და ისტორიკოსი, მთარგმნელი და პოეტი ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონი (1675-1737), მეფობაში ვახტანგ VI.

წიგნის ბეჭდვის შემოღება ფეოდალურ საქართველოში XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც მთელ ამიერ და იმიერ კავკასიაში სტამბა არსად ყოფილა, არ შეიძლება არ განვიხილოთ როგორც საქართველოს კულტურის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა.

სტამბამ, ბეჭდვის ხელოვნებამ უდიდესი რევოლუცია მოახდინა ცოდნის გავრცელების საქმეში. წერა-კითხვის გაჩენისა და გავრცელების შემდეგ სტამბამ პირველმა შექმნა მასობრივი აუდიტორია. ცივილიზაციის სამყაროში პირველად შეანათა ცოდნის გაფართოებისა და გავრცელების უძლიერესმა საშუალებამ – სტამბურმა წიგნმა, რამაც შესაძლებლობა შექმნა კაცობრიობის კულტურული მიღწევები ხელმისაწვდომი გამხდარიყო მოსახლეობის ფართო მასებისათვის.

წიგნის სტამბურ ბეჭდვას მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები გენიალურ გამოგონებად თვლიან – ლუთერმა ის „ადამიანის მოდგმის მეორედ ხსნას“ შეადარა.

სტამბურად ნაბეჭდი წიგნი (ჟურნალი, გაზეთი) თანამედროვე კაცობრიობის მთელი ცივილიზაციის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს, რომელსაც სწავლის, ცოდნისა და კულტურის განვითარების სფეროში ვერ შეცვლის (ვერ გამოდევნის) დღემდე ცნობილი მასობრივი კომუნიკაციის (ინფორმაციის) ვერცერთი საშუალება. ქართულ წიგნს სტამბურმა ბეჭდვამ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ძალა მიანიჭა და როდისაც არ უნდა დაბეჭდილიყო ის, მის დანიშნულებასა

და მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენისა და ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის ბრძოლა, ქართველი ხალხის მატერიალური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და აყვავებისათვის ზრუნვა. მის განუყრელ მეგზურთან – გამომცემლობასთან ერთად, სადაც არ უნდა ყოფილიყო – შინ თუ სამშობლოს გარეთ, თესავდა სიყვარულს, მეგობრობას, მშვიდობასა და ურთიერთპატივისცემას ხალხთა შორის.

დღეს, როცა ქართველმა ერმა აისრულა თავისი მრავალსაუკუნოვანი ოცნება – მოიპოვა დამოუკიდებლობა, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ – „თავის თავს ეკუთვნის“, კიდევ უფრო აქტუალური ხდება სტამბურად ნაბეჭდი წიგნის (ჟურნალის, გაზეთის) მნიშვნელობა ქვეყნის კულტურული, ეკონომიკური, სოციალური განვითარებისა და ტერიტორიულად გამთლიანების საქმეში.

ჩვენ – ქართული პოლიგრაფიული მრეწველობისა და გამომცემლობის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები, მოგმართავთ თხოვნით, ერთიანი ძალისხმევით ღირსეულად აღვნიშნოთ ეს სახელოვანი იუბილე – ავიყვანოთ ის ეროვნული დღესასწაულის დონეზე. რისთვისაც შეიქმნას ავტორიტეტული (სამთავრობო) კომისია იუბილეს მომზადებისა და ჩატარებისათვის.

საქართველოს პოლიგრაფისტთა ასოციაცია

### რედაქციისაგან:

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია სავსებით უჭერს მხარს საქართველოს პოლიგრაფისტთა ასოციაციის ინიციატივას და თავის მხრივ ძალასა და ენერჯიას არ დაიშურებს, ღირსეულად აღინიშნოს საქართველოში პირველი სტამბის დაარსების საიუბილეო დღეები. ჟურნალი სპეციალურად იზრუნებს ამ მოვლენის პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის.

მკითხველის შემოქმედება

გურამ თაყნიაშვილი

პოეზია - სულის ხსნა



ეს სიტყვები ეკუთვნის ჩვენი ბიბლიოთეკების აქტიურ წევრსა და თანამდგომს, ჩვენი ჟურნალის მკითხველს, ახალგაზრდა პოეტ ქალს ლიკა არველაძეს. ნაწევრები მისი ლექსებიდან პირველად ქვეყნდება ჩვენს ჟურნალში. თავად ავტორი, როგორც ყველა დამწყებ პოეტს სჩვევია, მოკრძალებული და თავმდაბალია. მისი პოეტური სამყარო აღსავსეა თოვლის ბუმბულებით, ფერადი რიყრაყებითა და მზესთან შეხების სურვილით. პოეტი რედაქციას ესტუმრა საკუთარი



ხელნაწერი ლექსებითა და რუსი პოეტის ნიკოლოზ გუმილიოვის პოეტური ნიმუშების თარგმანით. როგორც ირკვევა, ნ. გუმილიოვის ლექსები მანამდე ქართულ ენაზე არ ყოფილა თარგმნილი და, ამდენად, მისი ლექსების არველაძისეული თარგმანები საყურადღებოა ქართველი მკითხველისათვის. თავად ლიკა არველაძე მოსკოვშია დაბადებული. შემდეგ დაამთავრა ქ. თბილისის 162-ე საშუალო სკოლა, ხოლო 2006 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის პოლიტოლოგიისა და ადამიანთმცოდნეობა – სოციოლოგიის ინსტიტუტი. პოეზიის ნიჭით მომადლებულს, ლექსების წერა ამ 5-6 წლის წინათ დაუწყია. ლექსებს წერდა, მაგრამ სამზეოს არ გამოჰქონდა, ინახავდა, ესიყვარულებოდა... რედაქციაში მორიდებით შემოვიდა, ლექსები დატოვა, არც უთხოვია მათი გამოქვეყნება, ისე დაგვემზადოდა. ლ. არველაძე თავის ლექსებში უძღერის მზეს, სინათლეს, „მეყვავილისაგან ნაყიდ ყვავილებს“:

„ძველი თბილისის სურნელი მოჰყვა მეყვავილესთან ნაყიდ თაიგულს“.

პოეტი პასუხს ეძებს იმ კითხვებზე, რომელიც მას დაებადა ამოუცნობი სამყაროს ხილვის სურვილით. იგი რიტორიკული კითხვით მიმართავს პოეზიის შთაგონების წყაროს:

„თუ პოეზია არის სულის ამოძახილი,

რატომ ვერც ერთი სატკივარი ვერ დაინახა“.

პოეტს სწამს, რომ პოეზიის თითოეული ნიმუში არ არის მხოლოდ ლამაზი სიტყვების წყობა. ლექსი იქმნება დიდი სულიერი ტკივილითა და განცდით, მოთმინებით, შთაგონებითა და გონების კარნახით. მზესთან სიახლოვის სურვილს პოეტის სულიერ სამყაროში შემოაქვს სიტბო, რომელიც მძაფრ განცდებს ანელებს, მაგრამ ავსებს სხივთა საოცარი სინარნარით:

„მზე ისე ახლოა დღეს,  
ზღვაც ისე ჩემია თითქოს;  
და ეს იდუმალი სივრცე  
თითებით შეხებას ითხოვს“.

უფრო საინტერესო და ღრმად პოეტურია ლ. არველაძის მიერ შესრულებული ნ. გუმილიოვის პოეზიის ნიმუშების ქართული თარგმანები. პოეტი არსებითად ჩამწვდარია რუსი პოეტის სულიერ სამყაროში და თარგმანებიც იმის დასტურია, რომ ლ. არველაძეს კარგად ესმის რუსული პოეზიის ქართულ ენაზე გადმოღების თავისებურებანი. აი, ერთი ტაქტი ნ. გუმილიოვის ლექსიდან „გემი“:

„რას დაინახავ შენ ჩემს მზერაში,  
უფერულად რომ გამოკრთის ახლა?  
მასში ზღვის დიდი წიაღი მოჩანს  
ჩაძირულ გემთა თავშესაფრად“.

დიდი ოსტატობითაა თარგმნილი და თავისუფლად იკითხება ნ. გუმილიოვის ლექსი „ჟირაფი“. ეს და სხვა ნიმუშები, რომლებსაც ქართველი მკითხველი პირველად იხილავს, მიანიშნებს პოეტი ქალის მაღალ ოსტატობასა და დახვეწილ გემოვნებაზე. ლ. არველაძე თავისუფლად თარგმნის რუსი პოეტის ნიმუშებს, იგი არ ექცევა რითმების აუცილებელი წყობის ჩარჩოებში და ეს ათავისუფლებს მას ყოველგვარი ხელოვნური მიდგომისაგან.

ჟურნალის რედაქცია ლიკა არველაძეს უხსნის პოეზიის სამყაროში შესვლის გზას; გვწამს, ამ გზაზე იგი ივლის ფრთხილად, მოკრძალებით, აღვსილი მოულოდნელობითა და იმედებით.

ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ნ. გუმბლიოვის ორი ლექსის  
დ. არველაძისეულ თარგმანს


\* \* \*

ბ ე მ ი

ქალაქებიდან გავრბოდი ტყეში,  
ხალხს უდაბნოში ვეძებოდი.  
ახლა კი უკვე მზად ვარ ლოცვისთვის.  
როგორც არასდროს – მზად გოდებისთვის.  
აი, მარტო ვარ საკუთარ თავთან  
და დროა უკვე რომ მოვისვენო,  
სინათლემ ბრმამ და შეუბრალებმა  
გული, გონება გამოსწვა თითქოს.  
მე ცოდვილი ვარ, ბოროტმოქმედი:  
ღმერთმა ბრძოლისთვის ძალა შემიძინა,  
მიყვარდა ხალხი და სამართალი,  
მაგრამ ვთელავდი მე ჩემს იდეალს.  
შემეძლო ბრძოლა, მაგრამ ვით მონა  
უკან ვიხვედი შეშინებული.  
სიტყვებით: „ვაი, რომ მე სუსტი ვარ“,  
ამ მისწრაფებებს ჩემში ვახშობდი.  
მე ცოდვილი ვარ, ბოროტმოქმედი,  
შენგან შენდობას მოვითხოვ, ღმერთო,  
მონანიების დამფასებელო,  
ტანჯული სული მსურს შეგავედრო.  
არის ხომ ხალხი ანთებულ სულით,  
ვისაც სიკეთის თესვა სწყურია,  
მათ გადაეცი წმინდა ალაში,  
რადგანაც უხმობთ, იზიდავთ ბრძოლა.  
მე კი უფალო, გთხოვ მაპატიო,  
შენს ერთ წყალობას მოველი მხოლოდ:  
მოუპოვებელ განსასვენებელს  
სნეული სული რომ მიაბარო.

რას დაინახავ შენ ჩემს მზერაში  
უფერულად რომ გამოკრთის ახლა?  
მასში ზღვის დიდი წიაღი მოჩანს  
ჩაძირულ გემის თავშესაფარად.  
მასზე დიდი და მასზე თამამი  
ზღვის ფსკერზე თურმე არვინ უნახავთ.  
ტოკავდნენ გრძელი ქანდარები და  
ზღვა ლიცლიცებდა კიჩოს გადაღმა  
და ფრთებშესხმული უცხო თევზები  
ტოვებდნენ წყალქვეშ განფენილ მხარეს,  
ისროდნენ წყლიდან სუფთა ჰაერზე  
მოდრეკილ გვამებს, ზურმუხტ-მზზინვარეს.  
შენ კი იდექი შორეულ კლდეზე  
მზერით, ძახილით, ლოდინით სავსე,  
შენ უკანასკნელ ლალ მებზღვაურში  
ლტოლვის კოცონი ააელვარე.  
და ვერასოდეს ვერვინ გაიგებს  
იმ სასიკვდილო და გიჟურ ბრძოლას  
და იმას, ახლა სად განისვენებს  
ზომალდი შენსკენ რომ მოილტვოდა.  
და ეს ხელები, ასე ნატიფი  
მარგალიტებით ბნელს რად სერავდნენ,  
მერცხლის ეული სიმღერის დარად,  
სიზმრები, მისკენ რომ მიფრინავდნენ.  
ო, დედოფალო, ვინც შენთან არის,  
მას მხოლოდ იგი იგონებს ახლა  
და მისი ცისფრად მდგარი აკლდამა  
მაგ შენს დანისლულ თვალებში დარჩა.





# საიუბილეო თარიღების კალენდარი

2007 წელი

(ბიბლიოთეკების დასახმარებლად)

## იანვარი

- 4 – 155 წლის წინათ (1852) თბილისში გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ პირველი ნომერი გერმანეთის რედაქტორობით.
- 7 – შობა იესო ქრისტესი.
- საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა დღე.
- 14 – ქართული თეატრის დღე.
- 90 წლის წინათ (1917) დაიბადა ლადო ასათიანი – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1943 წ.
- 135 წლის წინათ (1872) დაიბადა ნინო ნაკაშიძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1963 წ.
- 27 – ნინოობა.

## თებერვალი

- 3 – 100 წლის წინათ (1907) დაიბადა გიორგი კაჭახიძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1979 წ.
- 5 – 105 წლის წინათ (1812) დაიბადა ჩარლზ დიკენსი – ინგლისელი მწერალი. გარდაიცვ. 1870 წ.
- 8 – დავითობა. ხსენება დავით აღმაშენებლისა.
- 15 – 80 წლის წინათ (1927) დაიბადა არჩილ სულაკაური – ქართველი მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურიატი. გარდაიცვ. 1997 წ.
- 17 – 155 წლის წინათ (1852) დაიბადა ნიკოლოზი – ქართველი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1915 წ.
- 21 – 150 წლის წინათ (1857) დაიბადა ავქსენტო ცაგარელი – ქართველი დრამატურგი. გარდაიცვ. 1902 წ.
- 26 – 120 წლის წინათ (1887) დაიბადა აკაკი შანიძე – ქართველი ენათმეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე. გარდაიცვ. 1989 წ.
- 205 წლის წინათ (1802) დაიბადა ვიქტორ ჰიუგო – ფრანგი მწერალი. გარდაიცვ. 1885 წ.


## მარტი

- 2 – 90 წლის წინათ (1917) დაიბადა მირზა გელო-

- ვანი – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1944 წ.
- 3 – დედის დღე.
- 8 – ქალთა საერთაშორისო დღე.
- 16 – 100 წლის წინათ (1907) დაიბადა კარლო კალაძე – ქართველი პოეტი, დრამატურგი, გარდაიცვ. 1988 წ.
- 21 – საქართველოს მესაზღვრის დღე.
- ქართული ჟურნალისტიკის დღე.
- 27 – თეატრის საერთაშორისო დღე.

## აპრილი

- 2 – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.
- 3 – 90 წლის წინათ (1917) დაიბადა გიორგი ნაფეტვარიძე – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1944 წ.
- 5 – 195 წლის წინათ (1812) დაიბადა ვახტანგ ორბელიანი – პოეტი. გარდაიცვ. 1870 წ.
- 7 – ჯანმრთელობის მსოფლიო დღე.
- 9 – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.
- 10 – 90 წლის წინათ (1917) დაიბადა ვახტანგ ჭელიძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 2005 წ.
- 12 – კოსმონავტიკის დღე.
- 14 – ქართული ენის დღე.
- 16 – 360 წლის წინათ (1647) დაიბადა მეფე – პოეტი არჩილი. გარდაიცვ. 1713 წ.
- 18 – ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე.
- 22 – დედამიწის მსოფლიო დღე.
- 105 წლის წინათ (1902) დაიბადა ბორის ჩხეიძე – ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1979 წ.
- 23 – 100 წლის წინათ (1907) დაიბადა ილია ვეკუა – მათემატიკოსი, საქ. მეცნ. აკად. პრეზიდენტი. გარდაიცვ. 1977 წ.
- წიგნის საერთაშორისო დღე.
- 24 – ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე.
- 30 – საქართველოს ბიბლიოთეკარის დღე.



**მაისი**

- 6 - 225 წლის წინათ (1782) დაიბადა თეიმურაზ ბაგრატიონი (ბატონიშვილი) - მეცნიერი, მწერალი, პირველი ქართველი აკადემიკოსი. გარდაიცვ. 1846 წ.
- 9 - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე-სასწაული.
- 14 - თამარობა - ხსენება ქართველთა დიდი მეფის თამარისა.
- 165 წლის წინათ (1842) დაიბადა გიორგი წერეთელი - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1900 წ.
- 24 - 205 წლის წინათ (1802) დაიბადა ალექსანდრე ორბელიანი - პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, გარდაიცვ. 1869 წ.
- 26 - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე.
- 28 - 135 წლის წინათ (1872) დაიბადა კოტე მარჯანიშვილი - ქართველი რეჟისორი, ქართული თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვ. 1933 წ.

**ივნისი**

- 1 - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- 5 - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 22 - 120 წლის წინათ (1887) დაიბადა გიორგი ბაქრაძე - ქართული ბიბლიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი და მრავალი ბიბლიოგრაფიული ნაშრომის ავტორი. გარდაიცვ. 1960 წ.
- 27 - 160 წლის წინათ (1847) დაიბადა გიორგი ჭალადიძელი (ქოჩაკიძე) - ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1898 წ.

**ივლისი**

- ივლისის პირველი კვირა საქართველოს საზღვაო ფლოტის დღეა.
- 1 - 240 წლის წინათ (1767) დაიბადა დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი) - ქართლ-კახეთის გამგებელი, მწერალი, მეცნიერი. გარდაიცვ. 1819 წ.
- 8 - 155 წლის წინათ (1852) დაიბადა არტურ ლაისტი - გერმანელი მწერალი, ქართველოლოგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. გარდაიცვ. 1927 წ. (დაკრძალულია დიდუბის პანთეონში).
- 11 - 75 წლის წინათ (1932) დაიბადა ტარიელ ჭანტურია - ქართველი პოეტი.

- 24 - 205 წლის წინათ (1802) დაიბადა ალექსანდრე დიუმა (მამა) - ფრანგი მწერალი. გარდაიცვ. 1870 წ.
- 29 - 110 წლის წინათ (1897) დაიბადა რაფაელ გვეტაძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1952 წ.

**აგვისტო**

- 8 - ილიაობა.
- 15 - 120 წლის წინათ (1887) დაიბადა მარიამ (ფუცუ) ღვებუაძე-ფულარია - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1969 წ.
- 23 - 80 წლის წინათ (1927) დაიბადა გივი ძნელაძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 2004 წ.
- 24 - საქართველოს კონსტიტუციის დღე.
- 25 - 165 წლის წინათ (1842) დაიბადა ანასტასია თუმანიშვილი - ქართული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ჟურნალ „ჯეჯილის“ დამაარსებელი. გარდაიცვ. 1932 წ.
- 29 - 145 წლის წინათ (1862) დაიბადა დავით კლდიაშვილი - ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1931 წ.

**სექტემბერი**

- 1 - მშვიდობის მსოფლიო დღე.
- 12 - 100 წლის წინათ (1907) ვერაგულად მოკლეს ილია ჭავჭავაძე.
- 15 - 85 წლის წინათ (1922) დაიბადა გიორგი სალუქვაძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1987 წ.
- 21 - შობა ღვთისმშობლის მარიამისა.
- 27 - ტურიზმის საერთაშორისო დღე.
- სოხუმის დაცემის დღე. (დაღუპულთა მოხსენიება).

**ოქტომბერი**

- ოქტომბრის პირველი კვირა - სპორტის დღე.
- 1 - მუსიკის საერთაშორისო დღე.
- ხანდაზმულთა და თაობათა სოლიდარობის დღე.
- 2 - 80 წლის წინათ (1927) დაიბადა რევაზ თაბუკაშვილი - ქართველი მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურიატი. გარდაიცვ. 1990 წ.
- 4 - 140 წლის წინათ (1867) დაიბადა შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1926 წ.



- 5 – 60 წლის წინათ (1947) დაიბადა ვანო ჩხიკვაძე – ქართველი მწერალი.
- 9 – 460 წლის წინათ (1547) დაიბადა მიგელ დე სერვანტესი – ესპანელი მწერალი. გარდაიცვ. 1616 წ.
- 14 – მცხეთობა, სეკტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული.
- 180 წლის წინათ (1827) დაიბადა მიხაი ზიჩი – უნგრელი მხატვარი, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორი. გარდაიცვ. 1906 წ.
- 20 – 80 წლის წინათ (1927) დაიბადა ნაზი კილასონია – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1993 წ.
- 24 – გაერთიანებული ერების საერთაშორისო დღე.
- 26 – 140 წლის წინათ (1867) დაიბადა დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხომტარია) – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1938 წ.
- 27 – 60 წლის წინათ (1947) დაიბადა ნაირა გელაშვილი – ქართველი მწერალი.
- 29 – რუსთაველის დღე. პოეზიის დღე.
- 31 – 100 წლის წინათ (1907) დაიბადა ევგენი ხარაძე – ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე. გარდაიცვ. 2001 წ.

**ნოემბერი**


- 3 – 120 წლის წინათ (1887) დაიბადა ს. ი. მარშაკი – რუსი პოეტი. გარდაიცვ. 1964 წ.
- 8 – 170 წლის წინათ (1837) დაიბადა ილია ჭავჭავაძე. გარდაიცვ. 1907 წ.
- 10 – ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.
- 11 – 95 წლის წინათ (1912) დაიბადა სერგი ჭილაია – ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვ. 1993 წ.
- 14 – 85 წლის წინათ (1922) დაიბადა გიგლა ფირცხალავა – ქართველი მხატვარი. კარიკატურისტი. გარდაიცვ. 1983 წ.

- 17 – 115 წლის წინათ (1892) დაიბადა გალაკტიონ ტაბიძე – ქართველი პოეტი, გარდაიცვ. 1959 წ.
- 21 – 155 წლის წინათ (1852) დაიბადა ბესარიონ ნიჟარაძე – ქართველი პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1919 წ.
- 23 – გიორგობა. ხსენება წმინდა გიორგისა.
- 25 – 110 წლის წინათ (1897) დაიბადა ტერენტი გრანელი (კვიციანი) – ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1934 წ.
- 26 – 80 წლის წინათ (1927) დაიბადა თამაზ ჩხენკელი – ქართველი მწერალი.

**დეკემბერი**

- 4 – 190 წლის წინათ (1817) დაიბადა ნიკოლოზ ბარათაშვილი – ქართველი პოეტი და მოაზროვნე. გარდაიცვ. 1845 წ.
- 10 – საქართველოს „ადამიანთა უფლებების დაცვის დღე“.
- 13 – 210 წლის წინათ (1797) დაიბადა ჰაინრიხ ჰაინე – გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. გარდაიცვ. 1856 წ.
- 18 – 155 წლის წინათ (1852) დაიბადა იონა მეუნარგია – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1919 წ.
- 25 – შობა (ძველი სტილით – 7 იანვარს).
- 26 – 110 წლის წინათ (1897) დაიბადა ნიკო კეცხოველი – ბუნებისმეტყველი, მწერალი, აკადემიკოსი, გარდაიცვ. 1982 წ.

*შეადგინეს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა: რუსუდან კვიციანიშვილმა და ქეთევან ნიკურაძემ.*



## მოკალეოზის უეხეზით სავსე კლასიანი

ის 1930 წლის 7 სექტემბერს დაიბადა სოხუმში, გარდაიცვალა 2006 წელს თბილისში, გაიზიარა ყველა დევნილის ხვედრი და სიმწარე მშობლიური ადგილების ხილვის ნატურისა.

ეთერ სიხარულიძე ნამდვილი სოხუმელი იყო, იქ დაბადებული და გაზრდილი. იქ დაამთავრა სკოლა ფრიადებზე, წარმატებით დაასრულა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და წლების განმავლობაში თავისი საყვარელი ქალაქის საზოგადოებას ემსახურებოდა, 1950-იანი წლებიდან შეუდგა ბიბლიოთეკარის პროფესიულ საქმიანობას და უკანასკნელ დღემდე ამ საქმის ერთგული დარჩა. ახალგაზრდა სპეციალისტმა მალე გაიკვლია გზავალი ცხოვრებაში. დღითიდღე იზრდებოდა როგორც სპეციალისტი და პროფესიონალი. ჯერ საბავშვო და ახალგაზრდული ბიბლიოთეკის დირექტორობა დააკისრეს, შემდეგ უკვე ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გახდა, ვიდრე 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შედეგად იძულებული არ შეიქნა თავი მიენებებინა საყვარელი საქმისათვის და ბოლოს – მშობლიური ქალაქისთვისაც კი.



გამორჩეოდა საქმისადმი თავდადებით, მაღალპროფესიონალიზმით, ენერგიულობით, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაერთი მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა მთელი ავტონომიის საბიბლიოთეკო ქსელში, ბევრი სიახლე იქნა შემოღებული. ავტონომიის მთავარი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მოწინავე იყო ქვეყანაში.



ე. სიხარულიძის განსაკუთრებული დამახასიათებელი თავისებურება იყო გულისხმიერი დამოკიდებულება თანამშრომლებისადმი, კოლეგიალობა, მხარში დგომა. იყო მეტად გულდია, ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანი, უყვარდა ხალისიანი ურთიერთობა. როგორც პიროვნება, თვალში საცემი იყო მისი ღირსეული მოქალაქეობრივი ეთიკა და უსაზღვრო ერთგობა. ამგვარ ადამიანად ჩამოყალიბდა ის თავის დებთან ერთად უბრალო, შრომისმოყვარე, კეთილშობილურ ოჯახში, რომელსაც სათავეში ედგა მთელ აფხაზეთში ცნობილი პიროვნება – ბატონი ლუკა სიხარულიძე, ნამდვილი დარდიმანდი, ულამაზესი, ოქროპირი ქართველი, დედა – ქალბატონი ლიდა იყო ღირსეული დიასახლისი. ცნობილი მანდილოსანი. ოჯახში წიგნი და წიგნიერება იყო გაფეტიშებული, სწავლა და განათლება ედო საფუძვლად აქ მთელ ცხოვრებას.

ქნ ეთერ სიხარულიძის ცხოვრების გზის დასასრული – დაუფასებლობა მისი დაუღალავი შრომისა და თავგამოდების, არაფრად მიიჩნევა მისი ღვაწლისა, უმადურობა საზოგადოების ერთი ნაწილისა, რომელსაც სეპარატიზმის მავნე ბაცილის შხამით აქვს მოწამლული გულ-ღვიძლი – ეს ტრაგედიაა არა მარტო პიროვნებისა, არამედ მთელი საქართველოსი. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ღვაწლმოსილი, დამსახურებული პიროვნების – ეთერ სიხარულიძის დაკარგვის გრძნობას. იმედად უნდა გვრჩებოდეს ის, რომ მან ვალმოხდილმა, გმირული შემართებით განვლო ეს ცხოვრება და დაუვიწყარი სახელი დატოვა.

მეგობართა ჯგუფი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საკმაოდ მდიდარ არქივს ფლობს. აქ თავმოყრილია როგორც ხელნაწერი, ისე ბეჭდური ტექსტები და ფოტომასალა. განსაკუთრებით საყურადღებოა ძველი ფოტოდოკუმენტები, რომლებშიც ვხვდებით ყოფილ თანამშრომელთა სახეებს. მათგან უმეტესობა დღეს ცოცხალი არ არის, მაგრამ მომდევნო თაობის ბევრი წარმომადგენლის ხსოვნაში ისინი ცოცხლად არიან შემორჩენილი და საუკეთესო მოგონებებს იწვევენ. მათი გახსენება და გამოსახულების უკვდავყოფა დიდად კეთილშობილური

საქმეა. სწორედ ამ პათოსით შემოიღო ჩვენმა ჟურნალმა საარქივო ფოტო დოკუმენტების გამოქვეყნება და წარსულის ფაქტების გაცოცხლება.

ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს ფოტოდოკუმენტების ირგვლივ საკვლევი მუშაობის წარმოება, რაც მეტად რთული საქმეა და ჩვენს ამჟამინდელ შესაძლებლობებს აღემატება; უბრალოდ, ვიძლევი ფაქტურას, რომელიც მრავლისმთქმელია და მრავალ საინტერესო საკითხს მოჰფენს ნათელს, ბევრი რამ დასაზუსტებელი და დასადგენია, განსაკუთრებით ამა თუ იმ პირის ვინაობა და მათი საქ-



სკოლისგარეშე განათლების სახლის ბიბლიოთეკის მუშაკები (1927წ.)

მიანობის სფერო, სურათის გადაღების წლები, ფოტოგრაფი, ფიქსირების ადგილი და გარემოება.

კეთილად გრძნობს თავს და შეუძლია საინტერესო ცნობები მოგვაწოდოს ამა თუ იმ ფოტოსთან დაკავშირებით, მოგვითხრობს იქ გამოსახულ პიროვნებებზე. ჩვენ სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ მათ მიერ მოწოდებულ წერილებს.



ბიბლიოთეკის მუშაკთა სარაიონთაშორისო კურს-კონფერენცია ქალაქ გორში (1961წ)

კარგი იქნება, თუკი შევლევარი სპეციალისტები დაინტერესდებიან აღნიშნული არქივით და საფუძვლიანად შეუდგებიან იქ დაცული მასალის

შესწავლას, აღნუსხვასა და გამომზეურებას.

ჩვენ ჩვენი მხრივ განვაგრძობთ ძველი ფოტოების გამოქვეყნებას.

ფოტომასალა საინტერესოა მოცემული პერიოდის კოლორიტის – მოდის, ჩაცმულობის, ვარცხნილობის გაცნობის თვალსაზრისით, ისტორიული და ღირსშესანიშნავი ფაქტების ფიქსირებისათვის, მაშინდელი სულიკვეთების შესაცნობად.



ბიბლიოთეკის ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრა საზოგადოების წარმომადგენლებთან ქ. ცხინვალში (1963წ)

იმედი გვაქვს, ფოტოებზე გამოსახული ზოგიერთი პირის შესახებ მათი მცნობინაცნობ-მეგობრები, ნათესავები, ახლობლები მოგვაწვდიან ცნობებს, გაგვაცნობენ მათ ცხოვრებას, მოღვაწეობას; ვიცით, რომ ზოგი მათგანი ამჟამადაც




საბავშვო ბიბლიოთეკების გამგეთა კურს-კონფერენცია (1952წ)




რესპუბლიკის საბავშვო ბიბლიოთეკების კურს-კონფერენცია (1962წ)

173



ადამიანის უფლებათა  
ევროპული  
სასამართლოს  
განმარტებითა კრებული

ნომრი IV




L'EXTENSION DU DOMAINE DE LA LUTTE

მიხეილ უბლაძე

ბრძოლის ველის განვრცობა


MICHEL HUBLEDCO

ევროპის საბჭო  
Council of Europe  
Conseil de l'Europe



რაინიელ ჰენიკო

მკვლის თეზაუსი



პიერ ბურდიე

განსხვავება

მსჯელობის სოციალური კრიტიკა

ახალი გამოცემები